მდინარე არაგვის ხეობაში, სოფელ ნატახტართან, საკვები ობიექტების და თევზსაშენი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავლადაა არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელები. მათგან ჩაჟონილი დამაბინძურებლები გვხვდება ნიადაგსა და წყალში. საბოლოოდ კი ისინი თავს იყრიან მდინარე არაგვში, რომლიდანაც მარაგდება თბილისის წყალსაცავის 60%.

წყლის მიკრობიოლოგიურმა ანალიზმა დაბინძურების მაღალი დონე აჩვენა, კერძოდ, აღმოჩნდა *Escherichia Coli* (*E.coli*) ბაქტერია. ეს ბაქტერია იწვევს დიარეას, საშარდე გზების დაავადებებს, პნევმონიას და სხვა. დაავადება ყველაზე ხშირად უვითარდებათ ბავშვებს. მათში ხშირია ჰემოლიზური ურემიული სინდრომი (HUS). ამ დაავადების განვითარებისას არის თირკმელების ფუნქციონირების შეწყვეტის საშიშროება.

ნიადაგის კვლევამ, მძიმე მეტალებზე, გამოავლინა ტყვიის მაღალი კონცენტრაცია. ტყვია უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ის მარტივად ხვდება წყალსა და ნიადაგში. მისი ძირითადი წყაროა საავტომობილო გამონაბოლქვი, საღებავები, სასუქები და პესტიციდები, სამრეწველო ნარჩენები და სხვა, რომლითაც მდიდარია ნაგავსაყრელები.

ორგანიზმში ტყვიის მოხვედრის შემდეგ, ის ნაწილდება ძვლებში, თირკმელში და ნერვულ სისტემაში. ყველაზე ხშირად ტყვიის ეფექტი გვხვდება ბავშვებში, რაც გამოვლინდება ქცევის პრობლემებში, სწავლის დეფიციტსა და დაქვეითებულ IQ - ში.

**საძიებო სიტყვები:** ნაგავსაყრელი; დაბინძურება; *Escherichia Coli* (*E.coli*); ტყვია.

საქართველოში მრავლადაა არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელები, რომლებიც ხშირად დასახლებული პუნქტების მახლობლად, სამოვრებთან ახლოს ან მდინარეთა ხეობებში მდებარეობენ. ასეთი ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანა არ ხდება, ისინი მრავალი წლის განმავლობაში ადგილზე რჩებიან და მიმდებარე ნიადაგის, წყლის და საცხოვრებელი ადგილების დაბინძურებას იწვევენ.

საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ამ ნაგავსაყრელებზე თავს იყრის სახიფათო ნარჩენები, პესტიციდები, ვადაგასული წამლები, თერმომეტრები, პოლიეთილენი და სხვა, რომლებიც საბოლოოდ ნიადაგსა და წყალში ხვდებიან, იქიდან კი - ადამიანის ორგანიზმში. მსგავსი ტიპის არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელები მრავლადაა მდ. არაგვის ხეობაში, დაბა ნატახტართან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აქ მდებარეობს საკვები ობიექტები (რესტორნები) და კერძო საკუთრებაში არსებული თევზსამენი მეურნეობები, ნიადაგში და წყალში მოხვედრილი დამაბინძურებლები, საბოლოოდ თავს იყრის მდ. არაგვში. ამასთან მდ. არაგვიდან წყლით მარაგდება თბილისის წყალსაცავი და შესაბამისად ქალაქი თბილისი.

ათასწლეულების განმავლობაში ბუნება ახერხებდა თვითგაწმენდა-აღდგენას. თუმცა დღეს, როდესაც ანთროპოგენული დაბინძურება კატასტროფულ ზღვრამდე მივიდა, თვითგაწმენდის პროცესი საკმარისი აღარაა. მნიშვნელოვანი პრობლემები შეექმნა ჰაერს, წყალს და ნიადაგს.

ნიადაგის საფარის გაწმენდასა და აღდგენის საჭიროებაზე ფიქრი კაცობრიობამ სულ ახლახანს დაიწყო. 1970 წელს ნიადაგის მახასიათებლების შესახებ მიღებულმა ქარტიამ დაადგინა, რომ ნებისმიერი ნიადაგის ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური დეგრადაცია მიიჩნევა პირველად საფრთხედ და შესაბამისი ნიადაგ დაცვითი ღონისძიებები დაუყოვნებლივ უნდა ჩატარდეს. ნიადაგი არის სახმელეთო ეკოსისტემის ძირითადი კომპონენტი და ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის და მასთან ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის. ნიადაგში მოხვედრის შემდეგ მეტალები უკავშირდებიან მინერალურ კომპონენტებს და გარდაიქმნიებიან სხვადასხვა სახით, რომლებსაც მოიხმარენ მცენარეები და მიკროორგანიზმები. მათი ჩადინება ხდება გრუნტის წყლებში, ხვდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში და აუარესებს წყლის ხარისხს.

არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელებიდან ჰაერში ასული აირების, ნიადაგში მოხვედრილი ტოქსიკანტების და წყალში ჩაჟონილი დამაბინძურებლების სავარაუდო გავრცელების გამოსათვლელად მნიშვნელოვანია ადგილის გეოგრაფიულ-გეოლოგიური და ნიადაგური შემადგენლობის ცოდნა. განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია მცირე ზომის ნაკადები, რომლებიც საბოლოოდ მდინარეში ხვდებიან. საკვლევი ტერიტორიის მიმდებარე არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელებიდან აღებული წყლის და ნიადაგის სინჯებმა დაბინძურების მაღალი კონცენტრაცია გამოავლინა.



მდინარე არაგვი სათავეს იღებს თეთრი და შავი არაგვის შეერთებით დაბა ფასანაურთან 1040 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდინარე მტკვარს მარცხენა მხრიდან ქალაქ მცხეთასთან. მდინარის სიგრძე 66კმ, საერთო ვარდნა 597 მეტრი, წყალშემკრები აუზის ფართობი 2740კვ/კმ, აუზის საშუალო სიმაღლე კი 1600მეტრია.

მდინარეს ერთვის სხვადასხვა რიგის 716 შენაკადი, ჯამური სიგრძით 1926 კმ. მათ შორის მნიშვნელოვანია თეთრი არაგვი (41კმ), შავი არაგვი (30კმ), არკალა (12კმ), კერხი (15კმ), აბანოსხევი ( 12კმ), ახატნისხევი (16კმ), თეზამი (28კმ) და ნარეკვაი (41კმ).

მდინარის ხეობა დასაწყისში V-ებური ფორმისაა, სოფ. მისაქციელთან იღებს ყუთისმაგვარ ფორმას. სოფ. მისაქციელიდან მდ. ნარეკვავის შეერთებამდე არამკაფიოდ არის გამოხატული, ხოლო მდ. ნარეკვავის შეერთებიდან შესართავამდე კვლავ იძენს V ფორმას. ხეობის ფერდობები ძლიერ დანაწევრებულია შენაკადების ხეობებით, რომლებიც ქმნიან გამოზიდვის კონუსებს და აყალიბებენ მდინარის ტერასებს. ტერასების სიგანე იცვლება 0,2-0,4 კმ-დან 1,0-1,5 კმ- მდე, ხოლო სიმაღლე 2-2,5 მ-დან 15-20 მ-მდე.

მდინარის ჭალა ძირითადად თავისუფალია, ცალკეულ ადგილებში კი დაფარულია მურყნარით. მდინარის კალაპოტი მთელ სიგრძეზე ძლიერ კლაკნილი და დატოტვილია. მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლებით. მყინვარები, მათი მეტად მცირე ფართობების გამო, უმნიშვნელო როლს ასრულებენ მდინარის საზრდოობაში. ბუნებრივ პირობებში მდინარის წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება წყალდიდობით წლის თბილ პერიოდში, არამდგრადი წყალმცირობით შემოდგომაზე და მდგრადი წყალმცირობით ზამთარში.

1985 წელს, სოფელ ჟინვალთან ექსპლოატაციაში შევიდა 412 მეტრი სიგრძის და 95 მეტრი სიმაღლის, ქვანაყარი კაშხლით შექმნილი, ენერგეტიკული დანიშნულების და კომპლექსური გამოყენების ჟინვალის წყალსაცავი, რომელმაც მთლიანად დაარეგულირა მდ. არაგვის ჩამონადენი ქვედა უბანზე. ჟინვალის ჰესის გარდა, წყალსაცავით დარეგულირებული წყალი მიეწოდება მუხნარისა და საგურამოს სარწყავ სისტემებს და თბილისის ზღვას. ამრიგად, მდ. არაგვის წყალი გამოიყენება ენერგეტიკული, საირიგაციო და ქ. თბილისის წყალმომარაგებისთვის.

საკვლევი რეგიონი, რომელიც მდებარეობს მდ. არაგვის ხეობაში, სოფ. ნატახტარის მიმდებარე ტერიტორიაზე, (დანართი 1 სატელიტური რუკა და დანართი 2 რელიეფური რუკა) გამოირჩევა საკვები ობიექტების სიმრავლით და კერძო თევზსაშენი მეურნეობებით. მათ სიახლოვეს კი ბევრია არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელები.

„მატო ნატახტარის“ დასავლეთით (უკან მხარე) საყოფაცხოვრებო ნარჩენებით სავსე ნაგავსაყრელი გაკეთებულია ჩამდინარე წყალზე (პირობითად არხი 1), რომელიც საბოლოოდ მდ. არაგვს უერთდება. შესაბამისად მასში მოხვედრილი დამაბინძურებლები თავს იყრიან მდინარეში. (დანართი 3 და დანართი 4). ამ არხის წყლის მიკრობიოლოგიურმა ანალიზმა დაბინძურების მაღალი დონე აჩვენა. კერძოდ, კოლიფორმული ბაქტერიების (total coliformus) რაოდენობა 17400 ერთეული/ლიტრში. ისინი გარემოში მუდმივად არსებობენ, თუმცა მათი



გაზრდილი რაოდენობა წყალში იმის მაჩვენებელია, რომ ძლიერ დამაბინძურებლებთან გვაქვს საქმე.

ჩატარებულ მიკრობიოლოგიურ ანალიზში გარდა კოლიფორმული ბაქტერიებისა აღმოჩნდა Escherichia Coli (E.coli) დიდი რაოდენობა - 9800ერთეული/ლ. მაშინ როცა ნორმა 5000 ერთეულია. -ია. მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლადაა ადამიანის საკვები ნარჩენები, ცხოველთა ფეკალური მასები, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, რომლებიც წარმოადგენენ ამ ბაქტერიის წყაროს.

Escherichia Coli (E.coli) არის ბაქტერიების ფართო ჯგუფი, რომელთა ზოგიერთმა წარმომადგენელმა შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა დაავადებები, როგორცაა დიარეა, საშარდე გზების დაავადებები, პნევმონია და სხვა. დაავადება შეიძლება განუვითარდეს ნებისმიერ ადამიანს, თუმცა მოწყვლად ჯგუფებად ითვლებიან მცირე ასაკის და ხანდაზმული ადამიანები. მათში ხშირია ჰემოლიზური ურემიული სინდრომი (HUS). ამ დაავადების განვითარებისას არის თირკმელების ფუნქციონირების შეწყვეტის საშიშროება.

მდ. არაგვის აუზში, სოფ. ნატახტარისკენ მიმავალი სავალი გზის ორივე მხარეს, რამდენიმე არაკონტროლირებადი ნაგავსაყრელია. (დანართი 5) ნიადაგის ტოქსიკურმა ანალიზმა გამოავლინა მძიმე ლითონით, ტყვიით დაბინძურება. ტყვის ზ.დ.კ. 32-ია, ანალიზმა კი 62.8 ერთეული გამოავლინა.

ნიადაგში ტყვია არ არის „მოძრავი“, ისე როგორც წყალში. მისი მობილობაზე გავლენას ახდენს ნიადაგის PH, ორგანული ნივთიერებების შემცველობა და ჰუმინური მჟავების არსებობა.

მაღალი მჟავიანობის პირობებში იზრდება ტყვიის ხსნადობა. ტყვია ძირითადად ადსორბირდება ნიადაგის ორგანული ნივთიერებების მიერ. მცენარე ნიადაგიდან ტყვიას ფესვთა სისტემით ითავსებს.

ტყვის ტოქსიკურობა მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემაა და მისი გავლენა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. ტყვია ძალიან მდგრადია გარემოში, ის მარტივად ხვდება წყალსა და ნიადაგში. მისი წყაროა საავტომობილო გამონაბოლქვი, საღებავები, სასუქები და პესტიციდები, სამრეწველო ნარჩენები და სხვა.

ტყვიამ შეიძლება იმ პროდუქტებში შეაღწიოს, რომელსაც ყოველდღიურად ვიყენებთ. ის ხვდება ხილში, ბოსტნეულსა და მარცვლეულში.

ორგანიზმში ტყვიის მოხვედრის შემდეგ, ის ნაწილდება ძვლებში, თირკმელში და ნერვულ სისტემაში. ყველაზე ხშირად ტყვიის ეფექტი გვხვდება ბავშვებში, რაც გამოვლინდება ქცევის პრობლემებში, სწავლის დეფიციტსა და დაქვეითებულ IQ - ში.

რადგან ტყვია ადამიანის ორგანიზმში ძირითადად ხვდება სურსათისა და სასმელი წყლიდან, აუცილებელია მისი რაოდენობის კონტროლი და მოსახლეობის მუდმივი ინფორმირება საფრთხეების შესახებ.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. ავქოფაშვილი, 2018. დისერტაცია „ტექნოგენურად დაბინძურებულ ნიადაგებზე მძიმე ლითონთა ფიტომიგრაცია. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. ლ. მარუაშვილი 1964. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია
3. ნ. ბუაჩიძე, 2015 საქართველოში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების გავლენის შეფასება მიმდებარე ტერიტორიების ეკოსისტემების მდგომარეობაზე.
4. ნ. ვეფხვაძე, 2009, პრევენციული მედიცინა.

## Determining the degree of soil and water pollution from uncontrolled landfills (in the lower basin of the Aragvi River, Natakhtari territory)

Salome Sekhniashvili

Georgian Technical University

### Abstract

Uncontrolled landfills are a problem of the whole world and naturally of Georgia. They are found in river valleys and near settlements, which pose a threat to the population. Household waste, fecal masses, pesticides, polyethylene and others that pollute the soil and water fall on them.

In the valley of the Aragvi river, near the village of Natakhtari, in the vicinity of food facilities and fish farms, there are many uncontrolled garbage dumps. Pollutants leached from them are found in soil and water. Finally, they flow into the Aragvi River, from which 60% of the Tbilisi reservoir is supplied.

Microbiological analysis of water showed a high level of pollution, in particular, Escherichia Coli (E.coli) bacteria was found. This bacterium causes diarrhea, urinary tract infections, pneumonia, and more. The disease most often develops in children. Hemolytic uremic syndrome (HUS) is common among them. During the development of this disease, there is a risk of kidney failure.


A soil survey for heavy metals revealed a high concentration of lead. Lead has a negative effect on human health. It easily gets into water and soil. Its main sources are automobile exhaust, paints, fertilizers and pesticides, industrial wastes, and others that are abundant in landfills.

After lead enters the body, it is distributed in the bones, kidney and nervous system. Most often, the effects of lead are found in children, which manifest in behavioral problems, learning disabilities, and decreased IQ.


Keywords: landfill; pollution; Escherichia Coli (E.coli); bullet.

დანართები:

დანართი 1.







დანართი 3:



დანართი 4:





დანართი 5:





## აკაკი წერეთელი ამერიკის შესახებ

### თამარ ახვლედიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### აბსტრაქტი

მე-19 საუკუნის საქართველოში აღწევს ცნობები ამერიკის შესახებ.

ჩვენი მწერლები და ჟურნალისტები წერენ იმ პრობლემებზე, რასაც ამერიკული ცხოვრება შობს.

საინტერესოა აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში მცირე მასალით წარმოდგენილი ამერიკის ხატი.

ამერიკა არის ქვეყანა, სადაც გაუქმებულია წოდებები, არიან მხოლოდ თანაბარი უფლებების მქონე მოქალაქეები.

მეორე მხრივ ამერიკა არ არის ბუნების კანონებად მცხოვრები რომანტიკული ქვეყანა. აქ გამდიდრების სურვილი შხამავს ადამიანურ გრძნობებს.

**საკვანძო სიტყვები:** აკაკი წერეთელი, ამერიკა, წოდებები, დემოკრატია, ოქრო, სიყვარული.

რუსეთთან შეერთების მერე, მე-19 საუკუნეში საქართველო ისევ ჩაერთო ზოგად ევროპულ ცხოვრებაში.

ამერიკაც თავისი ეკონომიკით, კულტურით ევროპული რეგიონის სახელმწიფოთა ნიშნებს ატარებს. იგი ხომ ევროპელების მიერ ახლად აღმოჩენილ კონტინენტზე მიგრაციის შედეგად წარმოიშვა.

ახალი ტერიტორიების ამთვისებლებმა ინდიელებთან და აფრიკელებთან ნაწილობრივი შერწყმის შედეგად დააარსეს ახალი პოლიტიკური ერთეულები, რომელთაც კოლონიზატორთა მიერ ევროპიდან მოტანილი მშობლიური ენები მიიღეს თავიანთ სახელმწიფო ენებად.

ამდენად, თითქოს ევროპის ტერიტორიული გაფართოება მოხდა, ოღონდ ამერიკის კონტინენტზე.

მართლაც, რა ეშველებოდა ევროპას, ასეთი ჭკვიანი ერებით დასახლებულ პატარა კონტინენტს? სად უნდა წაეყვანა თავისი მზარდი მოსახლეობა? მალთუსივით ხომ არ

ინატრებდა პერიოდულ ომებს, რომ აქ მცხოვრები ხალხი შემცირებულიყო, რათა გადარჩენილებს მაინც ყოფნოდან ტერიტორია და მიწის ნაყოფი.

მაგრამ ევროპის მოსახლეობის დედამიწის სხვა კონტინენტზე გადანაცვლებას დასჭირდა იქ მცხოვრები წარმართი, ველური, ჯერაც სასტიკი და მზის და მთვარისადმი ადამიანთა მსხვეპლად შემწირავი ტომების ამოწყვეტა, იმის ნაცვლად, რომ მომხდარიყო მათი განვითარებისათვის, როგორც კაცობრიობის ევოლუციისათვის თვალის მიდევნება და შესწავლა... და დარჩა მზის და მთვარის ისეთი ტაძრები - მეცნიერთა უცნაური ეჭვებს რომ იწვევს, იქნებ უცხოპლანეტელებმა ააშენეს ეგვიპტის პირამიდებთან ერთად, როგორც თავიანთი საპლანეტაშორისო სადგურები და აეროდრომებიო.

ამდენად, როცა საქართველო ბრუნდება ევროპულ რეგიონში, მის ინტერესთა სფეროში ექცევა არა მარტო ევროპელი ხალხების პოლიტიკური ცხოვრება, არამედ ამერიკაც, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფო, რომელიც ჯერ ასე დაგვიანებული მონობის სამყაროდ წარმოუდგათ მე-19 საუკუნეში და თუნდ ბიჩერ სტოუს ნაწარმოებებით ბევრი ცრემლი აღვრევინა სენტიმენტალურ ადამიანებს. მერე კი სრულიად ახალი სახის, წოდებათა გარეშე მცხოვრებ მოქალაქეთა დემოკრატიულ პოლიტიკურ ერთეულებად.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებია, მსოფლიოს მრავალი ხალხი იბრძვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. რუსეთში ბატონყმობა უქმდება... ამერიკაშიც მონობის გაუქმებისათვის იბრძვიან...

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ თითქმის მთელი მსოფლიო სამართლიანად თვლის პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას. ფეოდალიზმი დაირღვა, ადამიანთა კასტებად დაყოფა გაქრა. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია დამარცხდა და მსოფლიო რეაქციის მიერ მოხდა რესტავრაცია, საფრანგეთში მაინც გრძელდება პერმანენტული რევოლუცია, რომელიც კომუნამდე მიდის. ევროპაშიც და ამერიკაშიც იბრძვიან განმანათლებელთა იდეების განსახორციელებლად.

ყველა ადამიანი თანაბარი უფლებებით უნდა იწყებდეს ცხოვრებას, ყველა უნდა იყოს მოქალაქე.

მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში და პერიოდულ პრესაში ბევრ ცნობას შეხვდებით ამერიკის შესახებ, მეცნიერები სწავლობენ მე-19 საუკუნის გამორჩეულ მოღვაწეთა ნააზრევში როგორაა დახატული ამერიკა და ამერიკასთან დაკავშირებული პრობლემები.

ამჯერად ჩვენ გვინდა წარმოვადგინოთ როგორ ამერიკას ვხვდებით აკაკი წერეთლის მხატვრულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში.

მხატვრულ ნაწარმოებებში ამერიკაზე თითქმის არაფერი წერია, მაგრამ პუბლიცისტურ წერილებში ნამდვილად საინტერესოდ გამოკრთება აკაკის წარმოდგენა ამერიკაზე.

მასალა არც ისე დიდი მოცულობისაა.

1868 წელს თავის ერთ პუბლიცისტურ წერილში აკაკი პირველად ახსენებს ამერიკას.

ახალგაზრდა კრიტიკოსმა, გვარად ბეთანელმა აკაკის შეუტია იმის გამო, რომ იგი გამოესარჩლა ცნობილ ქართველ მწერალ ქალს ბარბარე ჯორჯაძეს.(5)

საქმე ისაა, რომ 1861 წელს 24 წლის სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდა კრიტიკული წერილი „ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავისაგან კოზლოვის „შემლილის“ თარგმანზე“, სადაც სვამდა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს:

1. რა უნდა ვთარგმნოთ და როგორ უნდა ვთარგმნოთ
2. შეიძლება თუ არა ფორმის სრულყოფილებისათვის გავწიროთ შინაარსი? და მხარს შინაარსის ესთეტიკას უჭერდა.
3. ასევე, გამოდიოდა სენტიმენტალიზმის, როგორც მოძველებული მიმართულების წინააღმდეგ და
4. მოითხოვდა ენობრივ რეფორმასაც, (ხმარებიდან იმ ხუთი ასოს ამოღებას, რომელთა შესაბამისის ბგერები აღარ ისმოდა ქართულ ენაში) იმის მსგავსს, როგორც კარამზინმა ჩაატარა რუსეთში.

თუმცა ილია კარამზინის ენობრივ რეფორმასთან კავშირზე არაფერს წერს. მის მთავარ დამსახურებად რუსეთის ისტორიის დაწერას თვლის და როგორც მწერალს მოძველებული მიმართულების არც ისე ნიჭიერ ინდივიდად წარმოუდგენს ქართულ საზოგადოებას, მით უფრო მისი სკოლის პოეტს კოზლოვს, მას ძალად მტირალ და ძალად სენტიმენტალურ ავტორს უწოდებს, რომლის თარგმანებშიც დიდ ავტორთა (ბაირონი, ანდრე შენიე) დიდი გრძნობები წვრილმანდება და სენტიმენტალურად ხურდავდება.

ილიას უპასუხა „ცისკრის“ რედაქციამ. ძველი თაობის სამმა წარმოადგენელმა დაწერა საპასუხო წერილი. მათ შორის ცნობილმა ქართველმა მწერალმა ქალმა, ასევე ცნობილი ქართველი პოეტის, პროზაიკოსის, დრამატურგის და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავის დამ - ბარბარე ჯორჯაძემ.

ეს პოლემიკა დღესაც შეიწავლება როგორც საინტერესო კამათის ნიმუში. ილია მეტისმეტად მკაცრ, ლამის ულმობელ პოლემისტად გამოიყურება.

ერთი შეხედვით მძიმე კონფლიქტი იწყება ახალ და ძველ თაობას შორის. ილიას გვერდით დაუდგნენ სხვა „თერგდალეულებიც“ - რუსეთში განათლებამიღებულები, ჯერაც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები, მათ შორის აკაკი წერეთელიც.

საბოლოოდ საქართველოში დაბრუნებულმა ილია ჭავჭავაძემ შექმნა „საქართველოს მოამბე“ და თავისი ესთეტიკით და პრობლემებით დაუპირისპირდა „ცისკარს“.

ძველ „ცისკარში“ არა მარტო ილია, აკაკი წერეთელიც იბეჭდებოდა. მისი პოეზია გამორჩეულად შეიყვარა საქართველომ, ძველი თაობის „ცისკრელებმა“, მით უფრო რომ როგორც გურამ ასათიანი წერს, აკაკის „საიდუმლო ბარათი“ და „ლოდინი“ სრულად ახალ ესთეტიკას [რეალისტურს] უდებდა საფუძველს და თითქოს მისი ლექსებით აღაპარაკდა საქართველო. ის ილიაზე უფრო კეთილხმოვნად, ფორმამოწესრიგებულად ჩაითვალა. აკი, აკაკი იმდროინდელ რუსეთში გამართულ „ნილილისტების“ და „ფორმალისტების“ კამათისას არც ერთის მხარეს არ იჭერდა და ალექსეი ტოლსტოივით<sup>1</sup> შინარსის და ფორმის ჰარმონიას მოითხოვდა.

მოგვიანებით იმდროინდელი „ცისკრის“ რედაქციაზე აკაკიმ შესანიშნავი მოგონებები დაწერა.

<sup>1</sup>ალექსეი კონსტანტინეს ძე ტოლსტოი (1817-1875)

„ცისკარმა“ აკაკი და ანტონ ფურცელაძე (მწერალი და უფრო შესანიშნავი ახალგაზრდა კრიტიკოსი) თავის რედაქციაში მიიწვია ჟურნალის ახალ რელსებზე გადასაყვანად. მათ გამოცოტა ხნის მერე „ცისკარი“ უფრო უკიდურესი შინაარსის ესთეტიკის, ლამის უტილიტარიზმის მქადაგებლად იქცა და დაუპირისპირდა ილიას ზომიერ „საქართველოს მოამბეს“

რადაც მიზეზის გამო (რაც უფრო პიროვნულ შეუთავსებობას ჰგავს), ილიამ უარი თქვა თავის ჟურნალში აკაკის მიღებაზე.

აკაკი ილიაზე არანაკლებ მახვილი და მწარე პოლემისტი იყო, მაგრამ რახან ილიას „უკიდურესობა“ და „შინიდან გამოუსვლელი“ და „შინგაზრდილი“ ბარბარე ჯორჯაძის კრიტიკა მეტისმეტად ჩათვალა, გამოესარჩლა მწერალ ქალს. სხვათა შორის, მერეც თავის პირად წერილებშიც ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილისადმი იცავს როგორც დრამატურგს და იმდროინდელი გაზეთების რეცენზენტების საპირისპიროდ მაღალ შეფასება აძლევს მის პიესა „მშვენიერ კეკელას“ და ამ პიესის თეატრალურ დადგმას თბილისში. რახან ქალია, იმიტომ ამოიჩემეს და დასცინიაო, პიესაც კარგი იყო და სპექტაკლიცო. ტყუიან, მაყურებლები არ მიუტოვებიათ და არც უადგილოდ არ იცინოდნენო.

აკაკი ბარბარე ჯორჯაძეს გამოესარჩლა უპირველესად როგორც მოღვაწე ქალს. ის პირველ ღრუბელს შეადარა, რომელსაც სხვა ღრუბლებიც მოყვებიან და წვიმად ქცეულები გაანედლებენ გვალვისაგან გამომშრალ მიწას. მოღვაწე ქალს, რომელიც კეკლუცობის ნაცვლად ნამდვილ ეროვნულ საქმეს უდგას სათავეში, კრიტიკა კი არა, გვერდით დადგომა და სხვებისათვის მაგალითად დასახვა სჭირდებაო.

ის ოდნავ ექსცენტრულ, ჩქარა მოლაპარაკე იმპულსურ ქალად მყავდა წარმოდგენილი, განსაკუთრებით ნაწარმოებებზე მუშაობისას, არადა, პირველად „ცისკრის“ რედაქციაში ვნახე, ზომიერი და ოდნავ ფლეგმატური როგორ წერდა თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ლექსს „არაგვსო“. აკაკი აქებს მის „დედა და შვილს“. იგივე თემა შემდეგ ილიას მთელს შემოქმედებას მიყვება. დედა უმაღლესი შვილის ზნეობაზე და სულიერ აღზრდაზე უნდა ზრუნავდეს და არა მის ფიზიკურ გადარჩენაზე, თუნდ კომპრომისების და მაღალი ღირებულებებისადმი ღალატის ხარჯზეო, რისი ბევრი მაგალითიც იყო მათ ირგვლივ (4) (5).

აკაკი თვლიდა, რომ ქალები დიდ როლს ასრულებდნენ საქართველოს ისტორიაში.

ბარბარე ჯორჯაძეც შეიძლება ჟორჟ სანდი არაა, მაგრამ მაინც კარგი მაგალითია მისი თანამედროვე ქალებისათვის (5).

მოგვიანებით დაწერს პუბლიცისტურ წერილს ქალის სოციალურ მდგომარეობაზე ძველ საქართველოში (9) და ხშირად მათ ტრაგიკულ ბედზეც. იგი წერს, რომ მამაკაცები სულ ომში იყვნენ და ოჯახის საქმე და მწიგნობრობა ქალების ხელში დარჩა, ძალიან კარგად იცოდნენ მწერლობა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანი“. ბამავდნენ ნესტან-თინათინებს, მამაკაცები მაჯას იხსნიდნენ, სისხლით წერდნენ სამიჯნურო ბარათებს და ტარიელივით ხელჩამოკიდებული დადიოდნენ. ქალები უფრო განათლებულები იყვნენ, მაგრამ მამაკაცებს შორის მაინც მეტი მწერალი იყო. ქალები არ წერდნენ, რადგან გავრცელებული შეხედულებებით ლექსად მარტო სამიჯნური გრძნობების გამოხატვა შეიძლებოდა, მით უფრო სპარსი პოეტებიც ფირდოუსი, საადი, ჰაფიზი, ფეიზელი ითარგმნა.

ქალისაგან სირცხვილად ითვლებოდა სიყვარულზე წერა. და თუნდ ეს უშლიდა ხელს ისეთი ნაწარმოებების დაწერას, სადაც სამყაროს ქალური აღქმა იქნებოდა სრულად



გამოხატული. პირველი ცნობილი პოეტი ქალი (იმერეთში) იყო სოლომონ I -ის ასული დარეჯანი. მისმა მრისხანე სატირამ თეოფილაქტეზე (რუსანოვზე) იმერეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა, გამოჩნდა თეკლა ბატონიშვილი. ამბობდნენ, ივანე ერისთავის ქალები განსაკუთრებულები არიანო, არისტოტელე იციან და ლექსებს წერენო.

გრიგოლ წერეთლის შვილმა ალექსანდრემ ითხოვა ეკატერინე, მაგრამ ის ისე მგრძობიარე, თავდაუჭერელი და წრფელი იყო, ქმართან უკმაყოფილება მოუვიდა და ლექსები დაწერა ამის შესახებ. ეს ნაწარმოებები ხალხმა იცოდა, მაგრამ არ უთანაგრძნობდნენ, როგორც ქალს. გიორგი ერისთავი<sup>2</sup> ძალიან უჭერდა მხარს, მაგრამ დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა არ დარჩენია. მისი მეორე და მარიამიც ნიჭიერი იყო, მაგრამ ისიც ჩრდილში აღმოჩნდა. პირველი ქალი, რომლის ნაწარმოებები ბეჭდური სახით იხილა ქართულმა საზოგადოებამ, სწორედ ბარბარე ჯორჯაძე იყო.

წერილში, სადაც ავტორი ბეთანელი, ჩანს, ილია ჭავჭავაძეს ესარჩლებოდა ბარბარე ჯორჯაძესთან კამათისას, აკაკის უსაყვედურებს - წოდებით ამპარტავნებას თავის საჟურნალო წერილს ხელს აწერს „თავადი აკაკი წერეთელიო“. (5)

შეიძლება ამით იმაზეც უნდოდა ხაზი გაესვა, რომ „ცისკრის“ რედაქციაში თავი მოიყარეს მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენლებმა, მეფეთა შთამომავლებმა, თუნდ დედის მხრიდან. ალექსანდრე ორბელიანმა (ერეკლე II-ის შვილიშვილმა) აკაკი წერეთელმა (სოლომონ I-ის შვილთაშვილმა) ბარბარე და რაფიელ ერისთავებმა აღმოსავლეთ საქართველოს მთის ნაწილის ადრინდელმა მმართველებმა) მუხრან ბატონმა, რევაზ ერისთავმა, ბარათაშვილმა და თუ ილიას ესარჩლებოდა, არც ილია იყო სხვებზე ნაკლები თავადი, მერე რა რომ „ლიბერალი იყო, ოღონდ ბურთივით მრგვალი“.

აკაკი ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატი და ხალხური მოღვაწე იყო მე-19 საუკუნის საქართველოში, მაგრამ თავისი მოღვაწეობის დასაწყისშიც და 80-იან წლებშიც „ხალხოსნებთან“ კამათისასაც წამოაძახეს თავადობა.

აკაკიმ ბეთანელსაც და ხალხოსნებსაც უპასუხა. ჯერ ვნახოთ, როგორ უპასუხა „ხალხოსნებს“, რომლებიც საშუალო სასულიერო წოდების წარმომადგენელთა შთამომავლები იყვნენ.

აკაკი თავისი განთქმული ირონიით წერდა „თურმე თავადობა ცოდვა ყოფილა, „დიაკვნიშვილობა“ კი დამსახურებაო. ბევრი ხალხური შედეგია დაწერილი თავადებზე, დიაკვანზე კი მარტო ერთი ლექსი ვიცი: „დიაკვანო ბერასაო, თავი გიგავს ბერასაო, აი, თვალი დაუდგება მაგ შენს კითხვა-წერასაო“ წოდებაა მთავარი თუ პიროვნება თავისი დამოკიდებულებით ეროვნული და სოციალური საკითხისადმიო.

და ახლაც, ბეთანელს პასუხობს: მე მგონი ჩვენ საქართველოში ვცხოვრობთ, სადაც წოდებები ჯერაც შენარჩუნებულია (რუსეთის იმპერიაში ბატონყმობის გაუქმების მიუხედავად, წოდებები არ გაუქმებულა და გლეხები უმიწოდ გათავისუფლდნენ). ჩვენ ამერიკაში არ ვცხოვრობთ, სადაც მხოლოდ მოქალაქეები არიანო. (5)

ე.ი. 1868 წელს აკაკის თვალთ დაწახული ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა, სადაც არ არის წოდებები. ის ამერიკას თვლის ბურჟუაზიულ ქვეყნად, უფრო ბურჟუაზიულად, ვიდრე საფრანგეთს, სადაც რესტავრაციის შემდეგ აღდგა წოდებები და თუნდ ინგლისს, სადაც

<sup>2</sup>ცნობილი ქართველი დრამატურგი, მე-19 საუკუნეში საქართველოში ევროპული თეატრის აღმდგენი და ჟურნალ „ცისკრის“ დამაარსებელი



რევოლუციის მერე, რახან კონსტიტუციური მონარქია დამყარდა, წოდებები არ გაუქმებულა და პარლამენტში არის ლორდთა და თემთა პალატა.

ამერიკა აკაკისთვის დემოკრატიის სამეფოა, რომელიც არ გავს რუსეთის იმპერიას, ჯერ კიდევ ფეოდალურ ქვეყანას. მე-20 საუკუნეში მომხდარ რევოლუციამდე ფეოდალურ მონარქიად დარჩება მასში განვითარებული პირველი ბურჟუაზიული ძვრების მიუხედავად.

ქუთაისის ამერიკასთან ირონიული შედარება გვხვდება აკაკის 80-იანი წლების დასაწყისში დაწერილ ერთ პუბლიცისტურ წერილში, რომელსაც ჰქვია „ქუთაისი“ (8). თავადაზნაურთა ყრილობის დროს ყველა ერთმანეთს ეხვევა, თითქმის წოდებები ისე გაქრა, როგორც ამერიკაში...

არადა, ქუთაისის ბულვარში ობობასავით ზის ბიბლიური გარეგნობის გრძელწვერა ურია მევახშე, რომლის ქსელშიც გაბმულა ათასი ბუზივით ბუზილა და არაფრის მაქნისი ამომრჩეველი. (8)

ასევე, აკაკის აქვს ერთი ნაწარმოები „ეიფელის კომპოზედ“ (ლექსი პროზად), სადაც აღწერს თავის მოგზაურობას პარიზში (1906 წელს) და ეიფელის კომპოზე მყოფი ესაუბრება ამერიკელ ქალს. (10)

ამერიკა ამ ნაწარმოებშიც ევროპის ნაწილია. ევროპაშიც, ამერიკაშიც ცივილიზაციას, ხელოვნურ ცხოვრებას გაუმარჯვია, ბუნებაზე მალა დამდგარა, ყველაფერი ანგარებით და სარგებლიანობით გამომშრალა, სიყვარული მოგების საგანი გამხდარა.

ამერიკელი ქალი, რომელსაც ყველა სიკეთე გააჩნია, მშობლებისაგან დატოვებული დიდი მემკვიდრეობა, სიმდიდრე, ჯანმრთელობაც (აკაკი საფრანგეთში სამკურნალოდ იყო წასული) ბედნიერების სამეზნელად პარიზში ჩამოსულა. მისი აზრით, ბედნიერება მხოლოდ სიყვარულში შეიძლება იპოვოს ადამიანმა, მაგრამ აქაც, ევროპაშიც არ ჩანან წრფელი, ნამდვილ გრძნობას აყოლილი ადამიანები. ვერც ევროპაში იპოვა თავისთვის და ზოგადადაც ნამდვილი სიყვარული, იქნებ ის საერთოდ არც არსებობს ქვეყნად...

აკაკი კი ეუბნება, რომ მისი აზრითაც ამ ცივილიზებულ სამყაროში მართლაც გამქრალა სიყვარული, ყველაფერი ბრუნავს, ელავს, მაგრამ სითბოსაგანაა დაცლილი. მის სამშობლოში კი, სადაც ჯერ კიდევ ბუნება მეფობს, ადამიანები სიყვარულით ცხოვრობენ...

ძველი საქართველოს ოქროს „ეპოქიდან“ შემორჩენილი გრძნობები ჯერ კიდევ ვერ გაახუნა „მეგობარი“ სახელმწიფოსგან შემოტანილმა ღირებულებებმა. (აკაკი საქართველოს რუსეთთან შეერთებას ისეთივე გარდამტეხ მიჯნად თვლიდა თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორადაც „სლავოფილები“ პეტრე პირველის რეფორმას) რომ ქართველი ქალები თავიანთი სრულყოფილი შინაგანი სულიერი სიღრმით და გარეგნული მშვენიერებით ნამდვილად იწვევენ ჭეშმარიტ სიყვარულს და რომ ასეთი სიყვარულის ობიექტი მასაც ჰყავს, რომ ეს ქალი არაა მხოლოდ სატრფო, ის დედაცაა, დიასახლისიცაა და სწორედ, ესაა მისი მშვენიერების საფუძველი. მასში ვლინდება არა მარტო ქალი-სატრფო, ქალი, თუნდ სხვისი შვილების,

დედაც,<sup>3</sup> ის არაა ფუქსავატი, ტკბობას აყოლილი ქალი. ის მთელი დღე შრომობს და სწორედ, ეს იწვევს მისადმი აკაკის სიყვარულს<sup>4</sup>.

ამ ქალის მშვენიერი სულია მისთვის მთავარი, თუმც მშვენიერ სულს „ხორციც შეჰქათქათებს“ ესაა თვითონ ფიზიკური და სულიერი სრულყოფილების განსახიერება.

აკაკის მოსმენის მერე ამერიკელი ქალი ამბობს, რომ მას უკვე ძალიან უნდა ნახოს მისი სამშობლო, საქართველო, რომლის შესახებაც მან არაფერი იცოდა. გაუგონია, რომ არის კავკასია, სადაც ცხოვრობენ ჩერქეზები, სომხები, მაგრამ არაფერი იცოდა საქართველოზე. და ახლა მას, სიყვარულის და წრფელი გრძნობების, ნამდვილი ადამიანების მძებნელს, ფუჭი ცხოვრებით დაღლილს, უჩნდება სურვილი ჩამოვიდეს ამ უცნაურ, იდეალურ ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია ნამდვილი გრძნობები, ნამდვილი, ანგარებით შეუბღალავი ადამიანები, სადაც არსებობს ისეთი სიყვარული, რომელზეც აკაკიმ ილაპარაკა და ნახოს ის მშვენიერი ქალიც, აკაკის სატრფო, რომელიც აკაკისგან აღწერილი სიყვარულის სულიდან შობის მიზეზია...

აბა, იმ ქალმა რა იცოდა ვის ელაპარაკა, ქართველების შვიდთაგან ყველაზე დიდ მგოსანს, გალაკტიონის თქმით „ნამდვილ ბაირონს მწუხარებაში, ნამდვილი სერვანტესს ხუმრობაში, ნამდვილი ჰეინეს ეროტიკაში“, რომელიც საუბრობდა თავის უკანასკნელ, დიდ სიყვარულზე, გედის გალობად რომ გადმოიღვარა და ქართულ პოეზიას სატრფიალო ლირიკის შესანიშნავი შედეგები შესძინა.

სხვათა შორის, აკაკის მეორე მოგზაურობისას საფრანგეთში მწერლის იუბილის მერე 1909 წელს იგი პარიზში შეხვედრია ახალგაზრდა კატო მიქელამეს. აკაკი მას იცნობდა ბავშვობიდან, ნიკო ნიკოლაძის დების ოჯახიდან, რომელსაც, როგორც ნიკო ნიკოლაძის ახლო მეგობარი ხშირად სტუმრობდა. ეს გოგონა მეგობრობდა მათი გადაცვლილი დის, ოლიკოს და გიორგი წერეთლის ქალიშვილთან ელიკო წერეთელთან, რომელიც დეიდებთან იზრდებოდა. აქაც, პარიზში აკაკი დაბინავებულა ნიკო ნიკოლაძის პირველი ცოლის ოჯახში.

<sup>3</sup> აკაკი ტასო ბაგრატიონ-მაჩაბლისას რაფაელის სიქსტეს მადონას ადარებს, თვითონ თხზავს, მაგრამ ხალხურად ასაღებს ლექსს:

„ხომალდში ჩავჯექე, ზღვას გავველ,

ფრანგის ქვეყნები ვნახეო,

სულ დავიარე ქვეყანა,

ვერ ვნახე შენი სახეო,

ანთებულ სანთელს გამსგავსე,

დილის ცისკარზე გნახეო,

ხელში მეჭირა ყმაწვილი,

ფარსაგ ვერ დაგინახეო“

<sup>4</sup> აკაკი ამბობდა, რომ ბაგრატიონის ქალებს-ნიცას, ტასოს, ბაბოს, როგორც დიასახლისებს და მამულის მმართველებს, სულ ნაპერწკლები ცვიოდათ, ალბათ, დედამისის, ეკატერინე აბაშიძესავით, რომლის გარეშეც, მისი ნიჭიერი, ნათელი გონების, მაგრამ, იმპულსური და ექსცენტრული მამის გამო ყველაფერი არეული იქნებოდა მამულში

კატო მიქელაძე წერს, რომ აკაკიმ გამორჩეული შთაბეჭდილება მოახდინა მაღამ დე სენ ვიქტორზე, კომუნის მომსწრე, მრავალი დიდი ადამიანის მნახველ არისტოკრატ ქალზე, რომელიც მას გაუცვნია ლივრში, მარკიზა დე სივინიეს სახელობის პანსიონში, სადაც ყოველი ზაფხულს ჩადიოდა დასასვენებლად და საცხოვრებლად.

მაღამ დე სენ ვიქტორს აკაკი რომ დაუნახავს, გაოცებულს აღმოხდენია: „რა მშვენიერი მამაკაცია!“

არც მან იცოდა ვის შეხვდა, არ იცოდა, რომ მის წინაშე იდგა „საქართველოს უგვირგვინო მეფე“, რომელმაც თავისი სინათლით სავსე შემოქმედებითი დაიპყრო და მართა საქართველო მთელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში.

მოკლედ, აკაკიმ საქმიანი, ანგარებიანი ამერიკელებით, ცივილიზაციით და ევროპელების გარეგნული, ფუქსავატური ცხოვრებით დაღლილ ამერიკელ ქალს საქართველოს, როგორც სულიერების და ბუნებრივი გრძნობების რომანტიული სამყაროს, „აღთქმული ქვეყნის“ ხატი შეუქმნა.

საინტერესოა, რომ ამ მოკლე დიალოგში აკაკისთვის ამერიკა სულაც არაა შატობრიანის „ატალას“ გმირის, შაქტასის ეგზოტიკური ქვეყანა, ბუნებრივი გრძნობების წარმართული სამყარო, ქრისტიანულ ასკეტიზმთან პირველი შეხებით ცოდვად რომ ექცა სიყვარული და მაინც წამლეკავ მაღლად რომ იხატება. სხვათა შორის, ამ პერიოდის აკაკი ნამდვილად გავს შაქტასს ან გრეთჰენთან შეხვედრის მერე გაახალგაზრდავებულ ფაუსტს.

უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისია, დაახლოებით 1806 წელი... მისთვის მერკანტილიზმით, პრაქტიციზმით სავსე ამერიკელები ოქროს მამიებელი ავანტიურისტების გენზე ამოსული ტექნოკრატები არიან, რომლებმაც არ იციან რა არის სიყვარული, მათთან „ნიბელუნგების ოქრო“ მუდამ შხამავს და კლავს სიყვარულს და ეს ხატი აკაკის ამერიკელმა ქალმა მიაწოდა...

საქართველო კი სიყვარულის ქვეყანააო ვინ იცის რატომ უმტკიცებს ამ ქალს... იქნებ არც ცდებოდა, მაგრამ აკაკიზე იცოდნენ თქმა თვით რიგითმა, უბრალო ადამიანებმა „რა ლამაზად მოიცრუებს ეს დალოცვილიო“, არიან მისი მეგობრები, რომლებიც ამბობენ - არ ტყუოდა, იმ ფაქტს ყვებოდა, რომელსაც თვით შევესწარი, მაგრამ ისეთი მშვენიერი სამოსელით წარმოადგენდა, ტყუილი გეგონებოდაო, ან „აკაკი ისე ტყუოდა თითქოს უნდოდა ეს იამოვნებოდა“ (ნატვრის ახდენასავით გაწოდებდა შენთვის სასურველს

და მაინც... ამ ეპოქის საქართველოშიც დაიწყო ოქროს ციებ-ცხელება, აკაკისაც უნდოდა ყოფილიყო კრეზი, მიწაში არსებული მადნეულის და სიმდიდრის გამო თითქოს ავანსად იდებოდა ხელშეკრულება უცხოელებთან, ევროპელებთანაც და რუსებთანაც...

არგონავტების ლაშქრობად ეჩვენებოდა აკაკის უცხოელი მრეწველების ჩამოსვლა საქართველოში, „ოქროს კოლხეთში“, სადაც მთაში მდინარეებს ალიასკასავით მოყვებოდა ოქროს ქვიშა, ფაცერებით რომ აგროვებდნენ.

აკაკიც ოცნებობდა „როტშილდის ქონებაზე“, არადა, ვერასოდეს ვერაფერი იპოვა ჯიბეში „იმერელი აზნაურივით მუდამ თავი რომ უხტოდა“<sup>5</sup>.

გერონტი ქიქოძის თქმით ცხოვრობდა როგორც „ფრინველი ზეცისა და შრომანი ველისა“ და მაინც არსებობა და წერა ხერხდებოდა, რადგან ის იყო აკაკი... მისი დაგეგმილი „არგონავტების ლაშქრობები“, ბრძოლა აგრარულ საქართველოში ნაპოვნი წიაღისეული

<sup>5</sup> ერთხელ, როცა ქურდმა ჩაუყო ჯიბეში ხელი და აკაკიმ იგრძნო, გაუღიმა და ჰკითხა „ვერაფერი იპოვეო“?... ვერც მე ვერ ვპოულობო... და მუშაობა დააწყებია წიგნების სამკინძაოში

სიმდიდრეების მოსაძიებლად, მერე მოპოვების დასაგეგმად, მრეწველობის გასავითარებლად მხოლოდ მე-20 საუკუნეში წაადგა უკვე სახელმწიფო ქონებაზე მიმართულ საქართველოს.

არადა ჩვენ გვგონია, რომ ეს ყველაფერი რაც გვაქვს იქნებოდა მუსინ პუშკინის, პეტრე რომანის ძე ბაგრატიონის, სემიონოვიჩის, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის გარეშე...

იმ გონიერი ადამიანების გარეშე ხალიბების და კოლხების მადნეულით სავსე ქვეყანა, ძველი მსოფლიოს ისტორიაშიც რომ დატოვა ანაბეჭდები თვით მე-19 საუკუნის ქართველებისათვისაც აღმოუჩენელი იქნებოდა.

მათმა გეოლოგიურმა ძიებებმა ქვანახშირის, მარგანეცის, ნავთობის, ვერცხლის, სპილენძის, ოქროს, იზოკერიტის აღმოსაჩენად ამოდრავა ჯერაც კარჩაკეტილ ნატურალურ მეურნეობაზე მიმართული საქართველო, ააჩქარა ცხოვრების რიტმი, სახედრებით ოკრო ბოკრო გზებზე აზიდა ქვანახშირი, მარგანეცი და წიაღისეული სიმდიდრეები ნატურისთვალისათვის აათამაშებია მატარებელს, გვირაბიდან გამომძვრალ აღმასის გველს. ეს სახეც რამდენიმეჯერ გვხვდება აკაკის პუბლიცისტიკაში.

1872 წლის „სახალწლო ნატურებში“ თებერვალ-არდაუჯერადის (აკაკის ერთ-ერთი ფსევდონიმია) ერთ-ერთი მთავარი წინასწარი მეტყველებაა, რომ ტყიბუილს მთიდან გამომძვრება გველემაპი და „კუდაბზიკა“ (იმერელი აზნაური) გააგდებინებს ნატურისთვალს (წმინდა გიორგის და გველემაპის პაროდიული ვერსია). მაგრამ ბუნებრივია, რომ გროტესკული სიცილი სდევს ამ ნატურას - ოცნებობ, მაგრამ ახდება კი?!..

1875 წელს დაწერილი „სახალწლო ხუმრობებში“ (7) არის ჩართული ოპერეტის მცირე მონახაზი, სადაც რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები და ბანკის „მეკენჭეები“ მღერიან და „ვარსკვლავთმრიცხველის“ რჩევით ასაფლავებენ „დიდფულადეს“ და სჯერათ, რომ მიწიდან ამოვა ოქროს და ვერცხლის ფოთლებიანი და ოქროს და ვერცხლის ნაყოფით დახუნძლული ხეები...

არადა მიწიდან ეკლები ამოდის... კოტრდება თავადური საქართველო... იყიდება მამულები ორბელიანებისა, ერისთავებისა, ჭავჭავაძეებისა... აკაკი, პოეტი „გაჩეჩილადის“ (ეს უკვე მეორე ფსევდონიმია) აზრით ბანკი აჩქარებს ამ პროცესს.

მართლა გული გწყდება, რომ აკაკის პუბლიცისტურ წერილებში გროტესკული მონახაზები მოსალოდნელზე მეტი მხატვრულობა რომ ახლავთ, მხოლოდ ესკიზებად დარჩათ... აკაკიმ მაინც სულ წარსულზე, როგორც იდეალზე წერა და მის თანამედროვე ცხოვრებაზე მხოლოდ პუბლიცისტიკაში და ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში შემორჩენილი მხატვრული ელემენტებიანი ფრაგმენტები დატოვა, დასაწერი რეალისტური რომანის ფურცლებს რომ ჰგავს.

აკაკი ამერიკას ახსენებს ლევ ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მის პატარა, მაგრამ საინტერესო წერილშიც.(11) ლევ ტოლსტოის თვით ამერიკაშიც იცნობდნენო.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართული ლიტერატურის ისტორია (აკადემიის გამოცემა) ტ.4, (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი) თბ., 1974 წ.

2. ს. დანელია, ნარკვევები მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1959 წ.
3. მ. ე. ელიზაროვა, ს.პ. ჯიგდაუ, ბ. ი. კოლისნიკოვი, ნ. პ. მიხალსკაია, მე-19 საუკუნის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973 წ.
4. აკ. წერეთელი, რამდენიმე სიტყვა შესახებ ბარბარე ჯორჯაძისა (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.11, თბ., 1960 წ., გვ. 36.
5. აკ. წერეთელი, პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“ (თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ. 11, თბ., 1960 წ., გვ.43.
6. აკ. წერეთელი, ცხელ-ცხელი ამბები, (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.11, თბ., 1960 წ., გვ. 99.
7. აკ. წერეთელი, საახალწლო ხუმრობა, (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.11, თბ., 1960 წ., გვ. 250.
8. აკ. წერეთელი, ქუთაისი (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.12, თბ., 1960წ., გვ.147.
9. აკ. წერეთელი, გახსენება, (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.13, თბ., 1961 წ., გვ.151.
10. აკ. წერეთელი, ეიფელის კოშკზედ. (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.14, თბ., 1961წ., გვ. 315.
11. აკ. წერეთელი, ლევ ტოლსტოი, (აკ. წერეთელი, თხზ-თა სრული კრებული 15 ტომად) ტ.12, თბ., 1960წ., გვ.147.
12. აკ. წერეთელი, კატო მიქელაძე, მოგონებები აკაკიზე, 1990 წ., გვ. 345.

## **Akaki Tsereteli about America**

**Tamar Akhvlediani**

Doctor of philological sciences, Associate Professor Akaki Tsereteli State University

### **Abstract**

Information about America reached Georgia in the 19th century.

During this period, our writers and journalists wrote about the problems that American life causes.

Of interest is an American icon presented with little material in journalism of Akaki Tsereteli.

America is a country where ranks and titles have been abolished, and there are only citizens with equal rights.

On the other hand, America is not a romantic country living according to the laws of nature. Here, the desire to get rich easily poisons human senses.

**Key word:** *Akaki Tsereteli; America; titles; democracy; gold; love*



## ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის გაგება ნეიროფილოსოფიის კრილში

ლალი ანთიძე<sup>1</sup>; იმედა იაკოვენკო<sup>2</sup>

<sup>1</sup>ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ასოცირებული პროფესორი; <sup>2</sup>თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტი

### აბსტრაქტი

მატერიალურისა და იდეალურის, ტვინისა და ცნობიერების, დრო-სივრცული და მის მიღმა არსებული პროცესების ურთიერთდამოკიდებულება არის ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა, რომელიც იმთავითვე იქცა ფილოსოფოსთა საჯილდაო ქვად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში განხორციელებული რევოლუციური აღმოჩენები და შესაბამისად, ყოველი ახალი პარადიგმა, როგორც წესი, ფილოსოფიაში რყევებს იწვევს. ხდება ძირითადი ფილოსოფიური კონცეფციების ახლებური გადააზრება და მათი სამყაროს ერთიან სამეცნიერო სურათთან შესაბამისობაში მოყვანა. ამ თვალსაზრისით, ტვინის და ნერვულ მოქმედებათა ემპირიული კვლევების საფუძველზე იქმნება ფილოსოფიის ახალი დარგი - ნეიროფილოსოფია.

პატრიცია ჩორჩლანდის შეხედულების მიხედვით, ცნობიერება განიხილება როგორც ტვინის სხვადასხვა კერების ფუნქციონირების შედეგი. იგი ცნობიერებას მოიაზრებს უმაღლესი ნერვული მოქმედებების პროდუქტად და სწორედ ნეირონული სისტემაზე რედუქციის გზით მიაჩნია შესაძლებელი ცნობიერების არსის დადგენა. ადამიანი კი არ ფლობს ტვინს, არამედ ტვინი ფლობს ცნობიერებას. გადაწყვეტილების მიღება არის არა ცნობიერების, არამედ ტვინის ნერვული მოქმედების შედეგი, რომელიც დროში წინ უსწრებს უკვე მიღებული გადაწყვეტილების გაცნობიერების პროცესს.

ვინაიდან, კლასიკური ფილოსოფიური კონცეფციის მიხედვით, „მე“-ს პოვნა ფიზიკური სხეულის სახით შეუძლებელია, პატრიცია ჩორჩლანდი და მისი თანამოაზრე თომას მეტცინგერი მას არარსებულად მიიჩნევენ. კანტაიური კრიტიციზმის კონფუკტს ნეიროფილოსოფია ემპირიული კვლევებით ამყარებს და კიდევ უფრო შორს მიდის. მეტცინგერისთვის ადამიანი გენური კოპირებით მიღებული „ბიორობოტა“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროცესს წარმოადგენს და ამ თვითობის პროცესზე კონცენტრაცია და

მისი გაცნობიერება არის ის ერთადერთი უნარი, რასაც მისი ნეიროფილოსოფია ადამიანის ფუნქციად მოიაზრებს.

ცნობიერების და ტვინის ფუნქციონირებას შორის კავშირის ძიება ახალი არ არის ფილოსოფიისათვის. ამ კავშირზე წერდნენ პლატონი, ლეონარდო და ვინჩი და რენე დეკარტი. დეკარტის მოსაზრებები ცნობიერებისა და ტვინის კავშირის შესახებ შეიძლება ნეიროფილოსოფიის პირველწყაროდაც მივიჩნიოთ.

ნეიროფილოსოფიამ, გაერთო რა ემპირიული საბუნებისმეტყველო აღმოჩენებით, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანის როგორც რთული სისტემის - თვითცნობიერების მატარებელი ბიო-ფიზიკური არსებიდან მხოლოდ ნეირონების ფუნქციონალური მოდელი მიიღო ისე, რომ თავად ადამიანი ფიქციად გამოაცხადა. უფრო მეტიც, მოშალა ინტერსუბიექტური ურთიერთობების ველიც.

ის წინააღმდეგობები, რაც ნეიროფილოსოფიის შიგნით წამოიქმნება და ის ურთულესი გამოწვევები, რაც მკვლევართა წინაშე დგას, იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ ტვინისა და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიური კვლევები იმდენად თავბრუდამხვევი ტემპით ვითარდება, რომ მისი შედეგების გადააზრება, განზოგადება და გარკვეულ თეორიულ სისტემაში მოქცევა აშკარად ჩამორჩება დაგროვილი ემპირიული ცოდნის მოცულობას. გარდა ამისა, ნეირონული კვანძებისა და ზოგადად ტვინის ფუნქციონირების ემპირიული შედეგები ინტერპრეტაციის უსასრულო ვარიაციის საშუალებას იძლევა, რაც ასევე ობიექტურად ართულებს არაწინააღმდეგობრივი თეორიული კონცეფციების დაფუძნების პროცესს.

**საკვანძო სიტყვები:** ნეიროფილოსოფია; ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმი; კვალია; ნეირომეცნიერება; ნეირონული ქსელები; ემპირიული კვლევები; შეგრძნებები; ცნობიერება; გაცნობიერება; ტვინი; ბიორობოტი; ინტერაქციონიზმი; ფიქცია; სიმულაცია; განზოგადება; სისტემა; ფუნქციონირება; ინტერპრეტაცია; თვითცნობიერება; საბუნებისმეტყველო აღმოჩენები; „მე“;

მატერიალისა და იდეალურის, ტვინისა და ცნობიერების, დრო-სივრცული და მის მიღმა არსებული პროცესების ურთიერთდამოკიდებულება არის ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა, რომელიც იმთავითვე იქცა ფილოსოფოსთა საჯილდაო ქვად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში განხორციელებული რევოლუციური აღმოჩენები და შესაბამისად, ყოველი ახალი პარადიგმა, როგორც წესი, ფილოსოფიაში რყევებს იწვევს. ხდება ძირითადი ფილოსოფიური კონცეფციების ახლებური გადააზრება და მათი სამყაროს ერთიან სამეცნიერო სურათთან შესაბამისობაში მოყვანა. ფილოსოფიის ისტორიას ახსოვს მსგავსი მოვლენები კოპერნიკის ჰელიოცენტრული მოდელის სახით; მექანიციზმის თეორიის სახით, რომელიც ნიუტონის მექანიკის კანონების აღმოჩენას მოყვა; ასევე, დიდი აფეთქების თეორიის თანამდევი სამყაროს კოსმოგონიური და კოსმოლოგიური მოდელებისა და სხვ. სახით. ნეიროფილოსოფიის, როგორც დარგის დაფუძნება განაპირობა ნეირომეცნიერებაში განხორციელებულმა აღმოჩენებმა. შესაბამისად, ის არის დარგი, რომელიც ფორმირდება

შემეცნების თეორიის, ლინგვისტიკის, ეთიკის, ფსიქოლოგიის, მედიცინის და ნეიროანატომიის გადაკვეთის წერტილში და, თავისი არსით, ამ დარგების ინტეგრირების შედეგს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, ნეიროფილოსოფიის ცნება საკმაოდ ფართო შინაარსის მატარებელია და იმდენად ზოგადი, რომ მის შინაარსში შეიძლება გაერთიანდეს ნებისმიერი მეცნიერება, რომელიც „ანთროპოს“-თან შემხებლობაში მოდის.

ნეიროფილოსოფიის ცნება პირველად ჩნდება 1986 წელს და ეკუთვნის ამერიკელ მკვლევარს - პატრიცია ჩორჩლანდს, რომელიც ამ თემატიკას ეხება 1989 წელს გამოცემულ ნაშრომში „*ნეიროფილოსოფია*“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში გადმოცემული მოსაზრებები, ბევრი თეორეტიკოსის აზრით, დღესდღეობით მოძველებულად შეიძლება ჩაითვალოს<sup>6</sup>, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება მის (როგორც დარგის დამფუძნებლის) შეხედულებებს გარკვეულწილად შევხვით. ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის კონტექსტში თუ განვიხილავთ, ნეიროფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი (მრავალთა შორის) არის ტვინის, როგორც ფიზიკური ორგანოსა და მისი ფუნქციონალური მახასიათებლების კავშირი ცნობიერებასა და მის სტრუქტურასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ნეიროფილოსოფიის ჩორჩლანდისეული გაგება, არსებითად ეფუძნება ნერვული მოქმედებების ემპირიულ კვლევებს. ნეირონული ქსელების ფუნქციონირების მექანიზმი უნდა განთავისუფლებულიყო ფსიქოლოგიზმისა და ინდივიდუალური მახასიათებლებისგან, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი გატანა ინტერსუბიექტურ დონეზე იმ ხარისხით, რომ ფილოსოფიური განზოგადება შესაძლებელი გამხდარიყო.

ამ პრობლემატიკას როცა ვეხებით, გათვალისწინებული უნდა იქნას საკითხის ინვარიანტულობაც: თუნდაც ის გარემოება, რომ იდეალურისა და მატერიალურის ურთიერთმიმართება არ შეიძლება ბოლომდე ფსიქო-ფიზიოლოგიურ დამოკიდებულებამდე დავიყვანოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის კავშირი უდავოდ დიდია. ხოლო ნეიროფილოსოფიური კვლევები, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ფსიქო-ფიზიოლოგიური კავშირის ახსნის მცდელობად შეიძლება წარმოვადგინოთ.

პატრიცია ჩორჩლანდის შეხედულების მიხედვით, ცნობიერება განიხილება როგორც ტვინის სხვადასხვა კერების ფუნქციონირების შედეგი. იგი ცნობიერებას მოიაზრებს უმაღლესი ნერვული მოქმედებების პროდუქტად და სწორედ ნეირონული სისტემაზე რედუქციის გზით მიაჩნია შესაძლებელი ცნობიერების არსის დადგენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს ცნობიერებაში არსებული პროცესები, რომელიც ტვინის მოქმედებით არ არის განსაზღვრული. უფრო მეტიც, ადამიანი კი არ ფლობს ტვინს, არამედ ტვინი ფლობს ცნობიერებას. გადაწყვეტილების მიღება არის არა ცნობიერების, არამედ ტვინის ნერვული მოქმედების შედეგი, რომელიც დროში წინ უსწრებს უკვე მიღებული გადაწყვეტილების

<sup>6</sup> სავარაუდოდ, ეს სკეპსისი შეიძლება ეხებოდეს წიგნის პირველ ნაწილს, რომელიც ფუნქციონალურ ნეიროანატომიას და ტვინის შესწავლის სხვადასხვა ტექნიკას შეიცავს. თუმცა, ამ მონაცემებზე დაფუძნებული განზოგადებები და ბოლოვადი დასკვნები, რომელსაც ავტორი აკეთებს, დღესაც აქტუალურია.

გაცნობიერების პროცესს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დებულება, რომელსაც პ. ჩორჩლანდი პოსტულატების სახით იღებს, ნეიროფილოსოფიურ კვლევებს ეფუძნება და ემპირიული მონაცემებით არის გამყარებული. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ცნობიერების (ან სულის) და ტვინის ფუნქციონირებას შორის კავშირის ძიება ახალი არ არის ფილოსოფიისათვის. ამ კავშირზე წერდნენ პლატონი, ლეონარდო და ვინჩი და რენე დეკარტი. დეკარტის მოსაზრებები ცნობიერებისა და ტვინის კავშირის შესახებ შეიძლება ნეიროფილოსოფიის პირველწყაროდაც მივიჩნიოთ. ეს მით უფრო ცხადი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ დეკარტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეპიფიზის ჯირკვალის ფუნქციონირებას და მის გავლენას ცნობიერებაზე.<sup>7</sup> დეკარტი დუალისტად რჩება, ვინაიდან ამ კავშირების აღსაწერად ინტერაქციონიზმს (ცნობიერება და ტვინი ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებს) მიმართავს, მაშინ, როცა ნეიროფილოსოფია ტვინის (ნეირონული ქსელების) ფუნქციონირების პირველადობას აღიარებს.

ბუნებრივია, საკითხის ამგვარ დაყენებას მოსდევს ეთიკური კითხვების მთელი კასკადი: მთელ ამ მოცემულობაში სად არის „მე“-ს ადგილი? სად არის „მე“-ს საზღვრები? აქვს თუ არა ადამიანს თავისუფალი ნება? შემეცნება არის თუ არა ცნობიერი და მიზანმიმართული პროცესი? როგორია კავშირი ადამიანსა და მის გარესამყაროს შორის? როგორც ვხედავთ, კითხვები ტრადიციულია.

ვინაიდან, კლასიკური ფილოსოფიური კონცეფციის მიხედვით, „მე“-ს პოვნა ფიზიკური სხეულის სახით შეუძლებელია, პატრიცია ჩორჩლანდი და მისი თანამოაზრე თომას მეტცინგერი მას არარსებულად მიიჩნევენ. ეს სრულიად ლოგიკურად გამომდინარეობს პ. ჩორჩლანდის მატერიალისტური შეხედულებებიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მე“-ს არ გააჩნია ონტოლოგიური სტატუსი. მათ თანახმად, „მე“ არ არსებობს, რადგან ნეირომეცნიერების დარგში „მე“-ს ფილოსოფიური კონცეფცია სუბსტანციის სახით არ მოიძებნება, ამდენად მისი ონტოლოგიური სტატუსი შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს.<sup>8</sup> ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს „მე“-ს სრულიად ახალი კონცეფციის შექმნა, რედუქციული ნეიროფილოსოფია უპირატესად ეფუძნება ფაქტობრივ მონაცემებს. ამდენად, „მე“-ს ნიველირების კონცეფცია სრულად ეყრდნობა ნეირომეცნიერულ ალბათობას ბუნებრივი კონდიციის ფარგლებში, ხოლო კონცეპტუალური ალბათობა, რომელიც ლოგიკურ გამომდინარეობებს ეხება, ან უგულებელყოფილია, ან სრულიად უარყოფილი (კლარი; 2021:12-14). თ. მეტცინგერი, რომელიც განავრცობს ნეიროფილოსოფიის დებულებებს, მიიჩნევს, რომ „არ არსებულა ადამიანი, რომელიც იყო ან რომელსაც გააჩნდა “მე”. ყველაფერი, რაც სინამდვილეში არსებობს, ეს არის ცნობიერი თვითმოდებები, რომელთა მოდებებად აღქმა ვერ ხერხდება. სუბიექტური განცდა იმისა, რომ ხარ ვიღაც, წარმოიშვება მაშინ, როცა ინფორმაციის გადამამუშავებელი ცნობიერი სისტემა ოპერირებს ტრანსფარენტული თვითმოდელის თანახმად” (მეტცინგერი; 2004:1).

<sup>7</sup> ეპიფიზი მონაწილეობს ისეთი ნეიროტრანსმიტერული ჰორმონის (ნეირონებს შორის ელექტროქიმიური იმპულსების გადამტანი ნივთიერებები) წარმოებაში, როგორცაა სეროტონინი და მელატონინი. ნეიროტრანსმიტერის მაქსიმალურ ოდენობას ეპიფიზი დაბადების და გარდაცვალების დროს გამოყოფს.

<sup>8</sup> ამ ნაწილშიც ემიჯნება ნეიროფილოსოფია რენე დეკარტის შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც „მე“-ს სუბსტანციური არსებობა გააჩნია.



ჩორჩლანდის მსგავსად, ეფუძნება რა უამრავ ინოვაციურ ექსპერიმენტს ნეირომეცნიერებაში, ვირტუალურ რეალობაში, რობოტექნიკის სფეროში, ასევე საკუთარ პიონერულ კვლევას „სხეულის გარეთ“ გამოცდილების ფენომენზე<sup>9</sup>, მეტცინგერი უფრო შორს მიდის და იძლევა სურათს, თუ როგორ აშენებს ტვინი რეალობას - საკუთარ სინამდვილეს.

ის, რასაც ვხედავთ და გვესმის, ან რასაც ვგრძნობთ - სუნს, ფერს თუ გემოს, მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც რეალურად არსებობს იქ - „გარეთ“. ადამიანისთვის ცნობილია, რომ სინამდვილე ისეთი არ არის, როგორსაც თითქოს „ობიექტურად“ ხედავს. შემაშფოთებელი ხდება იმის აღმოჩენა, რომ სამყაროში ფერები არ არის. აქ მხოლოდ ელექტრომაგნიტური გამოსხივების ოკეანეა, სხვადასხვა ტალღის სიგრძის ველური და მძვინვარე ნაზავი. მათი უმეტესობა უხილავია და ვერასოდეს გახდება რეალობის ცნობიერი მოდელის ნაწილი. კვალის დაშვებას კი მივყავართ იქამდე, რომ ინფორმაცია, რომელიც თითქოს ობიექტურად მიიღება გარესამყაროდან შეგრძნებების საშუალებით, სინამდვილეში ფიზიოლოგიური და კოგნიტიური პროცესების მიერ იფილტრება<sup>10</sup> საბოლოოდ გამოდის<sup>11</sup> რომ თითოეული ადამიანი საკუთარ უნიკალურ სამყაროს აღიქვამს და ამჯერადაც იკარგება ობიექტური და მყარი რეალობა. კანტიანური კრიტიციზმის კონფეპტს ნეიროფილოსოფია ემპირიული კვლევებით ამყარებს და კიდევ უფრო შორს მიდის იმის დაშვებით, რომ არა მხოლოდ სამყაროს არსებობა, არამედ „მე“-ს არსებობაც კითხვის ქვეშ დადგა. მეტცინგერისთვის ადამიანი გენური კოპირებით მიღებული „ბიორობოტია“, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პროცესს წარმოადგენს და ამ თვითობის პროცესზე კონცენტრაცია და მისი გაცნობიერება არის ის ერთადერთი უნარი, რასაც მისი ნეიროფილოსოფია ადამიანის ფუნქციად მოიაზრებს. ეს კონცეფცია, რომელიც მან თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „იყო არავინ“ („Being no one“) ჩამოაყალიბა, კაცობრიობის ნარცისიზმზე კიდევ ერთ დარტყმას წარმოადგენს და მორიგ „კოსმოლოგიურ შეურაცხყოფად“ შეიძლება მოინათლოს.

ადამიანს არსებობა უხდება ორმხრივ სიმულაციაში: პირველი ისაა, რომ ტვინი ქმნის სამყაროს სიმულაციას, რომელიც იმდენად სრულყოფილია, რომ არ ვცნობთ მას, როგორც მხოლოდ ჩვენს გონებაში არსებულ მოცემულობას და ობიექტურობის სტატუსს ვანიჭებთ. მეორე სიმულაცია კი ისაა, რომ წარმოიქმნება საკუთარი თავის, როგორც მთლიანობის შინაგანი სურათი. ეს სურათი მოიცავს არა მხოლოდ სხეულს და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, არამედ ურთიერთობს როგორც დროში არსებულ მოვლენებთან - წარსულთან და მომავალთან, ასევე სხვა ცნობიერ არსებებთანაც.

ნეიროფილოსოფიამ, გაერთო რა ემპირიული საბუნებისმეტყველო აღმოჩენებით, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანის როგორც რთული სისტემის - თვითცნობიერების მატარებელი ბიო-ფიზიკური არსებიდან მხოლოდ ნეირონების ფუნქციონალური მოდელი მიიღო ისე, რომ თავად ადამიანი ფიქციად გამოაცხადა. უფრო მეტიც, მოშალა ინტერსუბიექტური ურთიერთობების ველიც.

<sup>9</sup>თ.მეტცინგერი იკვლევს და მტკიცებულებების სახით მოყავს მაგალითი, რომ ხელებისა და ფეხების გარეშე დაბადებულ ადამიანებს შეუძლიათ განიცადონ, რომ მათ აქვთ კიდურები. ასევე, იგი მოიხმობს ცნობილ ექსპერიმენტს, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი რეზინის ხელზე დარტყმის დროს, როცა იცის, რომ ის მისი სხეულის ნაწილი არ არის, თუმცა სივრცეში იმგვარად არის განთავსებული, რომ ვიზუალურად საკუთარი სხეულის ნაწილად აღიქმება.



ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ იმ გარემოების გაუთვალისწინებლობა, რომ ცნობიერების შინაარსებს არ ქმნის მხოლოდ ემპირიული აღქმები და შეგრძნებები. ცნობიერება თავის თავში მოიცავს როგორც დენოტატებს, ასევე აბსტრაქტულ ცნებებსა და სურათ-ხატებს, რთულ ლოგიკურ ოპერაციებს, ნებელობას, ფანტაზიასა და სხვ. ის არის ყველაზე რთული სტრუქტურის მქონე მოცემულობა, რომლის ყველა გამოვლინება ემპირიული კვლევებისათვის მოუხელთებელი შეიძლება დარჩეს. „სუბიექტური რეალობის მოვლენათა აღწერასა (შინაარსის, საზრისის, ღირებულების, მიზნის, ნების, ინტენციონალობის ცნებებს) და ფიზიკურ მოვლენათა აღწერას (მასის, ენერჯის და სხვ. ცნებებს) შორის არ არსებობს პირდაპირი ლოგიკური კავშირები. იმისთვის, რომ ეს კავშირები დამყარდეს, კონცეპტუალური ხიდის გადებაა საჭირო. როგორ უნდა აიგოს ის?“ (დუბროვსკი; 2015:12) - ეს არის შეკითხვა, რომელსაც უნდა უპასუხოს ნეიროფილოსოფიის თეორიულმა ნაწილმა, თუ მას ლოგიკური სისტემის დაფუძნების პრეტენზია გააჩნია.

ის წინააღმდეგობები, რაც ნეიროფილოსოფიის შიგნით წამოიქმნება და ის ურთულესი გამოწვევები, რაც მკვლევართა წინაშე დგას, იმითაც შეიძლება იყოს განპირობებული, რომ ტვინისა და ნერვული სისტემის ფიზიოლოგიური კვლევები იმდენად თავბრუდამხვევი ტემპით ვითარდება, რომ მისი შედეგების გადააზრება, განზოგადება და გარკვეულ თეორიულ სისტემაში მოქცევა აშკარად ჩამორჩება დაგროვილი ემპირიული ცოდნის მოცულობას. გარდა ამისა, ნეირონული კვანძებისა და ზოგადად ტვინის ფუნქციონირების ემპირიული შედეგები ინტერპრეტაციის უსასრულო ვარიაციის საშუალებას იძლევა, რაც ასევე ობიექტურად ართულებს არაწინააღმდეგობრივი თეორიული კონცეფციების დაფუძნების პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეკარტი რ., *მსჯელობა მეთოდის შესახებ. მეტაფიზიკური მედიტაციები*, თბილისი, 2001
2. დეკარტი რ., *სულის ვნებანი*, თბილისი, 2015
3. მაქარაშვილი ი., *დუალიზმი რენე დეკარტის ფილოსოფიაში*, [https://www.academia.edu/43775540/დუალიზმი\\_რენე\\_დეკარტის\\_ფილოსოფიაში](https://www.academia.edu/43775540/დუალიზმი_რენე_დეკარტის_ფილოსოფიაში)
4. Churchland P. S., *Neurophilosophy: Toward a Unified Science of the Mind-Brain*, A Bradford Book, 1989
5. Klar P., *What is neurophilosophy: Do we need a non-reductive form?*. Synthese 199, 2701–2725, 2021
6. Metzinger, T., *The ego tunnel, The science of the mind and the myth of the self*, New York: Basic Books, 2009
7. Metzinger, T., *Being no one. The self-model theory of subjectivity*. Cambridge, MA: MIT Press., 2004
8. Дубровский Д.И. „*Нейрофилософия и проблема сознания*“, Философские науки, 2015

# Understanding of Psycho-physical Parallelism in Neurophilosophy

Lali Antidze<sup>1</sup>; Imeda Iakovenko<sup>2</sup>

<sup>1</sup>Batumi State University Associate professor

<sup>2</sup>Tbilisi State University PHD student

## Abstract

The relationship between the material and the ideal, the brain and the mind, time-space and the processes beyond, has always been a pivotal problem in philosophy, sparking multiple discussions among philosophers. Revolutionary discoveries in science and, consequently, new paradigms are causing some unrest in the field of philosophy. Widely approved philosophical concepts are being reexamined and readjusted to fit the entire scientific picture of the universe. As a result, a new field of Neurophilosophy has emerged, based on empirical research about the brain and nervous processes.

According to Patricia Churchland, consciousness is the result of the functioning of various parts of the human brain. She considers consciousness to be the product of the highest nervous actions and uses the reduction method to investigate the essence of consciousness. It is not the individual that holds power over the brain, but rather the human brain that holds power over consciousness. Therefore, the decision-making process is not the result of consciousness, but rather the result of the nervous activity of the human brain, preceding the realization of the decision that had already been made.

Since according to classical philosophy it is impossible to find the "self" as a physical substance, Patricia Churchland and Thomas Metzinger consider it non-existent. The concept of Kantian criticism is justified by Neurophilosophy through empirical research and goes even further. According to Metzinger, a human being is a "biorobot" resulting from genetic replication, and this is nothing but the process and concentration on selflessness, with realization being the only skill that could be seen as the primary function of a human being, as argued by his Neurophilosophy.

The inquiry into the relationship between consciousness and the brain is not a novelty in the field of philosophy. Much has been written about it by philosophers such as Plato, Leonardo da Vinci, and René Descartes. The thoughts of Descartes about the relationship between consciousness and the brain could be considered the foundation or source for Neurophilosophy.

Neurophilosophy, in its fascination with the discoveries in the field of science, has proclaimed human beings as fiction, instead of acknowledging them as a complex form of existence with a sophisticated system of self-consciousness. Furthermore, it has erased the entire field of intersubjective relationships. The controversies within the field of Neurophilosophy, along with the challenges that the scientific world is facing at the moment, can be explained by the fact that physiological research on the human brain is developing so rapidly that any attempt at extrapolation or making generalized

assumptions is falling behind the scope of empirical data. Additionally, the results of empirical research on brain activity and neural networks are the subjects of infinite interpretation, which objectively hinders the process of establishing non-controversial theoretical concepts.

**Keywords:** Neurophilosophy; psycho-physical parallelism; neuroscience; neural network; empirical research; tensor network; consciousness; realization; brain; biorobot; interactionism; fiction; simulation; generalization; system; functionality; interpretation; self-consciousness; scientific discoveries; self; materialism; material

## გვარი ანგელოზას (*Angelica L.*) სახეობების ქიმიური შემადგენლობა და ბიოლოგიური აქტივობა

მარიამ ნერსეაშვილი<sup>1\*</sup>, დალი ბერაშვილი<sup>1</sup>, მარიამ მეტრეველი<sup>2</sup>, ანა ბოჟაძე<sup>1</sup>

<sup>1</sup> ფარმაცოგნოზისა და ფარმაცევტული ბოტანიკის მიმართულება,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

<sup>2</sup> ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

[m.nerseashvili@tsmu.edu](mailto:m.nerseashvili@tsmu.edu),  0000-0002-7825-3986

[d.berashvili@tsmu.edu](mailto:d.berashvili@tsmu.edu),  0000-0003-0887-3810

### აბსტრაქტი

ქოლგოსანთა ოჯახის ერთ-ერთი კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული გვარია ანგელოზა (*Angelica L.*), რომელიც აერთიანებს 60-დან 90-მდე სახეობას. ამ გვარის სახეობები ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება, როგორც ანთების საწინააღმდეგო, დერმატოლოგიური პრობლემების, ტკივილის და ნაწლავური დაავადებების სამკურნალო საშუალება. ანგელოზას სახეობებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია მრავალი ფიტოქიმიური შენაერთი, როგორცაა კუმარინები, ფუროკუმარინები, ეთერზეთები, ფთალიდები, პოლისაქარიდები, ბენზოფურანის და პოლიაცეტილენის ნაწარმები. აღნიშნული ნივთიერებები განაპირობებს ანტიოქსიდანტურ, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობულ, ციტოტოქსიკურ აქტივობას. ზოგიერთი სახეობა ამჟღავნებს ანქსიოლიზურ აქტივობას.

**საძიებო სიტყვები:** ანგელოზა, ფუროკუმარინები, ეთერზეთები, ანთების საწინააღმდეგო, ციტოტოქსიკური, ანქსიოლიზური, ანტიმიკრობული

### 1. შესავალი

ქოლგოსანთა ოჯახის ერთ-ერთი კარგად ცნობილი და ფართოდ გავრცელებული გვარი ანგელოზა (*Angelica L.*) [1] აერთიანებს 60-დან 90-მდე სახეობას, რომლებიც წარმოადგენს ორ - ან მრავალწლოვან მცენარეებს. ღეროები შეიძლება იყოს როგორც კაულესცენტური, ისე აკულესცენტური, შევსებული ან ღრუ ზოგიერთ შემთვევაში ფუძესთან გამერქნებული [2], [3]. ფოთლები ფრთისებრი, ყვავილები თეთრი, მოვარდისფრო, მომწვანო-ყვითელი, შიგნით გადაკეცილი ფურცლებით, შეკრებილი დიდი ზომის ქოლგა ყვავილედად [4]

მრავალფოთლიანი საბურველით. მტვრის მარცვალეები საშუალო ზომისაა, მოგრძოსამწახნაგოვანი, ნაყოფი ორთესლურა, ზურგის მხარეს შებრტყელებული, ტყუპი ნაყოფის ცალს 5 წიბო აქვს, ზურგის 3 წიბო მკვეთრადაა გამოხატული, ვიწროფრთიანია ან არშიისებრი, გვერდითი წიბოები ფართე, ზოგჯერ ოდნავ ტალღისებრი ფრთებით, ნაყოფობისას ერთმანეთს არ ეხება. კომისურზე 2 არხია. აქვთ კარგად განვითარებული მთავარი ფესვი. გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ და სუბარქტიკულ რეგიონებში, აღწევს ირლანდია, ლაპლანდიასა და გრელანდიამდე [5]–[7].

ანგელოზას გვარის ერთერთ წარმომადგენელს, რომელიც ფართოდ გამოიყენება ტრადიციულ კორეულ, ჩინურ და იაპონურ მედიცინაში, შესაბამისი ქვეყნების ფარმაცოპეები განსხვავებული ბოტანიკური დასახელებით მოიხსენიებენ, კერძოდ *Angelica gigas* Nakai, *Angelica sinensis* (Oliv.) Diels და *Angelica acutiloba* (Siebold & Zucc.) Kitag. თუმცა მათი საერთო სახელწოდება გამოითქმის როგორც “დანგ-გუი”. უფრო კონკრეტულად, კორეული ფარმაცოპეა *A. gigas* ფესვებს უწოდებს “დანგ-გუი”, ხოლო იაპონური ფარმაცოპეა - *A. acutiloba* ანუ “ილ-დანგ-გუი”, იგივე იაპონური დანგ-გუი [8], [9]. ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში *A. sinensis* გამოიყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ, მათ შორის გინეკოლოგიური დაავადებები, აპოპლექსია, მალარია, ცხელება, ჰემოროი და შეკრულობა. გარდა ამისა, *A. sinensis* ჩინელი მკურნალების მიერ გამოიყენებოდა დანამატად, როგორც ჰემატოპიოტური საშუალება, მენსტრუალური ციკლის დასარეგულირებლად და ანემიის სამკურნალოდ [10], [11]. ანალოგიურად, კორეულ მედიცინაში *A. gigas* ფესვებს მოიხმარდნენ ანემიის, გინეკოლოგიური და გულსისხლძარღვთა დაავადებების, ართრიტის სამკურნალოდ, ასევე სედაციურ, ანალგეზიურ და მატონიზირებელ საშუალებად [12]–[15]. *A. acutiloba* ტრადიციულ იაპონურ მედიცინაში გამოიყენება გინეკოლოგიური პრობლემებისა და ანემიის სამკურნალოდ [16].

ანგელოზას სახეობები ცნობილია, როგორც „ქალის ჟენშენი“ და გამოიყენება ამენორეის, დისმენორეის, მენოპაუზის დარღვევების, ჰიპერტონიის, ანემიისა და სისხლძარღვთა დისტონიის სამკურნალოდ [17], [18]. *ტატიანას ანგელოზას - Angelica tatarica* Bordz ფესვები გამოიყენება როგორც შარდმდენი და ამოსახველებელი საშუალება ბრონქიტის, ნევრასთენიის, უძილობის, გასტრიტისა და ასციტის დროს. ნაყენის სახით იყენებენ რევმატიზმის, პოდაგრის, რადიკულიტის, აგრეთვე ოტიტისა და კბილის ტკივილის დროს. ჩრდილოეთ სომხეთის მოსახლეობა მცენარის ახალგაზრდა ყლორტებს იყენებს საკვებად. საქართველოს მთის მოსახლეობა *ტატიანას ანგელოზას* უწოდებს დუცს, ხეცურები მის დაფხვნილ ფოთლებს მოიხმარენ საკვებ-სანელებლად, ხოლო თუმები მისგან ამზადებენ საწებელს და მხალს [19].

აღნიშნული გვარის სახეობებს შორის *Angelica dahurica* (Hoffm.) Benth. & Hook.f. ex Franch. & Sav.-ს ფესვები, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფიტოთერაპევტულ საშუალებად არის მიჩნეული. მისი ფესვებისგან იზოლირებულია, კუმარინები, ფუროკუმარინები, ფთალიდები, პოლისაქარიდები, ბენზოფურანის ნაწარმები, ალკალოიდები, ფენოლები და სტეროლები [1]. *A. dahurica*-ს ფესურა აღწერილია ტრადიციულ ჩინურ და კორეულ ფარმაცოპეაში: (Gumiganghwal-tang) და (Oyaksungi-san). ტრადიციულ აღმოსავლურ



მედიცინაში *A. dahurica* გამოიყენებოდა, როგორც ანთების საწინააღმდეგო საშუალება რესპირატორული დაავადებების (გაციება და სურდო), დერმატოლოგიური პრობლემების (აკნე, ჩირქოვანი გამონაყარი და კარბუნკული), ტკივილის (თავის, კბილის, რევმატიული) და ნაწლავური დაავადებების (დიარეა, დიზინტერია, ქრონიკული წყლულოვანი კოლიტი) სამკურნალო საშუალება [20]–[22], [23]. *Angelica archangelica* L. მიიჩნეოდა უძილობის, ნაწლავური პრობლემების, კანისა და რესპირატორული დაავადებების, ართრიტის სამკურნალო და დამამშვიდებელ საშუალებად [24], *Angelica glauca* Edgew კი გამოიყენებოდა ნაღვლის ბუშტის ჩივილების, ინფანტილური ატროფიისა და ყაზოზის დროს [25]. *Angelica pubescens* Maxim. მოიხმარდნენ რევმატოიდული ართრიტის, თავის ტკივილის, პარალიზის და უძილობის საწინააღმდეგო საშუალებად [26], [27].

## 2. გვარი ანგელოზას (*Angelica*) ზოგიერთი სახეობის ფიტოქიმიური შემადგენლობა

გვარი ანგელოზას სხვადასხვა სახეობა ბევრ ქვეყანაში მიიჩნევა ოფიცინალურ სამკურნალო მცენარედ და შეტანილია ფარმაკოპეაში [17], [18]. მათგან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია მრავალი ფიტოქიმიური შენაერთი, როგორცაა კუმარინები, ფუროკუმარინები, ეთერზეთები, ფთალიდები, პოლისაქარიდები, ბენზოფურანის და პოლიაცეტილენის ნაწარმები და ა.შ. ანგელოზას სახეობებში, განსაკუთრებით კი ფესვებში, ეთერზეთების მრავალი კომპონენტი იქნა აღმოჩენილი:  $\alpha$ -პინენი, ლიმონენი,  $\alpha$ - და  $\beta$ -ფელანდრენი, p-ციმენი,  $\beta$ -ოციმენი და ტრანს-კარვეოლი, აღნიშნული ნივთიერებები განაპირობებს ანტიოქსიდანტურ და ანტიმიკრობულ აქტივობას. [1].

*A. archangelica*-ს ფესვების, ყვავილებისა და თესლების ეთერზეთის გაზური ქრომატოგრაფია-მასსპექტრომეტრული მეთოდით შესწავლის შედეგად გამოვლინდა 20 ძირითადი კომპონენტი:  $\alpha$ -პინენი,  $\beta$ -პინენი, კამფენი,  $\beta$ -მირცენი,  $\alpha$ -ფელანდრენი,  $\beta$ -ფელანდრენი,  $\Delta^3$ -კარენი,  $\beta$ -ცის-ოციმენი,  $\beta$ -ტრანს-ოციმენი,  $\beta$ -კოპაენი,  $\beta$ -ბურბონენი,  $\beta$ -ელემენი,  $\alpha$ -ცედრენი,  $\beta$ -ცედრენი,  $\alpha$ -ბერგამოტენი, ცის-ელემენი,  $\beta$ -(Z)-ფარნეზინი,  $\beta$ -ჰუმულენი, გერმაკრენ D, ბიციკლოგერმაკრენი, (E,E)- $\alpha$ -ფარნეზინი,  $\gamma$ -კადინენი,  $\delta$ -კადინენი,  $\alpha$ -კადინენი და  $\alpha$ -კადინოლი [28]. თესლები მდიდარია  $\beta$ -ფელანდრენითა (33–63%) და  $\alpha$ -პინენით (4–12%) [29], ხოლო ფესვები  $\alpha$ -პინენით (21%),  $\delta$ -3-კარენით (16%), ლიმონენით (16%) და  $\alpha$ -ფელანდრენით (8%) [30]. კიდევ ერთი კვლევის თანახმად, *A. dahurica* ეთერზეთებში ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება  $\alpha$ -პინენი (46%), საბინენი (9%), ხოლო მირცენი და 1-დოდეკანოლი წარმოდგენილია თანაბარი რაოდენობით (5%), ტერპინენოლი (4%). *A. pubescens* ფესვების ეთერზეთის შემადგენლობა განსხვავებულია, თუმცა წამყვანი შენაერთი აქაც  $\alpha$ -პინენია (37%), შემდეგ p-ციმენი (11%), ლიმონენი (8%) და კრიპტონი (6%) [22], [26]. *A. sinensis* ფესურის ეთერზეთში კი აღმოჩნდა n-ბუთილიდენფთალიდი, ლიგუსტილიდი, n-ბუთილფთალიდი, ფერულის, ნიკოტინის და სუქცინის მჟავა (0.4–0.7%) [31]. ჯამუსა და ქაშმირში (შტატი ინდოეთის ჩრდილოეთით) მოზარდი *A. glauca*-ს ეთერზეთების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მის შემადგენლობაში ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება  $\alpha$ -ფელანდრენი (18%), ტრანს-კარვეოლი (16%),  $\beta$ -პინენი (14%),  $\beta$ -კარიოფილენი (8%) და  $\beta$ -კარიოფილენის ოქსიდი (8%) [32]. ცხრილში №1 მოცემულია გვარი ანგელოზას ზოგიერთი სახეობიდან გამოყოფილი ეთერზეთების ქიმიური შემადგენლობა.

ცხრილი №1. გვარი ანგელოზას სხვადასხვა სახეობის ეთერზეთის ქიმიური შემადგენლობა

სახეობა	ნედლეული	ეთერზეთის კომპონენტები
<i>Angelica archangelica</i> L.	ფესვები, ყვევილები, თესლები	$\alpha$ -პინენი, $\beta$ -პინენი, კამფენი, $\beta$ -მირცენი, $\alpha$ -ფელანდრენი, $\beta$ -ფელანდრენი, $\Delta^3$ -კარენი, $\beta$ -ცის-ოციმენი, $\beta$ -ტრანს-ოციმენი, $\beta$ -კოპაენი, $\beta$ -ბურბონენი, $\beta$ -ელემენი, $\alpha$ -ცედრენი, $\beta$ -ცედრენი, $\alpha$ -ბერგამოტენი, ცის-ელემენი, $\beta$ -(Z)-ფარნეზინი, $\beta$ -ჰუმულენი, გერმაკრენ D, ბიციკლოგერმაკრენი, (E,E)- $\alpha$ -ფარნეზინი, $\gamma$ -კადინენი, $\delta$ -კადინენი, $\alpha$ -კადინენი და $\alpha$ -კადინოლი [28]–[30]
	ფესურა	დილაპიოლი და ნოთოაპიოლი [24]
<i>Angelica archangelica</i> subsp. <i>archangelica</i>	ფესვი	$\alpha$ - და $\beta$ -ფელანდრენი [33]
<i>Angelica dahurica</i> (Hoffm.) Benth. & Hook.f. ex Franch. & Sav.	ფესვი	$\alpha$ -პინენი, საბინენი, მირცენი, 1-დოდეკანოლი, ტერპინენ-4-ოლი, ცის-ანეთოლი, ანდეკანოლი, $\alpha$ -მუროლენი, (2E)-2-დეკანალი [22], [26], [34]
<i>Angelica pubescens</i> Maxim.	ფესვი	$\alpha$ -პინენი, <i>p</i> -ციმენი, ლიმონენი, კრიპტონი [22], [26] ოსთოლი, ობეპინი, ანდეკანოლი, $\alpha$ -მუროლენი, ცის-ანეთოლი, E-ლიგუსტილიდი, (-)-სპატულენოლი, (-)-ტერპინენ-4-ოლი, 2-ბუთილთიოლანი, $\alpha$ -ბისაბოლოლი [34]
<i>Angelica sinensis</i> (Oliv.) Diels	ფესვი და ფესურა	3-N-ბუთილფთალიდი, ბუთილიდენ ფთალიდი, ლიგუსტილიდი, დი-იზო-ოქტილ ფთალატი, ფერულის მჟავა, ნიკოტინის მჟავა, სუქცინის მჟავა [31], [35], [36]
	ფესურა	ბუთილიდენ დიჰიდრო-ფთალიდი, ბუთილიდენ ფთალიდი, ფურფურალი, კამფენი [37]
	ფესვი	E-ლიგუსტილიდი, (-)-სპატულენოლი [34]
<i>Angelica glauca</i> Edgew.	მთლიანი მცენარე	$\alpha$ -ფელანდრენი, ტრანს-კარვეოლი, $\beta$ -პინენი, $\beta$ -კარიოფილენი, $\beta$ -კარიოფილენის ოქსიდი [32]
	მიწის ზედა ნაწილები	$\alpha$ -ფელანდრენი, ტრანს-კარვეოლი, $\beta$ -პინენი [25]
	ფესვი	(Z)-ლიგუსტილიდი, (Z)-ბუთილიდენფთალიდი [38]
<i>Angelica gigas</i> Nakai	ფესურა	დეკურზინოლ ანგელატი, დეკურზინი, ლომატინი მარმეზინი [37]

	ფესვი	$\alpha$ -პინენი, $\beta$ -ეუდესმოლი, ნონანი, $\gamma$ -ეუდესმოლი, დეკურზინი, დეკურზინოლ ანგელატი [14], [39]
<i>Angelica acutiloba</i> (Siebold & Zucc.) Kitag.	ფესურა	ბუთილიდენ ფთალიდი, ფურფურალი [37]
	ფესვი, ღეროები, ფოთლები	$n$ -ბუთილ ფთალიდი, $\gamma$ -ტერპინენი, $p$ -ციმენი, $cis$ - $\beta$ -ოციმენი, [40]
<i>Angelica major</i> Lag.	ფესვი	$\alpha$ -პინენი, $cis$ - $\beta$ -ოციმენი [41]
<i>Angelica urumiensis</i> Mozaff.	ფოთლები	$\alpha$ -კადინოლი, ჰექსაჰიდროფარნეზილ აცეტონი, 1-დოდეკანოლი [42]
	ღეროები	$\alpha$ -კადინოლი, $\delta$ -კადენინი [42]
<i>Angelica pancicii</i> Vandas ex Velen.	მიწის ზედა ნაწილები	$\beta$ -ფელანდრენი, $\alpha$ -პინენი, $\alpha$ -ფელანდრენი [43]
<i>Angelica viridiflora</i> (Turcz.) Benth. ex Maxim.	მიწის ზედა ნაწილები	კარიოფილენის ოქსიდი, $\alpha$ -პინენი [1]
<i>Angelica cincta</i> H.Boissieu		

*A. dahurica*-ს ნედლი ფესვებიდან გამოყოფილია კუმარინები და მათი გლიკოზიდები [44]. ერთ-ერთი ექსპერიმენტის შედეგად მცენარის ნედლი ნაწილებიდან გამოყვეს წყალში ხსნადი ნივთიერებები, მათ შორის კუმარინის გლიკოზიდი - დაჰურინ B, ოპტიკურად აქტიური, მოყვითალო ფერის ამორფული ფხვნილი ფორმულით  $C_{22}H_{26}O_{11}$ , მოლეკულური მასა (489 [M+Na]) [45]. კიდევ ერთი კვლევის შედეგად ამავე მცენარიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია 13 კუმარინი: იზოიმპერატორინი, იმპერატორინი, ოქსიპეუცედანინი, ბერგაპტენი, ოქსიპეუცედანინის ჰიდრატი, ბიაკანგელიცინი, ფელოპტერინი, ბიაკანგელიკოლი, იზოპიმპინელინი, ქსანთოტოქსოლი, ქსანთოტოქსინი, პიმპინელინი, სკოპოლეტინი, ასევე  $\beta$ -სიტოსტეროლი და დაუკოსტეროლი [46], [47]. ცხრილში №2 მოცემულია ანგელოზას სახეობებიდან გამოყოფილი კუმარინები.

**ცხრილი №2.** გვარი ანგელოზას სხვადასხვა სახეობაში იდენტიფიცირებული კუმარინები

სახეობა	ნედლეული	კუმარინები
<i>Angelica archangelica</i> L.	მთლიანი მცენარე	უმბელიფერონი, ოსთოლი, ოსთენოლი, ფსორალენი, სკოპოლეტინი, ქსანტოტოქსინი, იმპერატორინი, იზოიმპერატორინი, ბერგაპტენი, ოქსიპეუცედანინი, ჰერაკლენოლი, ფელოპტერინი, ანგელიცინი, პიმპინელინი, არჩანგელიცინი, ბიაკანგელიცინი [49]

<i>Angelica glauca</i> Edgew.	ფესვები	6-მეთოქსი-7,8-მეთილენდიოქსი კუმარინი, 5,6,7-ტრიმეთოქსიკუმარინი, დეკურზინოლ ანგელატი დეკურზინოლი, ბერგაპტენი, [50]
<i>Angelica decursiva</i> (Miq.) Franch. & Sav.	მთლიანი მცენარე	ნოდეკანეტინი [50]
<i>Angelica gigas</i> Nakai	ფესვები	დეკურზინი, დეკურზინოლ ანგელატი [50]
<i>Angelica keiskei</i> (Miq.) Koidz.	ფესვები, მიწის ზედა ნაწილები, ნაყოფები	უმბელიფერონი, დიმეთილსუბეროზინი, 7-O-b-D-გლუკოპირანოზილოქსი - 8 - პრენილ კუმარინი, სკოპოლეტინი, ფსორალენი, იზოიმპერატორინი, იმპერატორინი, ქსანტოტოქსინი, ოსტენოლი, ბერგაპტენი,(-)-ოქსიპეუცედანინი, იზოგოსფეროლი, (+)-ოქსიპეუცედანინის ჰიდრატი, არხანგელიცინი, მარმეზინი, (-)-ოქსიპეუცედანინის ჰიდრატი, (-)-ტერტ-O-მეთოქსი პეუცედანინ ჰიდრატი, (-)-სექ-O-აცეტოქსი პეუცედანინ ჰიდრატი, ანგელიცინი, კოლუმბიანადინი, პტერიქსინი, სელინიდინი, სახალინი, ლომატინი [51]
<i>Angelica dahurica</i> (Hoffm.) Benth. & Hook.f. ex Franch. & Sav.	უცნობი	დაჰურინ B, იზოიმპერატორინი, იმპერატორინი, ბერგაპტენი, ოქსიპეუცედანინი, ოქსიპეუცედანინის ჰიდრატი, ბიაკანგელიცინი, ბიაკანგელიკოლი, პიმპინელინი, იზოპიმპინელინი, ქსანტოტოქსოლი, ფელოპტერინი, ქსანტოტოქსინი, სკოპოლეტინი, ოქსიპეუცედანინ ჰიდრატი - 3' - ბუთილეთერი, ქნიდილინი, აკანგელიცინი, ქსანტოტოქსოლ-3'-O-β-D-გლუკოპირანოზიდი, იზოფრაქსიდი ნ-7-O-β-D-გლუკოპირანოზიდი, ფრაქსიდინ-8-O-β-D-გლუკოპირანოზიდი, (-)-მარმეზინინი, (2',3',R)-3'-ჰიდროქსი მარმეზინინი,(+)-ავიპირინი, იზოპსორალენი, ფსორალენი, ანგედაჰურიკოზიდ A, ანგედაჰურიკოზიდ B, ფელოპტერინი[45], [46], [52]-[55]

### 3. გვარი ანგელოზას (*Angelica*) ზოგიერთი სახეობის ფარმაკოლოგიური აქტივობა

*A. dahurica*-დან გამოყოფილი ფუროკუმარინები - იზოიმპერატორინი, იმპერატორინი და ოქსიპეუცედანინი ამჟღავნებს აცეტილქოლინესთერაზას ინჰიბირების უნარს (IC<sub>50</sub> 63.7-დან 89.1-მდე მკმოლ, დოზაზე დამოკიდებულებით) [48]. ფუროკუმარინი ბიაკანგელიკოლი ამცირებს ინტერლეიკინ 1-ით გამოწვეულ ციკლოოქსიგენაზა 2-ის ექსპრესიას და პროსტაგლანდინ E2-ის გამოყოფას ადამიანის ფილტვის ეპითელურ უჯრედებში 10-50 მოლ დოზის ფარგლებში. ბიაკანგელიცინით (50 მოლ) ფილტვის ეპითელური უჯრედების

მკურნალობის შედეგან ნაწილობრივ ინჰიბირდა ინტერლეიკინ 1-ით გამოწვეული ციტოზოლის დეგრადაცია [56].

*A. dahurica* - ს წყლიანი ექსტრაქტის ანალგეზიური და ანთების საწინააღმდეგო აქტივობა შეფასდა ვირთაგვებში, ძმარმჟავით გამოწვეულ მუცლის ტკივილზე, კარაგენანით გამოწვეულ შემუშებაზე და თერმულ ჰიპერალგეზიაზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ *A. dahurica*-ს წყლის ექსტრაქტი ავლენს ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას, თრგუნავს ძმარმჟავით გამოწვეულ მუცლის ტკივილს და ამცირებს კარაგენით გამოწვეულ შემუშებას ვირთაგვებში [57].

*A. sinensis* ეთერზეთების ანთების საწინააღმდეგო მოქმედება შეისწავლეს ვირთაგვებში. გამოავლინდა პროსტაგლანდინ E2-ის, ჰისტამინის და 5-ჰიდროქსი ტრიფტამინის ინჰიბირების ძლიერი უნარი, ასევე შეამცირა სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი  $\alpha$ -ს წარმოქმნა [58], [59]. გარდა ამისა, *A. sinensis* ეთერზეთები მოქმედებს ლიპოპოლისაქარიდით გამოწვეულ ანთებით პროცესებზე ვირთაგვებში. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, ანთების საწინააღმდეგო მოქმედება განპირობებულია კრებსის ციკლის რეგულირებით და გლუკოზის შემცველობის გაუმჯობესებით, რაც, თავის მხრივ, აღადგენს ცხიმოვანი მჟავების მეტაბოლიზმს [60]. კიდევ ერთ მსგავს კვლევაში *A. sinensis* ეთერზეთებმა შეამცირა ანთების მარკერების - ციტოკინების (სიმსივნის ნეკროზული ფაქტორი  $\alpha$ , ინტერლეიკინ-1 $\beta$  და ინტერლეიკინ-6), ფერმენტების (აზოტის ოქსიდის სინთაზა და ციკლოოქსიგენაზა 2) დონე, შესაბამისად გამოავლინა ანთების საწინააღმდეგო და ჰეპატოპროტექტული აქტივობა [61].

გვარი ანგელოზასთვის დამახასიათებელი ბიოლოგიურად აქტიური შენაერთები, როგორცაა - კუმარინები, ფუროკუმარინები, ფთალიდები და პოლისაქარიდები, სხვადასხვა მექანიზმით განაპირობებს ამ გვარის წარმომადგენლების ანტისიმსივნურ აქტივობას. აღსანიშნავია რამდენიმე სახეობა: *A. archangelica*, *A. sinensis*, *A. gigas* და *A. keiskei*, რომლებსაც უჯრედულ დონეზე მიზანმიმართული მიწოდების, ჟანგბადის აქტიური მოლეკულების წარმოქმნის და უჯრედის აპოპტოზის გამოწვევის უნარის გამო, განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია, ანტისიმსივნურ საშუალებებად გამოყენების თვალსაზრისით [62]. ერთ-ერთ ექსპერიმენტში *A. archangelica*-ს ფესვის ექსტრაქტმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ციტოტოქსიკური აქტივობა მკერდის კიბოს 4T1 და MCF-7 სიმსივნური უჯრედების მიმართ. *A. archangelica* ფესვის ექსტრაქტით, 4T1 უჯრედების მკურნალობის შედეგად, გაიზარდა პროაპოპტოზური ცილის (Bax) კონცენტრაცია, რასაც თან ახლდა ანტი-აპოპტოზური ცილის (Bcl-2) ექსპრესიის დაქვეითება, კასპაზა-3-ის დაშლასა და ციტოზოლური კალციუმის მობილიზაცია. აქედან გამომდინარე, ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, სარძევე ჯირკვლის სიმსივნური უჯრედების სიკვდილში, მიტოქონდრიის მონაწილეობის შესახებ, რაც გამოწვეულია საკვლევი ექსტრაქტით უჯრედების დამუშავების შედეგად [63]. *A. dahurica* ფესვების ქლოროფორმიანი ფრაქციიდან იზოლირებულმა ფუროკუმარინებმა - ფსორალენმა, ქსანტოტოქსინმა, ბერგაპტენმა, გამოავლინა მწვავე ინჰიბიტორული აქტივობა ადამიანის სიმსივნური უჯრედების მიგრაციის და შესაბამისად, მეტასტაზების გავრცელების წინააღმდეგ [64]. გარდა ამისა, დადასტურებულია *A. dahurica*-ს ექსტრაქტის სიმსივნის საწინააღმდეგ აქტივობა სწორი ნაწლავის სიმსივნური უჯრედებზე (HT-29). აღნიშნული



აქტივობა განპირობებული იყო ექსტრაქტში იმპერატორინისა და იზოიმპერატორინის არსებობით [65].

*A. archangelica* ფესვის, ღეროს, ფოთლის, ნაყოფის და მთლიანი მცენარის მეთანოლიანი ექსტრაქტის შესწავლამ დაადასტურა მოცემული სახეობის ანქსიოლიზური აქტივობა. კვლევა განხორციელდა ვირთაგვებში ე.წ. პლუს ფორმის მაღალი ლაბორინტის ტესტის გამოყენებით. *A. archangelica*-ს ყველა ექსტრაქტმა 400 მგ/კგ დოზის ფარგლებში მნიშვნელოვნად გაზარდა ღია სივრცეში გატარებული დროისა და ამ სივრცის გადაკვეთის პროცენტული მაჩვენებელი, ამავე დროს შეამცირა დახურულ სივრცეში გატარებული დრო. მთლიანი მცენარისა და ფესვების გამონაწვლილმა გამოავლინა ყველაზე მაღალი, ნაყოფებმა და ფოთლებმა საშუალო, ხოლო ღეროებმა ყველაზე დაბალი აქტივობა. მაგალითად, დიაზეპამის გამოყენებისას ვირთაგვების მიერ ღია სივრცეში გატარებული დროის მაჩვენებელი დაახლოებით 60% იყო, ხოლო ფესვებისა და მთლიანი მცენარის მეთანოლიანი ექსტრაქტის შემთხვევაში იგივე მაჩვენებელი საშუალოდ 50%, ფოთლებისა და ნაყოფების ექსტრაქტების აქტივობა მცირედ აღემატებოდა 30%-ს, ხოლო ღეროების მეთანოლიანი ექსტრაქტის აქტივობა ნაკლები იყო 30%-ზე [66].

*Angelica purpurascens* (Ave-Lall.) Gilli ეთერზეთები ასევე ამჟღავნებს ანქსიოლიზურ აქტივობას. შფოთვა არის კომპლექსური ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ახასიათებს გადაჭარბებული წუხილი, გაღიზიანება და ირაციონალური შიში [67]. შფოთვის არსი ემყარება ბუნებრივ კონფლიქტს, ახალი გარემოს გამოკვლევის სურვილსა და პოტენციურად საშიში ტერიტორიისთვის თავის არიდების ინსტინქტს შორის. ჩატარებული ექსპერიმენტით, ზოლიან თევზებში შფოთვა გამოიწვიეს სკოპოლამინით (100 მკმოლ), რამაც, თავისმხრივ, გამოიწვია სივრცითი მეხსიერების და სიახლეზე რეაგირების დისფუნქცია. ზებრა თევზებისთვის სკოპოლამინისა და *A. purpurascens* ეთერზეთის (25 და 150 მკლ/ლ, დღეში ერთხელ, 13 დღის განმავლობაში), ერთობლივმა მიწოდებამ განაპირობა ყურადღების დეფიციტის შემცირება, ტვინის ანტიოქსიდანტური ფერმენტების მომატება, ლიპიდური პეროქსიდაციის დაქვეითება და ცილების ოქსიდაცია. *A. purpurascens* ეთერზეთებით დამუშავებულ თევზებში აცეტილქოლინესტერაზას აქტივობა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული [68].

ნიკოტინის განმეორებითმა მიღებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ქცევითი სენსიბილიზაცია, რაც ხელსაყრელი შემთხვევაა წამალ-დამოკიდებულების შესასწავლად. ერთ-ერთ ექსპერიმენტში *A. gigas* ეთერზეთმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ნიკოტინით გამოწვეული ქცევითი სენსიბილიზაცია. მაშასადამე, *A. gigas* ეთერზეთი თრგუნავს ნიკოტინით გამოწვეულ ქცევით და ნეიროქიმიურ სენსიბილიზაციას, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნიკოტინდამოკიდებულე ბის სამკურნალოდ [69]. *A. archangelica*-ს ფესვის ეთერზეთები კი ავლენს ელექტრულად და ქიმიურად გამოწვეული კრუნჩხვის საწინააღმდეგო აქტივობას თაგვებში [70]. *A. glauca*-ს ეთერზეთები ავლენს ბრონქორელაქსანტურ აქტივობას, ჰისტამინითა და ოვალბუმინით პროვოცირებული ბრონქოკონსტრიქციის დროს, გვინეის გოჭებში, სისხლში ეოზინოფილების რაოდენობის, შრატში იმუნოგლობულინ E-ს დონის, ბრონქოალვეოლურ სითხეში ეოზინოფილებისა და ნეიტროფილების რაოდენობის შემცირებით [71].

*A. dahurica*-ს ფესვის წყლიანი და ეთანოლიანი გამონაწვლილების ანტიოქსიდანტური აქტივობა შეაფასეს DPPH, ABTS ანალიზების, ჰიდროქსიდის რადიკალის შეხვეჭის უნარის და ლიპიდების პეროქსიდაციის მიხედვით (0.12-2.0 მგ/მლ დოზებში). ორივე ექსტრაქტმა შეხვეჭა DPPH და ABTS რადიკალები. მოცემულ ექსპერიმენტში, წყლიანი ექსტრაქტის ანტიოქსიდანტური აქტივობა შეესაბამებოდა IC<sub>50</sub> 0.32 და 0.20 მგ/მლ, ხოლო ეთანოლიანი ექსტრაქტის IC<sub>50</sub> 0.24 და 0.13 მგ/მლ. ორივე ექსტრაქტმა გამოავლინა რადიკალების შემცირების უნარი და ხელი შეუშალა სუპეროქსიდ დისმუტაზას, კატალაზას და დნმ-ის დაზიანებას. ასევე, გარკვეულ დოზებში ინჰიბირება გაუწია NO-ს პროდუცირებას ლიპოპოლისაქარიდით დამუშავებულ RAW264.7 უჯრედებში (მაკროფაგული უჯრედები, მიღებული მამრი თაგვის სიმსივნეიდან) [72]. *A. glauca*-ს ეთერზეთმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ანტიოქსიდანტური აქტივობა - DPPH რადიკალის შებოჭვისა და პეროქსიდაციის ინჰიბირების უნარი [32]. თესლის ეთერზეთებმა, კონცენტრაციით 200 მკგ/მლ, აჩვენა 39% აქტივობა DPPH რადიკალების შებოჭვით [73].

იანგის და მისი ჯგუფის მიერ (2020), შეფასდა *A. dahurica*-ს ანტიმიკრობული აქტივობა ალბინოსი ვირთაგვების (Sprague Dawley rats) გამოყენებით. ვირთაგვები დაყოფილი იყვნენ სამ ჯგუფად: ფიზიოლოგიური ხსნარით ნამკურნალები, ექსტრაქტით ნამკურნალები და ბიომიცინის მალამოთი ნამკურნალები. თითოეულ ვირთაგვაში ინფექცია გამოწვეული იყო *Staphylococcus aureus*-ის საშუალებით. 7 დღიანი მკურნალობის შემდეგ, ექსტრაქტით ნამკურნალები ვირთაგვების ჭრილობის დიამეტრი და ბაქტერიების საერთო რაოდენობა უფრო მცირე იყო დანარჩენ ჯგუფებთან შედარებით. გარდა ამისა, ექსტრაქტით დამუშავებული ჯგუფის ცხოველებს აღენიშნებოდათ სხეულის დაბალი ტემპერატურა და ანთების მარკერების - TNF- $\alpha$  და IL-6 შემცირებული რაოდენობა. ამავე ჯგუფის ვირთაგვების ჭრილობის ქსოვილს აღმოაჩნდა ნაწიბურის წარმოქმნის უფრო სწრაფი უნარი, შედარებით მკვრივი გრანულაციური ქსოვილი, უფრო სქელი ეპიდერმისი და ანგიოგენეზის მარკერების მეტი რაოდენობა [74], [75]. გარდა იმისა, რომ კორეული ანგელოზადან გამოყოფილ ეთერზეთებს, განსაკუთრებით საბინენსა და მ-კრეზოლს, გააჩნია ძლიერი ანტიფუნგალური აქტივობა, *Aspergillus* და *Trichophyton* (MIC125–1000მკგ/მლ), სხვადასხვა შტამების მიმართ, ამჟღავნებს სინერგიზმს იტრაკონაზოლთან კომბინირებისას [76]. *A. glauca*-ს ეთერზეთის ანტიმიკრობული მოქმედება შეამოწმეს ბაქტერიული (*Staphylococcus aureus*, *Bacillus subtilis*, *Escherichia coli*, *Pasteurella multocida*) და სოკოვანი (*Candida albicans*, *Microsporum canis*, *Aspergillus flavus*, *Fusarium solani*) შტამების საშუალებით. ექსტრაქტი აქტიური იყო *E. coli* და *S. aureus* (MIC 141.3 და 159.3 მკგ/მლ), ასევე *M. canis* (MIC 178.1 მკგ/მლ) წინააღმდეგ [32].

2014 და 2016 წლებში მეცნიერთა ჯგუფმა დაამტკიცა, რომ *A. archangelica*-ს ფესვის ეთერზეთი ამჟღავნებს ანტიმიკრობულ მოქმედებას *Clostridioides difficile*, *Clostridium perfringens*, *Enterococcus faecalis*, *Eubacterium limosum*, *Peptostreptococcus anaerobius* და *Candida albicans* წინააღმდეგ. ასევე, გააჩნია სუსტი აქტივობა ბიფიდობაქტერიისა და ლაქტობაცილების წინააღმდეგ. კიდევ ერთი კვლევის თანახმად, ამავე სახეობის ეთერზეთი აქტიურია ფუზარიუმის გვარის ზოგიერთი სახეობის, *Botrytis cinerea* და *Alternaria solani* წინააღმდეგ [30], [77]. *A. archangelica*-ს ეთერზეთის, ფენილეთილის სპირტის და  $\alpha$ -

ტერპინეოლის თანაბარ პროპორციული კომბინაცია აინჰიბირებს *A. flavus* (აფლატოქსიგენური შტამი) და აფლატოქსინი B1-ის პროდუცირებას (2.25 და 2.0 მკლ/მლ) [78].

*A. dahurica*-ს ფესვების მეთანოლიანი ექსტრაქტიდან გამოყოფილი ფელოპტერინი შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ძლიერი ანტიდიაბეტური საშუალება ტიპი II დიაბეტის დროს, რადგან გააჩნია ინსულინის სეკრეციის და გლუკოზოტოლერანტობის გაძლიერების უნარი *in vivo*, G პროტეინთან დაწყვილებული რეცეპტორების (GPR119) აქტივაციის გზით. შესაბამის ექსპერიმენტში, ყველა თაგვში, რომელიც იღებდა ანგელოზას ექსტრაქტს, შეინიშნებოდა გაუმჯობესებული გლუკოტოლერანტობა და ინსულინის აქტიური სეკრეცია. აღნიშნული ექსტრაქტის, ან n-ჰექსანიანი ფრაქციის განმეორებითი დოზებით მიღებამ განაპირობა, გლუკოტოლერანტობის გაუმჯობესება, დიაბეტით დაავადებულ თაგვებში. აღსანიშნავია, რომ აქტიური ფრაქციიდან გამოყოფილი სამი კუმარინიდან: იმპერატორინი, ფელოპტერინი და იზოიმპერატორინი, GPR119-ის და GLP-1-ის აქტივაცია განაპირობა ფელოპტერინმა [79]–[81].

ანგელოზას სახეობიდან გამოყოფილმა ეთერზეთმა გააუმჯობესა იბუპროფენის ტრანსდერმალური შეღწევადობა დისმენორეულ მდგომარეობაში მყოფ თაგვებში [82]. ეთერზეთებმა, მათი ცხიმში ხსნადი ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გააუმჯობესოს წამლების კანში შეღწევადობა ტრანსეპიდერმალური განვლადობის გაზრდით. კიდევ ერთ კვლევაში (2017), ანგელოზას ეთერზეთმა (კონცენტრაციით 3%) მნიშვნელოვნად გაზარდა იბუპროფენის ტრანსმემბრანული შეღწევადობა ვირთაგვებში, კანის შემცირებული ადგილობრივი გაღიზიანებით [83].

პიაომ და მისმა ჯგუფმა *A. dahurica*-დან გამოყო 11 ფურიკუმარინი, როგორც ახალი და ეფექტური ფიტოესტროგენები, რომლებიც ეფექტურად მკურნალობდნენ მენოპაუზურ სიმპტომებს და გააჩნდათ გამოხატული ესტროგენული აქტივობა იშკავას უჯრედებზე [84]. ცნობილია *A. sinensis* დადებითი გავლენა მრავალ გინეკოლოგიურ დაავადებაზე, თუმცა ეს ეფექტი გამოწვეულია მცენარის ჰორმონალური აქტივობით, ამიტომ მისი გამოყენება მკერდის კიბოს მქონე პაციენტებში ეჭვქვეშ დადგა, რადგან შესაძლებელია განაპირობოს სიმსივნის ზრდა [85].

მიუხედავად იმისა, რომ ქოლგოსანთა ოჯახის ბევრი წარმომადგენელი საკვებ-სანელებლად და არომატიზატორად გამოიყენება, ანგელოზას გვარის წარმომადგენლების ამავე დანიშნულებით მოხმარებამ შესაძლებელია გამოიწვიოს გარკვეული გვერდითი მოვლენები. მაგალითად, *A. archangelica*-ს ფუროკუმარინებმა, განსაკუთრებით კი - 8-მეთოქსიფსორალენმა, მისი ფოტოტოქსიურობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიწვიოს კანის სერიოზული დაზიანება, მით უმეტეს, მზის ულტრაიისფერი სხივების არსებობისას [86]. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზაში იძებნება *A. sinensis* ფესვების მოხმარების შედეგად განვითარებული გვერდითი მოვლენების 35 შემთხვევა, მათ შორის მუცლის ტკივილი, კრუნჩხვა, ბილირუბინის დონის მომატება, დიარეა, დისტონია და გასტროინტესტინალური ტრაქტის ჰემორაგია [87].

გვარი ანგელოზას სახეობების მრავალფეროვანმა ქიმიურმა შემადგელობამ განაპირობა მათი განსხვავებული ბიოლოგიური აქტივობა, როგორცაა: ანტიმიკრობული, ანტიოქსიდანტური, ანთების საწინააღმდეგო, ანტიდიაბეტური, ანქსიოლიზური და სხვა.

საქართველოში გვარი ანგელოზას 4 სახეობაა გავრცელებული: *ტყის ანგელოზა*- *Angelica sylvestris* L. (სინონიმი - *Selinum sylvestre* (L.) Crantz.), *ძოწი ანგელოზა* - *Angelica purpurascens* Ave-Lall. (სინონიმი - *Xanthogalum purpurascens* Ave-Lall.), *აჭარული ანგელოზა* - *Angelica adzharica* M. Pimenov (საქართველოს ენდემი), *ტატიანას ანგელოზა* - *Angelica tatianae* Bordz. (კავკასიის ენდემი, სინონიმი - *Xanthogalum tatianae* Schischk) [10]. ლიტერატურის მონაცემები აღნიშნული სახეობების ქიმიური შემადგენლობისა და ბიოლოგიური აქტივობის შესახებ მწირია, ჩვენი შემდგომი კვლევისათვის შეირჩა საქართველოს ენდემური სახეობა *აჭარული ანგელოზა* - *A. adzharica*, რომელიც გავრცელებულია მხოლოდ აჭარაში მთის შუა, ზედა და სუბალპური სარტყლის ტყის ველობებზე, ბალახოვანი ფერდობებზე, ზღვის დონიდან 900-1900 მეტრის სიმაღლეზე. მცენარე 2007 წელს შეიტანეს წითელ წიგნში, როგორც გადაშენების პირას მყოფი სახეობა, ასევე მოხსენიებულია აჭარის იშვიათ და ქრობად სახეობებს შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სტრატეგიაში 2010-2014 წწ. [88], [89].

#### 4. დასკვნა

ჩატარებული წინასწარი ფიტოქიმიური კვლევებით დადგინდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების: ორგანული მჟავების, კუმარინების, ტერპენული ბუნების შენაერთების შემცველობა, [12],[90]. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მისი შემდგომი კვლევა სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, კულტურაში ათვისების პერსპექტივის გათვალისწინებით, რაც ენდემური სახეობის გადარჩენის საფუძველი იქნება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

- [1] G. E.-S. Batiha, H. M. Shaheen, E. A. Elhawary, N. M. Mostafa, O. A. Eldahshan, and J.-M. Sabatier, "Phytochemical Constituents, Folk Medicinal Uses, and Biological Activities of Genus *Angelica*: A Review," *Molecules*, vol. 28, no. 1, p. 267, Dec. 2022, doi: 10.3390/molecules28010267.
- [2] J.-P. Reduron, "Taxonomy, origin and importance of the Apiaceae family.," in *Carrots and related Apiaceae crops*, G. Emmanuel and W. S. Philipp, Eds., 2nd ed. Wallingford: CABI, 2020, pp. 1–8. doi: 10.1079/9781789240955.0001.
- [3] S. Menglan *et al.*, "Apiaceae (Umbelliferae)," *Flora China*, vol. 14, pp. 1–205, Jan. 2005.
- [4] საქართველოს ფლორა, 2nd ed., vol. IX. თბილისი: „მეცნიერება“, 1984.
- [5] მაყაშვილი ალექსანდრე, ბოტანიკური ლექსიკონი. მცენარეთა სახელწოდებანი, 3rd ed. თბილისი: „მეცნიერება“, 1991.
- [6] S. D. Sarker and L. Nahar, "Progress in the Chemistry of Naturally Occurring Coumarins," in *Progress in the Chemistry of Organic Natural Products 106*, A. D. Kinghorn, H. Falk, S. Gibbons, and J. Kobayashi, Eds., in *Progress in the Chemistry of Organic Natural Products*, vol. 106. Cham: Springer International Publishing, 2017, pp. 241–304. doi: 10.1007/978-3-319-59542-9\_3.
- [7] T. Feng *et al.*, "Molecular systematics of *Angelica* and allied genera (Apiaceae) from the Hengduan Mountains of China based on nrDNA ITS sequences: phylogenetic affinities and biogeographic implications," *J. Plant Res.*, vol. 122, no. 4, pp. 403–414, Jul. 2009, doi: 10.1007/s10265-009-0238-4.



- [8] J. Ahn, M.-J. Ahn, Y.-W. Chin, and J. Kim, "Pharmaceutical Studies on 'Dang-Gui' in Korean Journals," *Nat. Prod. Sci.*, vol. 25, no. 4, p. 285, 2019, doi: 10.20307/nps.2019.25.4.285.
- [9] Zhonghua Renmin Gongheguo wei sheng bu yao dian wei yuan hui, *Pharmacopoeia of the People's Republic of China*, English ed. 2000. Beijing, China: Chemical Industry Press, 2000.
- [10] J. Chen, H. Li, D. Wang, C. Yang, and Y. Liu, "Determination of sucrose in radix Angelicae sinensis by HPLC-ELSD," *Mod. Chin. Med.*, no. 10, pp. 19–20, 2008.
- [11] I. L. I. Hook, "Danggui to Angelica sinensis root: Are potential benefits to European women lost in translation? A review," *J. Ethnopharmacol.*, vol. 152, no. 1, pp. 1–13, Feb. 2014, doi: 10.1016/j.jep.2013.12.018.
- [12] Y.-K. Kim, Y. S. Kim, and S. Y. Ryu, "Antiproliferative Effect of Furanocoumarins from the Root of Angelica dahurica on Cultured Human Tumor Cell Lines," *Phytother. Res.*, vol. 21, no. 3, pp. 288–290, Mar. 2007, doi: 10.1002/ptr.2043.
- [13] K. Sowndhararajan and S. Kim, "Neuroprotective and Cognitive Enhancement Potentials of Angelica gigas Nakai Root: A Review," *Sci. Pharm.*, vol. 85, no. 2, p. 21, Apr. 2017, doi: 10.3390/scipharm85020021.
- [14] K. Sowndhararajan, M. Seo, M. Kim, H. Kim, and S. Kim, "Effect of essential oil and supercritical carbon dioxide extract from the root of Angelica gigas on human EEG activity," *Complement. Ther. Clin. Pract.*, vol. 28, pp. 161–168, Aug. 2017, doi: 10.1016/j.ctcp.2017.05.010.
- [15] E. A. Abdelghffar, H. A. S. El-Nashar, A. G. A. AL-Mohammadi, and O. A. Eldahshan, "Orange fruit ( *Citrus sinensis* ) peel extract attenuates chemotherapy-induced toxicity in male rats," *Food Funct.*, vol. 12, no. 19, pp. 9443–9455, 2021, doi: 10.1039/D1FO01905H.
- [16] R. Hatano *et al.*, "Water-soluble extracts from Angelica acutiloba Kitagawa enhance hematopoiesis by activating immature erythroid cells in mice with 5-fluorouracil-induced anemia," *Exp. Hematol.*, vol. 32, no. 10, pp. 918–924, Oct. 2004, doi: 10.1016/j.exphem.2004.07.003.
- [17] O. V. Trineeva, "FEATURES QUALITY ASSESSMENT AND PROSPECTS STANDARTIZATION FATTY OILS AND OIL EXTRACTS FOR PHARMACEUTICAL PURPOSES (REVIEW)," *Drug Dev. Regist.*, vol. 2, pp. 114–134, 2016.
- [18] I. Y. Younis, S. S. El-Hawary, O. A. Eldahshan, M. M. Abdel-Aziz, and Z. Y. Ali, "Green synthesis of magnesium nanoparticles mediated from Rosa floribunda charisma extract and its antioxidant, antiaging and antibiofilm activities," *Sci. Rep.*, vol. 11, no. 1, p. 16868, Aug. 2021, doi: 10.1038/s41598-021-96377-6.
- [19] K. Batsatsashvili, Z. Kikvidze, and R. W. Bussmann, Eds., *Ethnobotany of the Mountain Regions of Far Eastern Europe: Ural, Northern Caucasus, Turkey, and Iran*. in Ethnobotany of Mountain Regions. Cham: Springer International Publishing, 2020. doi: 10.1007/978-3-030-28940-9.
- [20] K. Lee, M. S. Shin, I. Ham, and H.-Y. Choi, "Investigation of the mechanisms of Angelica dahurica root extract-induced vasorelaxation in isolated rat aortic rings," *BMC Complement. Altern. Med.*, vol. 15, no. 1, p. 395, Dec. 2015, doi: 10.1186/s12906-015-0889-8.
- [21] C. Liu, A. Tseng, and S. Yang, *Chinese herbal medicine: modern applications of traditional formulas*. Boca Raton: CRC Press, 2005.



- [22] N. M. Mostafa, M. P. Edmond, M. El-Shazly, H. A. Fahmy, N. H. Sherif, and A. N. B. Singab, "Phytoconstituents and renoprotective effect of *Polyalthia longifolia* leaves extract on radiation-induced nephritis in rats via TGF- $\beta$ /smad pathway," *Nat. Prod. Res.*, vol. 36, no. 16, pp. 4187–4192, Aug. 2022, doi: 10.1080/14786419.2021.1961252.
- [23] C. Wang, J. Sun, H. Li, X. Yang, H. Liu, and J. Chen, "In vivo anti-inflammatory activities of the essential oil from Radix Angelicae dahuricae," *J. Nat. Med.*, vol. 70, no. 3, pp. 563–570, Jul. 2016, doi: 10.1007/s11418-016-0978-0.
- [24] R. S. Chauhan, M. C. Nautiyal, R. Cecotti, M. Mella, and A. Tava, "Variation in the essential oil composition of Angelica archangelica from three different altitudes in Western Himalaya, India," *Ind. Crops Prod.*, vol. 94, pp. 401–404, Dec. 2016, doi: 10.1016/j.indcrop.2016.08.044.
- [25] V. K. Agnihotri *et al.*, "Essential oil composition of aerial parts of Angelica glauca growing wild in North-West Himalaya (India)," *Phytochemistry*, vol. 65, no. 16, pp. 2411–2413, Aug. 2004, doi: 10.1016/j.phytochem.2004.07.004.
- [26] N. Tabanca *et al.*, "Molecular and Phytochemical Investigation of *Angelica dahurica* and *Angelica pubescentis* Essential Oils and Their Biological Activity against *Aedes aegypti*, *Stephanitis pyrioides*, and *Colletotrichum* Species," *J. Agric. Food Chem.*, vol. 62, no. 35, pp. 8848–8857, Sep. 2014, doi: 10.1021/jf5024752.
- [27] M. I. Gamal El-Din, F. S. Youssef, M. L. Ashour, O. A. Eldahshan, and A. N. B. Singab, "Comparative Analysis of Volatile Constituents of *Pachira aquatica* Aubl. and *Pachira glabra* Pasq., their Anti-Mycobacterial and Anti-*Helicobacter pylori* Activities and their Metabolic Discrimination using Chemometrics," *J. Essent. Oil Bear. Plants*, vol. 21, no. 6, pp. 1550–1567, Nov. 2018, doi: 10.1080/0972060X.2019.1571950.
- [28] O. S. Shchipitsyna and A. A. Efremov, "Composition of ethereal oil isolated from various vegetative parts of angelica from the Siberian region," *Russ. J. Bioorganic Chem.*, vol. 37, no. 7, pp. 888–892, Dec. 2011, doi: 10.1134/S1068162011070223.
- [29] R. Butkienė, "Chemical composition of seed (fruit) essential oils of Angelica archangelica L. growing wild in Lithuania," 2005.
- [30] D. Fraternali, G. Flamini, and D. Ricci, "Essential Oil Composition and Antimicrobial Activity of *Angelica archangelica* L. (Apiaceae) Roots," *J. Med. Food*, vol. 17, no. 9, pp. 1043–1047, Sep. 2014, doi: 10.1089/jmf.2013.0012.
- [31] H. Vibrans, "Principals and practice of phytotherapy. Modern herbal medicine," *J. Ethnopharmacol.*, vol. 81, no. 1, pp. 140–141, Jun. 2002, doi: 10.1016/S0378-8741(02)00032-6.
- [32] M. Irshad, Habib-Ur-Rehman, M. Shahid, S. Aziz, and T. Ghous, "Antioxidant, Antimicrobial and Phytotoxic Activities of Essential Oil of Angelica glauca," *Asian J. Chem.*, vol. 23, pp. 1947–1951, May 2011.
- [33] G. Pasqua, B. Monacelli, and A. Silvestrini, "Accumulation of essential oils in relation to root differentiation in Angelica archangelica L.," *Eur. J. Histochem.*, vol. 47, no. 1, p. 87, Jun. 2009, doi: 10.4081/811.
- [34] C. Li *et al.*, "Anti-inflammatory Study on the Constituents of *Angelica sinensis* (Oliv.) Diels, *Angelica dahurica* (Hoffm.) Benth. & Hook.f. ex Franch. & Sav., *Angelica pubescence* Maxim and

*Foeniculum vulgare* Mill. Essential Oils,” *J. Oleo Sci.*, vol. 71, no. 8, pp. 1207–1219, 2022, doi: 10.5650/jos.ess22031.

[35] D. Champakaew *et al.*, “Angelica sinensis (Umbelliferae) with proven repellent properties against *Aedes aegypti*, the primary dengue fever vector in Thailand,” *Parasitol. Res.*, vol. 114, no. 6, pp. 2187–2198, Jun. 2015, doi: 10.1007/s00436-015-4409-z.

[36] A. Ashmawy, N. Mostafa, and O. Eldahshan, “GC/MS Analysis and Molecular Profiling of Lemon Volatile Oil against Breast Cancer,” *J. Essent. Oil Bear. Plants*, vol. 22, no. 4, pp. 903–916, Jul. 2019, doi: 10.1080/0972060X.2019.1667877.

[37] M. R. Kim, A. M. A. El-Aty, I. S. Kim, and J. H. Shim, “Determination of volatile flavor components in danggui cultivars by solvent free injection and hydrodistillation followed by gas chromatographic–mass spectrometric analysis,” *J. Chromatogr. A*, vol. 1116, no. 1–2, pp. 259–264, May 2006, doi: 10.1016/j.chroma.2006.03.060.

[38] V. K. Purohit *et al.*, “Essential Oil Constituents of *Angelica glauca* Edgew. Roots: An Endangered Species from Uttarakhand Himalaya (India),” *Natl. Acad. Sci. Lett.*, vol. 38, no. 5, pp. 445–447, Oct. 2015, doi: 10.1007/s40009-015-0395-z.

[39] H.-Y. Seo *et al.*, “Volatile organic compounds of *Angelica gigas* Nakai, Korean medicinal herb,” *Nat. Prod. Res.*, vol. 21, no. 3, pp. 265–273, Mar. 2007, doi: 10.1080/14786410601129598.

[40] H.-C. Chen *et al.*, “Volatile Compounds from Roots, Stems and Leaves of *Angelica acutiloba* growing in Taiwan,” *Nat. Prod. Commun.*, vol. 9, no. 4, p. 1934578X1400900, Apr. 2014, doi: 10.1177/1934578X1400900441.

[41] C. Cavaleiro, L. Salgueiro, M.-J. Gonçalves, K. Hrimpeng, J. Pinto, and E. Pinto, “Antifungal activity of the essential oil of *Angelica major* against *Candida*, *Cryptococcus*, *Aspergillus* and dermatophyte species,” *J. Nat. Med.*, vol. 69, no. 2, pp. 241–248, Apr. 2015, doi: 10.1007/s11418-014-0884-2.

[42] M. Mohammadi, M. Yousefi, and Z. Habibi, “Essential oils from stem and leaves of *Angelica urumiensis* (Mozaffarian) from Iran,” *Nat. Prod. Res.*, vol. 24, no. 14, pp. 1347–1351, Sep. 2010, doi: 10.1080/14786410903421438.

[43] S. R. Simonović, V. P. Stankov-Jovanović, V. D. Mitić, M. D. Ilić, G. M. Petrović, and G. S. Stojanović, “Chemical Composition of *Angelica pancicii* Essential Oil Determined by Liquid and Headspace GC-MS Techniques,” *Nat. Prod. Commun.*, vol. 9, no. 2, p. 1934578X1400900, Feb. 2014, doi: 10.1177/1934578X1400900235.

[44] X. Z. Zhao, X. Feng, X. D. Jia, Y. F. Dong, and M. Wang, “Neolignan glycoside from *Angelica dahurica*,” *Chin. Chem. Lett.*, vol. 18, no. 2, pp. 168–170, Feb. 2007, doi: 10.1016/j.cclet.2006.12.011.

[45] X. Zhao, X. Feng, X. Jia, M. Wang, Y. Shan, and Y. Dong, “New coumarin glucoside from *Angelica dahurica*,” *Chem. Nat. Compd.*, vol. 43, no. 4, pp. 399–401, Jul. 2007, doi: 10.1007/s10600-007-0148-4.

[46] D. Li and L. Wu, “Coumarins from the roots of *Angelica dahurica* cause anti-allergic inflammation,” *Exp. Ther. Med.*, vol. 14, no. 1, pp. 874–880, Jul. 2017, doi: 10.3892/etm.2017.4569.

[47] M. P. Edmond, N. M. Mostafa, M. El-Shazly, and A. N. B. Singab, “Two clerodane diterpenes isolated from *Polyalthia longifolia* leaves: comparative structural features, anti-histaminic and anti-

*Helicobacter pylori* activities,” *Nat. Prod. Res.*, vol. 35, no. 23, pp. 5282–5286, Dec. 2021, doi: 10.1080/14786419.2020.1753048.

[48] D. K. Kim, J. P. Lim, J. H. Yang, D. O. Eom, J. S. Eun, and K. H. Leem, “Acetylcholinesterase inhibitors from the roots of *angelica dahurica*,” *Arch. Pharm. Res.*, vol. 25, no. 6, pp. 856–859, Dec. 2002, doi: 10.1007/BF02977004.

[49] A. Kaur and R. Bhatti, “Understanding the phytochemistry and molecular insights to the pharmacology of *Angelica archangelica* L. (garden angelica) and its bioactive components,” *Phytother. Res.*, vol. 35, no. 11, pp. 5961–5979, Nov. 2021, doi: 10.1002/ptr.7206.

[50] P. Kumar, V. Rana, and A. N. Singh, “*Angelica glauca* Edgew. – A comprehensive review,” *J. Appl. Res. Med. Aromat. Plants*, vol. 31, p. 100397, Dec. 2022, doi: 10.1016/j.jarmap.2022.100397.

[51] Y.-S. Kil, S. T. Pham, E. K. Seo, and M. Jafari, “*Angelica keiskei*, an emerging medicinal herb with various bioactive constituents and biological activities,” *Arch. Pharm. Res.*, vol. 40, no. 6, pp. 655–675, Jun. 2017, doi: 10.1007/s12272-017-0892-3.

[52] L. Yang, Q. Li, Y. Feng, and D. Qiu, “Simultaneous Determination of Three Coumarins in *Angelica dahurica* by <sup>1</sup>H-qNMR Method: A Fast and Validated Method for Crude Drug Quality Control,” *J. Anal. Methods Chem.*, vol. 2020, pp. 1–7, Mar. 2020, doi: 10.1155/2020/8987560.

[53] A. Zhao and X. Yang, “New coumarin glucopyranosides from roots of *Angelica dahurica*,” *Chin. Herb. Med.*, vol. 10, no. 1, pp. 103–106, Jan. 2018, doi: 10.1016/j.chmed.2018.01.008.

[54] N. Y. Kim, Y. Y. Jung, M. H. Yang, J.-Y. Um, G. Sethi, and K. S. Ahn, “Isoimperatorin down-regulates epithelial mesenchymal transition through modulating NF-κB signaling and CXCR4 expression in colorectal and hepatocellular carcinoma cells,” *Cell. Signal.*, vol. 99, p. 110433, Nov. 2022, doi: 10.1016/j.cellsig.2022.110433.

[55] Y. Zhang *et al.*, “Simultaneous separation and determination of six furanocoumarins in *Radix Angelicae dahuricae* by CZE with dual CDs system,” *Anal. Biochem.*, vol. 655, p. 114869, Oct. 2022, doi: 10.1016/j.ab.2022.114869.

[56] C. H. Lin, C. W. Chang, C. C. Wang, M. S. Chang, and L. L. Yang, “Byakangelicol, isolated from *Angelica dahurica*, inhibits both the activity and induction of cyclooxygenase-2 in human pulmonary epithelial cells,” *J. Pharm. Pharmacol.*, vol. 54, no. 9, pp. 1271–1278, Feb. 2010, doi: 10.1211/002235702320402125.

[57] I.-H. Choi *et al.*, “Analgesic and anti-inflammatory effect of the aqueous extract of root of *Angelica Dahurica*,” *Orient. Pharm. Exp. Med.*, vol. 7, no. 5, pp. 527–533, Feb. 2008, doi: 10.3742/OPEM.2008.7.5.527.

21. Roos et al., 2016. Chronic senolytic treatment alleviates established vasomotor dysfunction in aged or atherosclerotic mice. *Aging Cell*. DOI: 10.1111/accel.12458.
22. Roy and Kundu, 2014. Gene regulatory networks and epigenetic modifications in cell differentiation. *IUBMB Life*. doi: 10.1002/iub.1249
23. Teh and Aziz, 2000. A stair-climb test of cardiorespiratory fitness for Singapore. *Singapore Med J*. PMID: 11296784
24. Tkemaladze, J., & Chichinadze, K. (2005). Potential role of centrioles in determining the morphogenetic status of animal somatic cells. *Cell biology international*, 29(5), 370-374. doi: 10.1016/j.cellbi.2005.03.003. PMID: 15886028.
25. Tkemaladze, J. V., & Chichinadze, K. N. (2005). Centriolar mechanisms of differentiation and replicative aging of higher animal cells. *Biochemistry (Moscow)*, 70, 1288-1303. doi: 10.1007/s10541-005-0261-6. PMID: 16336191
26. Tkemaladze, J., & Chichinadze, K. (2010). Centriole, differentiation, and senescence. *Rejuvenation research*, 13(2-3), 339-342. doi: 10.1089/rej.2009.0904. PMID: 20426623
27. Tkemaladze, J., Tavartkiladze, A., & Chichinadze, K. (2012). Programming and Implementation of Age-Related Changes. In *Senescence*. IntechOpen. DOI: 10.5772/33420
28. Tkemaladze, J., & Apkhazava, D. (2019). Dasatinib and quercetin: short-term simultaneous administration improves physical capacity in human. *J Biomedical Sci*, 8(3), 3.
29. Tkemaladze, J. (2022). Long-Term Differences between Regenerations of Head and Tail Fragments in *Schmidtea mediterranea* Ciw4. Available at SSRN 4257823.

30. Tkemaladze, J. (2023). Reduction, proliferation, and differentiation defects of stem cells over time: a consequence of selective accumulation of old centrioles in the stem cells?. *Molecular Biology Reports*, 50(3), 2751-2761. doi: 10.1007/s11033-022-08203-5. Epub 2022 Dec 30. PMID: 36583780
31. Tkemaladze, J. (2023). The centriolar hypothesis of differentiation and replicative senescence. *Junior Researchers*, 1(1). doi: <https://doi.org/10.52340/2023.01.01.15>
32. Tkemaladze, J. (2023). Structure and possible functions of centriolar RNA with reference to the centriolar hypothesis of differentiation and replicative senescence. *Junior Researchers*, 1(1), 156–170. <https://doi.org/10.52340/2023.01.01.17>
33. Zhu et al., 2015. The Achilles' heel of senescent cells: from transcriptome to senolytic drugs. *Aging Cell*. DOI: 10.1111/accel.12344.
34. Прангишвили, А. И., Гаситашвили, З. А., Мацаберидзе, М. И., Чичинадзе, К. Н., Ткемаладзе, Д. В., & Азмайпарашвили, З. А. (2017). К топологии антитеррористических и антикриминальных технологии для образовательных программ. In *Управление развитием крупномасштабных систем MLSD'2017* (pp. 284-287).
35. Прангишвили, А. И., Гаситашвили, З. А., Мацаберидзе, М. И., Чхартишвили, Л. С., Чичинадзе, К. Н., Ткемаладзе, Д. В., ... & Азмайпарашвили, З. А. (2017). Системные составляющие здравоохранения и инноваций для организации европейской нано-биомедицинской экосистемной технологической платформы. In *Управление развитием крупномасштабных систем MLSD'2017* (pp. 365-368).
36. Ткемаладзе Д., Цомаиа Г., Жоржолиани И. (2001). Создание искусственных самоадаптирующихся систем на основе Теории Прогноза. *Искусственный интеллект. УДК 004.89. Искусственный интеллект. УДК 004.89.* <https://www.ipai.net.ua/uk/arch-2001-3#>
37. Ткемаладзе, Д. В., & Чичинадзе, К. Н. (2005). Центриолярные механизмы дифференцировки и репликативного старения клеток высших животных. *Биохимия*, 70(11), 1566-1584.
38. Чичинадзе, К., Ткемаладзе, Д., & Лазарашвили, А. (2012). Новый класс рнк и центросомная гипотеза старения клеток. *Успехи геронтологии*, 25(1), 23-28.
39. Чичинадзе, К. Н., & Ткемаладзе, Д. В. (2008). Центросомная гипотеза клеточного старения и дифференциации. *Успехи геронтологии*, 21(3), 367-371

# Cross-senolytic effects of dasatinib and quercetin in humans

Jaba Tkemaladze

Head of Human Rejuvenation Technology Development, Longevity Clinic Georgia Inc

orcid: 0000-0001-8651-7243

---

## Abstract

**Introduction:** Senescent cells are toxic cells. Their number increases every day and after some time it leads to the appearance of signs of aging. Senescent cells cause age-related pathologies.

**Objective:** Simultaneous administration of dasatinib and quercetin in *Ercc1- $\Delta$*  mice resulted in the partial killing of senolytic cells and improved and prolonged health, age-related symptoms and pathologies. We decided to test the senolytic effect of the combination of dasatinib and quercetin in humans.

**Study Design:** A clinical study was conducted on 64 male volunteers aged 36 years and older. Our volunteers were divided into 4 groups, each with 16 people. The D+Q group received 50 mg dasatinib and 500 mg quercetin together once daily for 5 days. Other groups: D+P - dasatinib + placebo group; Q+P – quercetin + placebo group; P+P – placebo (dasatinib) + placebo (quercetin) group.

**Methods:** The study was completed by screening a blood count and a stair ascending test to register and evaluate the changes.

**Results:** Co-administration of 50 mg dasatinib with 500 mg quercetin showed a clear senolytic effect. This was confirmed by the improved results of the stair ascending test. A general blood test showed that the combination of these two drugs in such a dosage is most likely to be harmless.

**Conclusion:** These results demonstrate the possibility of selective elimination of senescent cells in humans and the effectiveness of senolytic agents in improving health and physical performance.

**Keywords:** dasatinib, quercetin, replicative ageing, senescence, senolytic

## ალუბლის (*Prunus cerasus* L.) ინტროდუცირებული ჯიშების დახასიათება

ელენე მალაკელიძე<sup>1</sup>; ზვიად ბობოქაშვილი<sup>2</sup>; ვანო კაკაშვილი<sup>3</sup>; ლაშა ციგრაშვილი<sup>4</sup>; მარინა ვახტანგაშვილი<sup>5</sup>

<sup>1</sup>სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მეხილეობის კვლევის სამსახური. <sup>2</sup>ასოცირებული პროფესორი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მეხილეობის კვლევის სამსახური; <sup>3</sup>მაგისტრი; <sup>4</sup>ბაკალავრი; <sup>5</sup>მაგისტრი

### აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოში უკანასკნელ ხანებში ინტროდუცირებული უცხოური სლექციის ალუბლის ჯიშების: კარნეოლი, მონტმორანსი, შატენმორელი აგრობიოლოგიური შესწავლისა და პომოლოგიური აღწერის შედეგები.

კვლევა განხორციელდა სსიპ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, მეხილეობის კვლევის სამსახურის მიერ, 2018-2022 წლებში, საკოლექციო ბაღში (სოფ. ჯილაურა, მცხეთის მუნიციპალიტეტი). კვლევა მოიცავდა შემდეგი სამეცნიერო სამუშაოების განხორციელებას: ჯიშების პომოლოგიური აღწერა, ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის კალენდარული ვადების განსაზღვრა, ბიოლოგიური-სამეურნეო მახასიათებლების (მოსავალი, მავნებელ-დაავადებების მიმართ გამძლეობა, ნაყოფის მექანიკური და ბიოქიმიური მაჩვენებლები) შესწავლა-შეფასება.

შესწავლის მონაცემების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ჯიშები (შატენმორელი, მონტმორანსი და კორნეოლი) ხასიათდებიან მაღალი მოსავლიანობით, გამორჩეული სასაქონლო-საგემოვნო თვისებებით და შესაძლებელია მათი რეკომენდება საქართველოს მეხილეობის წამყვან რეგიონებში ალუბლის სორტიმენტის გაუმჯობესების მიზნით.

**საკვანძო სიტყვები:** ნაყოფი, ჯიში, ყვავილი, დამტვერვა, მოსავალი.

### შესავალი

ალუბალი სინათლის და სითბოს მოყვარული კულტურაა. ამავე დროს არის საკმაოდ ყინვაგამძლეც და გვალვაგამძლეც. ალუბლის ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს გარემო პირობების მიმართ შეგუების დიდი დიაპაზონი, მსხმოიარობაში ადრე შესვლა, უხვი და



რეგულარული მოსავალი. ალუბალი, ბლის მსგავსად, სინათლის და სითბოს მოყვარული კულტურაა, თუმცა საკმაოდ ყინვაგამძლეც არის. ნაყოფი ფართოდ გამოიყენება ძირითადად გადასამუშავებლად და ასევე მოიხმარება ნედლად. მისგან ამზადებენ წვენებს, კომპოტებს, მურაბას, ჩირს, ხილის ღვინოს, ლიქიორს, საკონდიტრო ნაწარმს და სხვ. ნაყოფი შეიცავს ნახშირწყლებს 10-12,5% (ჭარბობს გლუკოზა); ორგანულ მჟავებს 1,06-1,84%; პექტინოვან ნივთიერებებს 0,1-0,9%. ვიტამინ C 1,9-19,5მგ%, A და B ჯგუფის ვიტამინებს. ალუბლის ნაყოფი ვაშლთან შედარებით ორჯერ მეტი რაოდენობით შეიცავს რკინას. ამიტომ მისი მოხმარება სასარგებლოა ანემიის დროს [9,12, 17].

ალუბლის სახეობის წარმოშობის ძირითადი ცენტრი, მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში, სადაც თავმოყრილია *Prunus*-ის გვარში არსებული სახეობების დიდი უმეტესობა ჩვეულებრივი ალუბალი (*Prunus cerasus L.*, 2n = 32), მრავალი მკვლევარის აზრით, წარმოიშვა ბლის (*Prunus avium L*) და სტეპის ალუბლის (*Prunus fruticosa L.*) სპონტანური შეჯვარებით. ასეთ ადგილებად განიხილება სამხრეთ კავკასია, მცირე აზია და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები. ალუბალს უწოდებენ აღმოსავლეთ ევროპის ხილს, რადგან მსოფლიოს ამ ნაწილშია თავმოყრილი ალუბლის ჯიშების ძირითადი მწარმოებელი ქვეყნები [4, 6, 21].

კულტურული ჯიშები წარმოშობილია ალუბლის შემდეგი სახეობებიდან: ჩვეულებრივი ალუბალი (*C. vulgaris*), მჟავე ალუბალი (*C. austera*), ბორცვნარი ალუბალი (*C. collina*), სტეპის ალუბალი (*C. fruticosa*), ბალლოჯი (*C. mahaleb*). მათგან ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვეულებრივ ალუბალს. ნაყოფის შეფერვის მიხედვით ჯიშები იყოფა სამ ჯგუფად: მორელეები ანუ გრიოტები, მუქი ნაყოფებით და შეფერილი წვენით; ამორელეები - ვარდისფერი ნაყოფებით და შეუფერავი წვენით; დიუკები - ბლისა და ალუბლის ჰიბრიდები, მუქი მსხვილი ნაყოფებით [3, 5,8].

ბლის და ალუბლის გლობალური წარმოება მსოფლიოში შეადგენს 5,2 მილიონ ტონას (FAOstat 2020). ალუბლის ყველაზე დიდი მწარმოებელი ქვეყანაა თურქეთი (180 ათასი ტონა), სადაც 90% უკავია საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშებს. შემდეგ მოდის რუსეთი, პოლონეთი, უკრაინა, ირანი, აშშ, სერბეთი, უნგრეთი. ამ ქვეყნებში ალუბლის წარმოება შეადგენს 36-160 ათასი ტონას. ალუბლის სამრეწველო ქვეყნებში ნაყოფი იკრიფება მექანიზირებული წესით - შეიკვრებით და ძირითადად გადასამუშავებელი დანიშნულება აქვს. ასეთი წესით კრეფისთვის ბალები შენდება ძლიერ საძირეზე, 1 ჰა-ზე მცენარეთა მცირე რაოდენობით (210-280 მცენარის ოდენობით) [11,14,16].

საქართველოში ალუბალი თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება როგორც ცალკეული ხეების, ასევე მცირე კორომების სახით. სამრეწველო მნიშვნელობით კი ამენებენ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში და კახეთში. ბლის და ალუბლის წარმოება საქართველოში შეადგენს 5,4 ათას ტონას (საქსტატი 2020). აქედან შიდა ქართლში იწარმოება 3,1 ათასი ტონა, ხოლოკახეთში 700 ტონა. საადრეო პროდუქციის მომცემი რაიონებია ქუთაისი, სამტრედია, წყალტუბო. საქართველოს ალუბლის სორტიმენტი ძირითადად წარმოდგენილია ადგილობრივი და რუსული სელექციის ჯიშებით[1,2,7]

საქართველოში ალუბლის კულტურის სორტიმენტის განახლების და ადგილობრივი ფერმერებისთვის დივერსიფიკაციის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით კომპლექსური, საველე და ლაბორატორიული კვლევა განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, მეხილეობის კვლევის სამსახურის, ჯილაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე, გაშენებული ალუბლის ინტროდუცირებული ჯიშების საკოლექციო ბაღში.

აღნიშნული ჯიშები ინტროდუცირებულია რამდენიმე წლის წინ, მაგრამ მათ შესახებ არ არის ჩატარებული კომპლექსური სამეცნიერო კვლევა საუკეთესოების გამორჩევის მიზნით. არ არსებობს სარწმუნო სამეცნიერო კვლევები მოცემული ჯიშების გაშენების მიზანშეწონილების შესახებ.

### **კვლევის ობიექტი და მეთოდიკა**

კვლევის ობიექტია ალუბლის 3 ინტროდუცირებული ჯიში: კარნეოლი, მონტმორანსი, შატენმორელი მონტმორანსი. საკონტროლოდ აღებულია ადგილობრივი ჯიში ქართული ალუბალი.

ალუბლის ჯიშების პირველადი შესწავლა ჩატარდა 2018-22 წ.წ, ს/მ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის - საგურამოს სოფ. ჯილაურას (მცხეთის რ-ნი) - საკოლექციო ნაკვეთში. ბაღი გაშენებულია 2010 წელს. 5,0X2.5,0მ კვების არეზე. ჯიშები ინტროდუცირებულია იტალიიდან, თითოეული ჯიშიდან, სააღრიცხვოდ გამოყოფილია 15 მცენარე, საძირე - კოლტი. კვლევა მოიცავდა შემდეგ ასპექტებს: მცენარის ცალკეული ორგანოების (ხე, ყლორტი, ყვავილი, ნაყოფი) აღწერას, UPOV-ის დესკრიპტორის მიხედვით [19]. ფენოლოგიური ფაზების კალენდარული ვადების აღრიცხვას: BBCH სკალის მოდიფიცირებული ვარიანტის მიხედვით[10,13]. ჯიშების ბიომეტრული და ბიოლოგიურ-სამეურნეო მახასიათებლები-აღრიცხვა ხის სიმაღლე, სიგანე, შტამბის დიამეტრი, მოსავალი (ერთი ხის საშუალო მოსავლიანობა კგ-ში და ტ/ჰა), მავნებელ-დაავადებების დაზიანების ხარისხი (5 ბალიანი სისტემით) და საველე გამძლეობა დაავადებების მიმართ, ხეხილოვანი, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების ჯიშთაშესწავლის მეთოდიკის მიხედვით [15]. ჩატარდა ნაყოფის მექანიკური და ბიოქიმიური ანალიზი შესაბამისი მეთოდიკის შესაბამისად [18,20].

### **კვლევის შედეგები:**

#### **ფენოლოგიური დაკვირვებები**

ფენოფაზების მსვლელობაზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგად დადგინდა, რომ ალუბლის ჯიშები საშუალოდ ვეგეტაციას იწყებს მარტის მეორე დეკადაში. სავეგეტაციო პერიოდის დაწყების მიხედვით ჯიშებს შორის სხვაობა 6-10 დღეს შეადგენს. ყვავილობა იწყება აპრილის პირველ და მეორე დეკადაში და გრძელდება 8-10 დღე. შესწავლილი ჯიშებიდან ყველაზე ადრე ყვავილობას იწყებს ჯიში შატენმორელი, ყველაზე გვიან მონტმორანსი. ყვავილობის საშუალო პერიოდია 04 – 17 აპრილი.

## ბიომეტრია და მოსავლიანობა

ჯიშებზე ბიომეტრული დაკვირვების ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ ყველაზე კომპაქტური ვარჯით (6,01მ<sup>3</sup>) ხასიათდება ჯიში კარნეოლი, ხოლო ყველაზე ფართე ვარჯით ჯიში მონტმორანსი (14,5 მ<sup>3</sup>) (ცხრილი 1).

ალუბლის ჯიშების ხის პარამეტრები და მოსავლიანობა (2018-2022 წწ)  
ცხრილი 1

ჯიში	ხის სიმაღლე (მ)	შტამბის დიამეტრი (სმ)	ვარჯის მოცულობა (მ <sup>3</sup> )	ვარჯის პროექცია (მ <sup>2</sup> )	მოსავალი (კგ/მ <sup>3</sup> )	მოსავალი (კგ/მ <sup>2</sup> )	მოსავალი (კგ/ხე)
ქართული ალუბალი (საკონტ)	3,04± 0,11 <sup>b</sup>	12,4±0.12 <sup>b</sup>	13,2± 1,76 <sup>c</sup>	8,0± 0,43 <sup>c</sup>	1,4±1.22 <sup>b</sup>	2,3±1.22 <sup>b</sup>	19,2± 0.32 <sup>a</sup>
მონტმორანსი	3,34± 0,18 <sup>b</sup>	12,3±0.04 <sup>b</sup>	14,5± 1,30 <sup>c</sup>	8,16± 0,28 <sup>c</sup>	1,3 ±1.26 <sup>b</sup>	2,3±1.42 <sup>b</sup>	19,5±1.21 <sup>a</sup>
კარნეოლი	2,19± 0,22 <sup>a</sup>	10,6±0.56 <sup>a</sup>	6.01± 2,00 <sup>a</sup>	5,7± 0,51 <sup>a</sup>	2,38± 1.52 <sup>a</sup>	2,5±0.58 <sup>a</sup>	14,3±0.26 <sup>c</sup>
შატენმორელი	2,45± 0,14 <sup>a</sup>	9,78± 0,11 <sup>a</sup>	9,17± 1,67 <sup>b</sup>	7,38± 0,39 <sup>b</sup>	1,9± 1.28 <sup>b</sup>	2,4± 1,67 <sup>a</sup>	17,9±0.21 <sup>b</sup>
უას (LSD) P =0,05	1.22		0.41	0.64	0,25		4,14

შენიშვნა. ერთიდაიგივე ალფაბეტური ასოებით აღნიშნული მაჩვენებლები ერთ სვეტში ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება Tukey-ის უას (LSD) P = 0,05 ტესტის მიხედვით.

როგორც მონაცემების ანალიზმა აჩვენა, 1 ხიდან ყველაზე მაღალი საშუალო მოსავლიანობით გამოირჩა ჯიში - მონტმორანსი (19,5კგ/ხე), თუმცა სტატისტიკური ანალიზის მიხედვით აღნიშნული სხვაობა საკონტროლო ჯიშთან, ქართული ალუბალი არა არსებითი და ამიტომ მისი მოსავლიანობა განიხილება, როგორც საკონტროლო ჯიშის მსგავსი. ამ ნიშნით, ასევე გამოირჩევა ჯიში შატენმორელი - 17,9კგ/ხე. ყველაზე დაბალი მოსავალი აღინიშნა ჯიშზე კარნეოლი -14,3კგ/ხე.

თანამედროვე ინტენსიური ბაღების შესაქმნელად, მნიშვნელოვანია მოსავლიანობის მაჩვენებელი 1 მ<sup>3</sup> ვარჯის მოცულობაზე. ეს მაჩვენებელი წარმოადგენს, ჩახშირებული ნარგაობის შექმნის საფუძველზე, მაღალეფექტიანი ბაღების გაშენების წინაპირობას. ამ

ნიშნით ყველაზე უფრო პროდუქტიულია ჯიში კარნეოლი - 2,38 კგ/მ<sup>3</sup>. ამ მაჩვენებლით ასევე გამოირჩევა ჯიში შატენმორელი - 1.9 კგ/მ<sup>3</sup>.

ალუბლის ჯიშების მოსავლიანობაზე დაკვირვებამ (2018-22წ.წ.) გვიჩვენა, რომ ჯიშები გამოირჩევიან ყოველწლიური, სტაბილური და მაღალი მოსავლით. წლების მიხედვით, ყველაზე მაღალი საშუალო მოსავლიანობა ახასიათებს ჯიშებს მონტმორანსი - 18,7კგ/ხე და შატენმორელი - 17,2კგ/ხე, ხოლო მიუხედავად გამორჩეული საგემოვნო და ვიზუალური მაჩვენებლებისა, დაბალია ჯიშის კარნეოლის მოსავალი - 14,0კგ/ხე.

**ალუბლის ჯიშების საშუალო მოსავლიანობა წლების მიხედვით (2018-2021 წწ)**

**ცხრილი 2**

ჯიში	საშუალო მოსავლიანობა (კგ/ხე)				საშუალო (კგ/ხე) (2018-21წ.წ)
	2018	2019	2020	2021	
ქართული ალუბალი (საკონტ)	16,55	14,0	16,0	15,0	16,0
მონტმორანსი	22,0	13,74	21,0	17,24	18,74
კარნეოლი	12,78	12,12	15,38	14,76	14,0
შატენმორელი	18,26	15,14	19,48	16,0	17,2

**ნაყოფების სიდიდე და ბიოქიმიური ანალიზი**

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ შესწავლილი ჯიშებიდან ყველაზე მსხვილი ნაყოფები ახასიათებს ჯიშს კარნეოლი, რომლის ნაყოფის საშუალო მასა შესაბამისად შეადგენს 6,47 გ, შემდეგ მოდის ჯიში შატენორელი - 5,54გ, ხოლო ჯიშის მონტმორანსის ნაყოფები მასით დაახლოებით საკონტროლო ჯიშის მასის ტოლია 5,0გ (იხ. ცხრილი 3).

ნაყოფების ხსნადი მშრალი ნივთიერების შესწავლის მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტ ნახშირწყლებს აგროვებენ ჯიშები მონტმორანსი და შატენმორელი – 14,3% და 12,2% (იხ. ცხრილი 3).

ალუბლის ჯიშების ნაყოფების სიდიდე და ბიოქიმიური ანალიზი (2018-2022 წწ)

ცხრილი 3

ჯიში	ნაყოფის დიამეტრი (მმ)	ნაყოფის სიმაღლე (მმ)	ნაყოფის მასა, (გ)	ხსნადი მშრალი ნივთიერება Brix (%)	წვენის pH
ქართული ალუბალი (საკონტროლო)	1,91±0.10 <sup>b</sup>	1,88±0.18 <sup>b</sup>	4,93 ± 1,34 <sup>b</sup>	11.8±0.10 <sup>b</sup>	1,24±0.02 <sup>b</sup> ,
მონტმორანსი	1,86±0.20 <sup>b</sup>	1,64±0.16 <sup>b</sup>	5,08 ± 1,09 <sup>b</sup>	14,3±0.12 <sup>a</sup>	1.18±0.01 <sup>a</sup>
კარნეოლი	2,24±0.14 <sup>a</sup>	2,06±1.18 <sup>a</sup>	6,47 ± 1,87 <sup>a</sup>	11,4±0.14 <sup>c</sup>	1.21±0.11 <sup>b</sup>
შატენმორელი	2,08±0.18 <sup>a</sup>	1,84±1.11 <sup>b</sup>	5,55 ± 1,26 <sup>b</sup>	12.2±0.11 <sup>b</sup>	1.11±0.21 <sup>a</sup>
უას (LSD) P = 0,05	1,72	1,42	5,37	0,84	1,0

შენიშვნა. ერთიდაიგივე ალფაბეტური ასოებით აღნიშნული მაჩვენებლები ერთ სვეტში ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდება Tukey-ის უას (LSD) P = 0,05 ტესტის მიხედვით.

**სიმწიფის პერიოდი.**

ჯილაურას კოლექციაში არსებული ალუბლის ჯიშების კრეფისა და სიმწიფის პერიოდის შესწავლამ აჩვენა, რომ ყველაზე საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშია კარნეოლი, რომელიც იკრიფება ივლისის პირველ დეკადაში, ხოლო საადრეო პერიოდის სიმწიფის ჯიშია შატენმორელი, რომლებიც იკრიფება ივნისის მესამე დეკადაში.

**ნაყოფების სადეგუსტაციო შეფასების** შედეგად გაირკვა, რომ მოცემული ჯიშის ნაყოფის სასაქონლო სახე არის ძალიან კარგი, მაღალი საგემოვნო თვისებების, ბალანსირებული სიმჟავით, საკმაოდ არომატული. რბილობის ტექსტურა მკვრივი და წვნიანი. სასაქონლო სახე კარგი ან ძალიან კარგი. საერთო სადეგუსტაციო შეფასება-კარგია და შეადგინა - 8.2 ბალი (10 ბალიანი სისტემით).

ცხრილში 4 მოცემულია შესწავლილი ჯიშების ძირითადი პომოლოგიური მაჩვენებლები.



ალუბლის ჯიშების ზოგადი დახასიათება

ცხრილი 4

ჯიში	წარმოშობა	ხის ზრდის სიძლიერე	სიმწიფის პერიოდი	ნაყოფის ზომა	ნაყოფის ფორმა	რბილობის ფერი	კურკის სიდიდე	ყუნწის სიგრძე
ქართული ალუბალი (საკონტრ)	საქართველო	საშუალო	ივნისის II დეკადა	საშუალო	მრგვალი	მუქი წითელი	საშუალო	გრძელი
მონტმორანსი	საფრანგეთი	ძლიერი	ივნისის III - ივლისის I დეკადა	საშუალო	მრგვალი	ღია წითელი	საშუალო	მოკლე
კარნეოლი	გერმანია	სუსტი	ივლისის I დეკადა	დიდი	მრგვალი	მუქი წითელი	დიდი	საშუალო
შატენმორელი	ევროპა	საშუალო	ივნისის III დეკადა	საშუალო	მრგვალი	მუქი წითელი	საშუალო	საშუალო

ჯიშების პომოლოგიური დახასიათება

კვლევის შედეგად განხორციელდა ალუბლის ჯიშების მცენარეების და ნაყოფების სრული პომოლოგიური აღწერა. ქვემოთ მოცემულია შესწავლის საფუძველზე აღნიშნული ჯიშების პომოლოგიური და ბიოლოგიურ-საწარმოო დახასიათება.

**მონტმორენსი (Montmorency)** ძველი ფრანგული ჯიშია, ცნობილია მე-18 საუკუნიდან. ფართოდ არის გავრცელებული აშშ-სა და კანადაში. საქართველოში შემოტანილია 2010 წელს ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრის (2014 წლიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ს. ჯილაურას ექსპერიმენტული ბაზა) მიერ.



ხე საშუალო ან საშუალოზე ძლიერი ზრდის. უხვად შეფოთილი. ივითარებს ჩახშირებულ, მომრგვალო ფორმის, გადაშლილ ვარჯს. ახასიათებს კარგი განტოტვა და ასევე ყლორტების განვითარების მაღალი უნარი. ძირითადად მსხმოიარობს ერთწლიან ტოტებზე და სანაყოფე თაიგულებზე. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-4-5 წელს (საძირე - კოლტი). მოსავლიანობა რეგულარული, მაღალი. კვლევის მიხედვით დადგენილია, რომ საშუალო მოსავალი შეადგენს 19 კგ/ხე.

ჯიში თვითფერტილურია, საშუალო-საგვიანო პერიოდის მოყვავილე. ყვავილობს აპრილის მეორე დეკადაში (საკონტროლო ჯიშ ქართული ალუბალი შედარებით 6-8 დღით გვიან). ყვავილობის ხანგრძლივობა 9-12 დღეა. (ს. ჯიდაურას პირობებში).

ნაყოფი საშუალო ან საშუალოზე მსხვილი(5.0-5.2გ), მომრგვალო ფორმის (1.8X1.64 სმ). ყუნწი თხელი, მოკლე (სიგრძე 27- 28 მმ). კარგად ემაგრება ყლორტს. კანი ალისფერი წითელი, საშუალო სიმკვრივის, რბილობი მოყვითალო-მოწითალო ფერის, წვნიანი, უფერული წვენით. კურკა საშუალო სიდიდის (0.31 გ), მრგვალი. სანახევროდ შორდება რბილობს. საგემოვნო თვისებების მიხედვით ნაყოფი არის ძალიან მჟავე. სადეგუსტაციო შეფასება 4.4 ბალი (5-ბალიანი სისტემით).



მარტივი ბიოქიმიური შედგენილობა - ხსნადი მშრალი ნივთიერება - 11.4 -12.3% Brix. ტიტრული მჟავიანობა - 1.2-1.18 %.

ჯიშს ახასიათებს უხვი და რეგულარული მსხმოიარობა, არის საშუალო სიმწიფის პერიოდის. ნაყოფი მწიფდება ივნისის მესამე დეკადაში. ტრანსპორტაბელობის უნარი მაღალი. ძირითადად გამოიყენება გადამამუშავებელი სახით, სხვადასხვა სახის პროდუქციის წვენების, კომპოტების დასამზადებლად. ნაყოფები სრულ სიმწიფეშიც კი არის ალისფერი, არ გადადის ალუბლისფერში.

ჯიშს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია სამრეწველო მიზნით გავრცელდეს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში უპირატესად გადამამუშავების მიზნით.

**კარნეოლი (Karneol)** - გერმანული ჯიშია ბრიგიტა ვოლფრამის (Brigitte Wofram) სასელექციო პროგრამიდან, მიღებულია 1980 -იან წლებში დრეზდენ პილნიცის მეხილეობის ინსტიტუტში ჯიშების კოროსერის (Koroser) და შატენმორელის (Schattenmorelle) შეჯვარებით. საქართველოში შემოტანილია 2010 წელს ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრის (2014 წლიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ს. ჯიდაურას ექსპერიმენტული ბაზა) მიერ.



ხე სუსტი ან საშუალო ზრდის. მომრგვალო ფორმის, გადაშლილი საშუალოდ ჩახშირებული ვარჯით. ჯიშს ახასიათებს საშუალო განტოტვა და ასევე ყლორტების განვითარების კარგი უნარი. მსხმოიარობის ტიპი შერეული. მსხმოიარობს როგორც ერთწლიან ტოტებზე, ასევე სანაყოფე თაიგულებზე. მსხმოიარობაში შედის დარგვიდან მე-3-4 წელს (საძირე - კოლტი). მოსავლიანობა რეგულარული. კვლევის მიხედვით დადგენილია, რომ საშუალო მოსავალი შეადგენს 14 -15 კგ/ხე.

ჯიში საშუალო პერიოდის მოყვავილეა. ნაწილობრივ თვითფერტილი. ყვავილობს აპრილის შუა რიცხვებში. ყვავილობის ხანგრძლივობა 8-10 დღეა. (ს. ჯილაურას პირობებში). დამამტვერიანებელი - შატენმორელი.

ნაყოფი მსხვილი (5.8-6.5გ), მომრგვალო-ელიფსური ფორმის (2,06X2,24სმ). ყუნწი სუსტი, საშუალო (სიგრძე 42მმ). კარგად ემეგრება ყლორტს. კანი ძალიან მუქი წითელი, საშუალო სისქის, რბილობი ხორციანი, წითელი ფერის, წვნიანი, წვენი - მუქი წითელი. კურკის გამოსავლიანობა 7,2 %-ი, მოგრძო -მომრგვალო ფორმის. სანახევროდ შორდება რბილობს. გემო მჟავე მოტკბო გემოთი. სადეგუსტაციო შეფასება 4.6 ბალი (5-ბალიანი სისტემით).



მარტივი ბიოქიმიური შედგენილობა - ხსნადი მშრალი ნივთიერება - 11.4% (Brix), ტიტრული მჟავიანობა - 1.18 – 1.2 %.

საშუალო-საგვიანო სიმწიფის პერიოდის ჯიშია, სასიამოვნო საგემოვნო თვისებების. ნაყოფი მწიფდება ივლისის პირველ დეკადაში. ტრანსპორტაბელობის უნარი მაღალი. შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნედლი სახით და ასევე წარმოადგენს კარგ ნედლეულს გადამამუშავებელი მრეწველობისთვის.

ჯიშს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია სამრეწველო მიზნით გავრცელდეს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში.

**შატენმორელი (Schattenmorelle)** მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ძველი ევროპული ჯიშია, რომელიც ლიტერატურული წყაროებით ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მოიხსენებოდა.

სინონიმები: მორელო (აშშ, დიდი ბრიტანეთი), ლუტოვკა (პოლონეთი), გრიოტ დე ნორდი (საფრანგეთი). საქართველოში შემოტანილია 2010 წელს ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრის (2014 წლიდან სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ს. ჯილაურას ექსპერიმენტული ბაზა) მიერ.



ხე საშუალო ზრდის. ვარჯი სფერული ფორმის (ჩახშირებული), კარგად შეფოთილი. ჩონჩხის ტოტები ზემოთ მიმართული. ჯიში ხასიათდება კარგი განტოტვის უნარით და ყლორტების განვითარების კარგი უნარით. მსხმოიარობა ძირითადად არის სერეული

ტიპის.იგი მსხმოიარობს სანაყოფე თაიგულებზე და ერთწლიან ტოტებზე. მსხმოიარობაში შედის მე-3-4 წელს (საძირე - კოლტი). მოსავლიანობა რეგულარული, მაღალი. კვლევის მიხედვით დადგენილია, რომ საშუალო მოსავალი შეადგენს 17,2-19 კგ/ხე.

საგვიანო პერიოდის მოყვავილე. თვითფერტილი. ყვავილობს აპრილის პირველ- მეორე დეკადაში. (საკონტროლო ჯიშ ქართული ალუბალი შედარებით 5- 6 დღით გვიან). ყვავილობის ხანგრძლივობა 8-10 დღეა. (ს. ჯილაურას პირობებში).

ნაყოფი საშუალო, ან საშუალოზე მსხვილი მასის (4.8- 5.5გ), მომრგვალო ფორმის (1.84X2.08სმ). ერთგვაროვანი. ყუნწი სუსტი, საშუალო (სიგრძე- 36 - 38 მმ). კარგად ემეგრება ყლორტს. კანი მუქი წითელი ფერის, საშუალო სიმკვრივის, რბილობი მუქი წითელი.ძალიან წვნიანი. კურკა საშუალო სიდიდის (0.24- 0,27გ), კვერცხისებური ფორმის, ადვილად შორდება რბილობს. ნაყოფის გემო მჟავე ოდნავ ტკბილი. სადეგუსტაციო შეფასება 4.5 ბალი (5-ბალიანი სისტემით).



მარტივი ბიოქიმიური შედგენილობა - ხსნადი მშრალი ნივთიერება - 12.0 -12.5% (Brix), ტიტრული მჟავიანობა - 1.11-1.16 %.

კარგი საგემოვნო თვისებების მქონე ჯიშია. საშუალო სიმწიფის პერიოდის. ნაყოფი მწიფდება ივლისის პირველ დეკადაში. ძირითადად გამოიყენება ნედლი სახით ან გადასამუშავებლად.

ჯიშს შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია სამრეწველო მიზნით გავრცელდეს აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში.

#### დასკვნები:

ალუბლის ინტროდუცირებული ჯიშების სამეურნეო და აგრობიოლოგიური თვისებების კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა აღნიშნულ ჯიშებს: კარნეოლი, შატენმორელი და მონტმორანსი, მიეცეს რეკომენდაცია გასაშენებლად საქართველოს იმ რეგიონებსა და ზონებში, სადაც ალუბლის წარმოება შესაძლებელია კომერციული დანიშნულებით, კერძოდ, შიდა ქართლში კახეთსა და ქვემო ქართლში.

#### ლიტერატურა:

1. ბობოქაშვილი ზ., ძერია ვ. მებაღეობა. თბ.,2010.
2. ბობოქაშვილი ზ., ბალი, მნიშვნელოვანი კურკოვანი კულტურა,"აგრობაზისი"თბ.(2018).
3. ბობოქაშვილი ზ., მაღლაკელიძე ე., (2020). საქართველოს ხეხილი: ახალი ჯიშები და მათი თავისებურებები. თბ.,(2020); გვ 142-152.
4. საქართველოს აგრობიომრავალფეროვნება (კატალოგი) თბ., 2015.
5. საქართველოს მეხილეობა, ნ. ხომიზურაშვილის რედაქციით, ტ. IV.თბ.,1977.



6. საქართველოს ხილი (კატალოგი), ვ. კვალიაშვილის რედაქციით, თბ.,(2001)
7. საქსტატი (2020). საქსტატის ეროვნული სტატისტიკური ოფისი საქართველოში 2021. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
8. Avanzato D. (2002). Cherry and Sweet cherry cultivars in Georgia. Actual Questions of fruit-growing Publishing by FAO project. Tbilisi-Gori-Akhaltshikhe. pp. 58-62. (In Georgian).
9. Baden M L, Byrne D H. (2012). Fruit breeding. Hand book of breeding. Springer Science pp.571-621.
10. Growth stages of vegetables, pome- stone- and berry fruits and grape and weed species (BBCH-Code). Ed. SPAAR,
11. FAOSTAT (2020): <http://faostat.fao.org/default.aspx>
12. Menzies R. (2004): Increasing cherry fruit size. Agfact H5.4.2. Available at [www.dpi.nsv.gov.au](http://www.dpi.nsv.gov.au) Milatović P.D., Đurović B.D., Đorđević
13. Meier U. (2001) Growth Stages of Mono and Dicotyledonous Plants. BBCH Monograph, Federal Biological Research Centre for Agriculture and Forestry, Bonn.
14. Postweiler K, Stosser R, Anvari A. (1985) The effect of different temperatures on the viability of ovules in cherries. *Scientia Horticulturae* 25(3); pp.235-239
15. Sedov E and Ogoltsova T Program and methodology of variety researching of fruit, berry and nut crops (Publishing house of the all-Russian research Institute of fruit crop selection, Orel, 1999)
16. Schick J., Toivonen M. (2000). Optimizing cherry Stem quality. 16th Annual Postharvest Conference Yakima, WA, March. pp. 14-15.
17. Serrano M., Guillén F., Martínez-Romero D., Castillo S., Valero D. (2005): Chemical constituents and antioxidant activity of sweet cherry at different ripening stages. *Journal of Agricultural and Food Chemistry*, 53: 2741–2745.
18. Shirokov, E., Polegaev V. (1988). Storage Technology and processing of fruits and vegetables horticulture and viticulture. Moscow. Publisher 'Agropromizdat' (in Russian).
19. UPOV descriptor (2006): Guidelines for the conduct of tests for distinctness, uniformity and stability Cherry (*Prunus cerasus* L.) – TG/230/1.
20. UŠenić V., Fabčić J., Stampar F.,(2008). Sugars, organic acids, phenolic composition and antioxidant activity of sweet cherry (*Prunus avium* L.). *Food Chem.* 107.pp.185-192.
21. Zhukovsky P. (1971). Cultivated plants and their relatives. Moscow. Kolos publishing house. pp. 481-565 (in Russian).



## Description of Introduced Cherry (*Prunus cerasus* L.) varieties

**E. Maghlakelidze** - PhD in Agricultural Science,

**Z. Bobokasvili** - Associate Professor, PhD in Agricultural Science,

**V. Kakashvili** - Master.

**L. Tsigriashvili** - Bachelor,

**M. Vakhtangashvili** – Master.

LEPL Scientific-Research Center of Agriculture, Division of Fruit-growing Research,

### **Abstract**

There are given the results of the assessments of prospective introduced cultivars of cherry In Georgia.

The research has been carried out in the collection orchard of the experimental station Jigaura of LEPL Scientific-Research Center of Agriculture (SRCA) in the 2018-2022. The following agronomic and biological characteristics were studied according to the cultivar: phenological phases of development, detailed pomological description of tree, susceptibility toward diseases, biochemical and mechanical analysis of fruits and other features.

According to the study data, cultivars: Schattenmorelle, Karneol, Montmorency are characterized by high productivity and good fruit characteristics and could be recommended for the improvement of assortments of cherry in East regions of Georgia.

**Key words:** fruit, variety, flower, pollination, harvest

## ენდომეტრიუმის ეპითელიური სიმსივნეების რეციდივისა და მეტასტაზირების ფენოტიპური მახასიათებლები

კრიტიკული მიმოხილვა

ალექსანდრე დიაკონიძე<sup>1</sup>; რიმა ბერიაშვილი<sup>2</sup>, გიორგი ბურკაძე<sup>3</sup>

<sup>1</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის PhD სტუდენტი; <sup>2</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პათოლოგიური ანატომიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; <sup>3</sup>თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მოლეკულური პათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

### აბსტრაქტი

ენდომეტრიული კარცინომა წარმოადგენს გავრცელებულ გინეკოლოგიურ ავთვისებიან სიმსივნეს, რომელიც ინციდენტობაც მსოფლიოს მასშტაბით, ყოველწლიურად იზრდება და შეადგენს 65,620 ახალ შემთხვევას. საქართველოში საშვილონოს სიმსივნეები იკავებს გავრცელებით მე-3 ადგილს (13,3% ყოველ 100 000 ქალზე), ხოლო სიკვდილიანობით კი მე-4 ადგილს (4,8% ყოველ 100 000 ქალზე). ენდომეტრიულ კარცინომებში ყველაზე ხშირია ენდომეტროიდული ტიპის კარცინომები, რომელიც შეადგენს ენდომეტრიუმის ავთვისებიანი დაზიანებების დაახლოებით 75-80%-ს. ბოლო წლებში არ მომხდარა ენდომეტრიული კარცინომის პროგნოზის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ასევე ნაჩვენებია, რომ ჯერ კიდევ ხშირია სიმსივნეები, რომლებიც ვლინდება შორსწასულ სტადიაზე, ავთვისებიანობის მაღალი ხარისხით და აგრესიული ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლებით. ადიუვანტური თერაპიული მიდგომები დღეს-დღეობით ისევ რთული და ურთიერთწინააღმდეგობრივია და არსებობს მხოლოდ მცირე არჩევანი მეტასტაზური დაავადების სამკურნალო მიდგომებში. ჯერ-ჯერობით ისევ მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს პაციენტთა იმ ქვეჯგუფის სარწმუნო იდენტიფიკაცია, რომლებიც იმყოფებიან რეციდივის და მეტასტაზების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ. ენდომეტრიუმის ეპითელიური სიმსივნეების რეციდივისა და მეტასტაზირების ფენოტიპური მახასიათებლების ძიება აქტიურ ფაზაშია და ერთმნიშვნელოვანი მონაცემები მათ შესახებ არ არსებობს.

**საკვანძო სიტყვები:** ენდომეტრიუმის კარცინომა; პროგნოზული მარკერები; რეციდივი;

ენდომეტრიული კარცინომა წარმოადგენს გავრცელებულ გინეკოლოგიურ ავთვისებიან სიმსივნეს, რომელიც ინციდენტობაც მსოფლიოს მასშტაბით, ყოველწლიურად იზრდება და შეადგენს 65,620 ახალ შემთხვევას[1]. საქართველოში საშვილონოს სიმსივნეები იკავებს გავრცელებით მე-3 ადგილს (13,3% ყოველ 100 000 ქალზე), ხოლო სიკვდილიანობით კი მე-4 ადგილს (4,8% ყოველ 100 000 ქალზე) [2]. ენდომეტრიულ კარცინომებში ყველაზე ხშირია ენდომეტროიდული ტიპის კარცინომები, რომელიც შეადგენს ენდომეტრიუმის ავთვისებიანი დაზიანებების დაახლოებით 75-80%-ს. სეროზული კარცინომები გვხვდება ენდომეტრიუმის ავთვისებიანი სიმსივნეების დაახლოებით 10%-ში, ხოლო ნათელუჯრედოვანი სიმსივნეები საკმაოდ იშვიათია და მათი ინციდენტობა აღწევს ენდომეტრიული კარცინომების შემთხვევების დაახლოებით 4%-ს [3]. სეროზული კარცინომების დაახლოებით 70% ვლინდება უკვე შორსწასულ სტადიაზე, როდესაც სიმსივნე გავრცელებულია საშვილონოს გარეთ. ასევე, ხშირად ვლინდება ინტრაპერიტონეული დაზიანებების არსებობაც. ბოლო წლებში არ მომხდარა ენდომეტრიული კარცინომის პროგნოზის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ასევე ნაჩვენებია, რომ ჯერ კიდევ ხშირია სიმსივნეები, რომლებიც ვლინდება შორსწასულ სტადიაზე, ავთვისებიანობის მაღალი ხარისხით და აგრესიული ჰისტოპათოლოგიური მახასიათებლებით. ადიუვანტური თერაპიული მიდგომები დღეს-დღეობით ისევ რთული და ურთიერთწინააღმდეგობრივია და არსებობს მხოლოდ მცირე არჩევანი მეტასტაზური დაავადების სამკურნალო მიდგომებში [4]. ჯერ-ჯერობით ისევ მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს პაციენტთა იმ ქვეჯგუფის სარწმუნო იდენტიფიკაცია, რომლებიც იმყოფებიან რეციდივის და მეტასტაზების განვითარების მაღალი რისკის ქვეშ [5].

ენდომეტრიული კარცინომების მხოლოდ ჰისტოპათოლოგიური შეფასება არ არის საკმარისად ზუსტი, რეციდივისა და მეტასტაზების განსაზღვრის მიზნით, განსაკუთრებით მაღალი ხარისხის ავთვისებიანობის სიმსივნეების შემთხვევაში. ასევე რთულია, მხოლოდ ჰისტოპათოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ენდომეტრიული კარცინომების პროგნოზის განსაზღვრა[6]. შესაბამისად, ენდომეტრიული კარცინომების დიაგნოსტიკაში აქტუალურია დამატებითი იმუნოჰისტოქიმიური ან/და მოლეკულურ-გენეტიკური მეთოდების გამოყენება, თუმცა მაღალი ხარისხის ენდომეტრიული კარცინომის ქცევის (რეციდივი, მეტასტაზირება) ზუსტი პროგნოზის განმსაზღვრელი მარკერი დღეს-დღეობით არ არსებობს და ისევ მიმდინარეობს კვლევები აღნიშნული მიმართულებით.

არსებული კლინიკური გაიდლაინების მიხედვით, ენდომეტრიული კარცინომების ავთვისებიანობის ხარისხის განსაზღვრა ხდება გინეკოლოგია-მეანობის საერთაშორისო ფედერაციის (FIGO – International Federation of Gynecology and Obstetrics) მიერ მოწოდებული სისტემით, რომლის განსაზღვრაც ხდება ენდომეტრიული კარცინომების ჯირკვლოვანი დიფერენციაციის მიხედვით. G1 (Grade 1) სიმსივნეებში ვლინდება  $\leq 5$  სოლიდური არაჯირკვლოვანი, არაბრტყელუჯრედოვანი ზრდა. G2 (Grade 2) სიმსივნეებში ვლინდება 6-50%, ხოლო G3 (Grade 3) სიმსივნეებში  $>50\%$ -ზე. მკვეთრად გამოხატული ციტოლოგიური

ატიპიის არსებობა სცილდება G1 დონეს[3]. ხარისხის განსაზღვრის აღნიშნული სისტემა მოწოდებულია მუცინური და ენდომეტროიდული კარცინომებისთვის. რაც შეეხება ენდომეტრიუმის სეროზული კარცინომებს მათი ავთვისებიანობის ხარისხის ყოველთვის მაღალია (G3) [6]. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ G1 სიმსივნეები ასოცირდება ლიმფურ კვანძში მეტასტაზირების მნიშვნელოვნად დაბალ სიხსირესთან, შედარებით G2 სიმსივნეებთან (6,6% და 11,6% შესაბამისად,  $p=0.003$ ), თუმცა აღნიშნული განსხვავება აღარ ვლინდება მიომეტრიუმში ინვაზიის სიღრმის გათვალისწინების შემთხვევაში. გენეტიკურად, G1 და G2 სიმსივნეების უმეტესობა ხასიათდება მიკროსატელიტური არასტაბილურობით, ხოლო G3 სიმსივნეებისათვის კი დამახასიათებელია მაღალი ჰეტეროგენულობა. თუმცა, მათი უმეტესობისათვის ასევე დამახასიათებელია ენდომეტროიდული გენეტიკური პროფილი, p53 მუტაციებით ან მის გარეშე [7], ხოლო სეროზული კარცინომები კი ძირითადად ხასიათდება p53 მუტაციების არსებობით და ენდომეტროიდული გენეტიკური პროფილის არარსებობით [8].

ენდომეტრიული კარცინომის სტადიის განსაზღვრა ხდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული ქირურგიული პროტოკოლების მიხედვით, რაც მნიშვნელოვანია მაღალი რისკის მქონე პაციენტებში პროგნოზული ინფორმაციის მოსაპოვებლად. კვლევებით ნაჩვენებია მაღალი რისკის მქონე პაციენტებში შრატის მარკერების, როგორცაა CA125, რაოდენობასა და პროგნოზულ მაჩვენებლებს შორის კავშირი. სავარაუდოა, რომ შრატში CA125-ის მომატებული დონე ასოცირდება ენდომეტრიული კარცინომის რეციდივისა და სიკვდილიანობის მომატებულ რისკთან. თუმცა, მისი დიაგნოსტიკური მგრძობელობა ენდომეტრიული კარცინომის შემთხვევაში არადამაკამყოფილებელია, განსაკუთრებით, სიმსივნის ადრეულ სტადიებზე. შრატში CA125-ის კონცენტრაცია მომატებულია ენდომეტრიული კიბოს ადრეული სტადიის მქონე პაციენტების 10-20%-ში, ხოლო რეციდივის მქონე უსიმპტომო პაციენტების 25%-ში [9]. ამ მარკერის განსაზღვრა ოპერაციამდე მნიშვნელოვანია პაციენტების სტრატეგიკაციისა და პოტენციური პოსტ-ოპერაციული რისკების შემცირებისთვის. თუმცა, CA125-ის მომატებული კონცენტრაციის კავშირი სხვა კლინიკურ მონაცემებთან შემდგომი შესწავლის საგანია.

ჰორმონ-დამოკიდებულების მიხედვით ენდომეტრიული კარცინომა ტრადიციულად იყოფა, როგორც ესტროგენ დამოკიდებული (ტიპი I - ენდომეტროიდული) და ესტროგენ დამოუკიდებელი (ტიპი II - სეროზული). შესაბამისად, არსებობს მოსაზრება, რომ I ტიპის სიმსივნეები ვითარდება ჭარბი ესტროგენული ზემოქმედების შედეგად. ისინი ხშირად ვლინდება პრე- ან პერიმენოპაუზურ ასაკში. II ტიპის სიმსივნეების ესტროგენ-დამოკიდებულება საეჭვოა, რადგან ისინი უფრო ხშირად ვლინდება მენოპაუზურ ასაკში და მოიცავს პაპილურ, სეროზულ და ნათელუჯრედოვან კარცინომებს [10]. ნაჩვენებია, რომ ესტროგენის და პროგესტერონის რეცეპტორებზე (ER და PR შესაბამისად) იმუნოჰისტოქიმიური პოზიტიურობა ასოცირდება ენდომეტრიული კარცინომების პროგნოზთან, კერძოდ, ზოგად გადარჩენადობასთან, თუმცა მათი ასოციაცია რეციდივებისა და მეტასტაზირების განვითარებასთან ჯერ კიდევ წარმოადგენს კვლევის საგანს [11].



ენდომეტრიოიდული კარცინომისთვის დამახასიათებელი ყველაზე ხშირი გენეტიკური ცვლილებაა ფოსფატაზას და ტენზინის ჰომოლოგის ინაქტივაცია, რასაც მოყვება გენომის არასტაბილურობა და KRAS-ისა და B-კატენინის მუტაციები. სეროზული კარცინომების შემთხვევაში კი ყველაზე ხშირ გენეტიკურ ცვლილებებას წარმოადგენს P53 მუტაცია, რასაც მოჰყვება ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორი 2-ის (HER2) ექსპრესიის გაძლიერება. TP53 მუტაციები ორჯერ უფრო ხშირია სეროზულ კარცინომებში ენდომეტრიოიდულ ტიპთან შედარებით და ვლინდება დაავადების ადრეულ ეტაპზე [9]. მისი ჭარბი ექსპრესია დაკავშირებულია დაავადების პროგრესულ სტადიასთან, დაბალ დიფერენციაციასთან, მიომეტრიუმში ღრმა ინვაზიასთან, ლიმფური კვანძებში მეტასტაზირებასა და გადარჩენის დაბალ მაჩვენებელთან. P53 ცილის გამაქტიურებელი ზოგიერთი სასიგნალო გზა წარმოადგენს ღეროვანი უჯრედების აქტივობის მნიშვნელოვან განმსაზღვრელს, რაც მიუთითებს მათ წვლილზე ენდომეტრიუმის სიმსივნის განვითარებაში.

უკანასკნელი მტკიცებულებების მიხედვით სავარაუდოა, რომ CD133-ის ექსპრესია დაკავშირებულია სიმსივნის ღეროვანი უჯრედების აქტივობასთან. ავტორების მიერ აღმოჩენილია, რომ უჯრედები, რომლებიც აექსპრესირებენ CD133-ს ავლენენ სიმსივნის ღეროვანი უჯრედების მახასიათებლებს, მათ შორის, თვითგანახლებისა და დიფერენციაციის უნარს [12]. CD133-პოზიტიური უჯრედები რეზისტენტული აღმოჩნდნენ ცისპლატინისა და პაკლიტაქსელის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ როგორც CD133-პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ უჯრედებს შეუძლიათ სიმსივნის ზრდის ინიცირება *in vivo*, CD133-პოზიტიური უჯრედების პროცენტული მაჩვენებელი მეორეულ ტრანსპლანტანტებში უფრო მაღალი აღმოჩნდა. ავტორების მიერ გამოკვლეულ იქნა ALDH1-ის ექსპრესია ენდომეტრიული კარცინომის უჯრედულ ხაზებში. ავტორებმა დაადგინეს, რომ უჯრედები, რომლებიც აექსპრესირებდნენ ALDH1-ს, იყვნენ უფრო ინვაზიური და რეზისტენტული სიმსივნის საწინააღმდეგო აგენტების მიმართ. შესაბამისად, ALDH1-ის მაღალი ექსპრესიის მქონე პაციენტებს ჰქონდათ უფრო ცუდი პროგნოზი სხვა პაციენტებთან შედარებით.

ენდომეტრიუმი დინამიური ქსოვილია, რომელიც გაივლის ზრდის, დიფერენციაციის, ჩამოფეცვისა და რეგენერაციის ციკლებს. ეს ფაზები მიმდინარეობს ღეროვანი უჯრედების ხარჯზე [13]. ენდომეტრიუმი შეიცავს ეპითელიური და სტრომული კოლონიების წარმომქმნელი უჯრედების იშვიათ პოპულაციას. გამოყოფილ იქნა ე.წ მოსაზღვრე პოპულაციის უჯრედები (Side Population Cells - SP cells), რომლებიც ავლენენ სიმსივნის ღეროვანი უჯრედების მახასიათებლებს, გამოხატულ მიგრაციულ უნარს, მეზენქიმურ უჯრედებად დიფერენციაციის პოტენციალს. SP-უჯრედებისგან წარმოქმნილი სიმსივნეები შედგება სიმსივნური ქსოვილისგან და სტრომული კომპონენტებით გამდიდრებული უჯრედგარე მატრიქსისგან. არსებობს მოსაზრება, რომ სტრომული კომპონენტები, როგორცაა ანთებითი უჯრედები, ენდოთელიური უჯრედები, ფიბრობლასტები, წარმოიქმნებიან სიმსივნის მაქტიქსის ზრდის ფაქტორების, ან ციტოკინების საპასუხოდ, რომლებიც გამოიყოფა სიმსივნური უჯრედებისგან, ან გააქტიურებული ფიბრობლასტებისგან. ალტერნატიულად, სტრომული უჯრედები შეიძლება მიღებულ იქნას იმ სიმსივნური უჯრედებისგან, რომლებმაც განიცადეს ეპითელიურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია [14].



Ki67 წარმოადგენს უჯრედის პროლიფერაციულ მარკერს, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნეების პროლიფერაციული პოტენციალის განსაზღვრის მიზნით [15]. რაც შეეხება ენდომეტრიულ კარცინომებს, მიმდინარეობს კვლევები, Ki67-ის გამოყენებაზე, ქირურგიული ჩარევის არეალის განსაზღვრის მიზნით, პრეოპერაციულ მასალაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ Ki67-ის ექსპრესია სარწმუნოდ ასოცირდება ენდომეტრიული კარცინომების ავთვისებიანობის ხარისხთან, მისი გამოყენება პროგნოზულ მარკერად ბოლომდე დადასტურებული არაა [16].

ციკლინ A, უჯრედული ციკლის მარეგულირებელი ცილა, ხელს უწყობს უჯრედების პროლიფერაციას და შესაბამისად, სიმსივნის ზრდას. ჩატარებული კვლევების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ციკლინ A-ს ექსპრესია მნიშვნელოვნად იზრდება მაღალი პროლიფერაციული პოტენციალის მქონე უჯრედებში, კონკრეტულად იმათში, რომელთაც გაიარეს G1-S ფაზა. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ის წარმოადგენდეს ენდომეტრიული კარცინომის პროლიფერაციის საიმედო ბიომარკერს [17].

HER2 მიეკუთვნება ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორების ოჯახს და მისი გააქტიურება იწვევს უჯრედების უკონტროლო დაყოფას. აღმოჩნდა, რომ HER2-ის გაზრდილი ექსპრესია გვხვდება ენდომეტრიოიდული კარცინომების 10-20%-ში, ხოლო სეროზული კარცინომების დაახლოებით 14-80%-ში და ასოცირდება დაავადების პროგრესიასთან, დიფერენციაციისა და ცუდ გადარჩენის მაჩვენებელთან. ზოგიერთმა მკვლევარმა აღმოაჩინა კორელაცია HER2-ის გადაჭარბებულ ექსპრესიასა და სიმსივნის ხარისხს შორის. ჭარბი ექსპრესია შეიძლება აიხსნას ინდივიდუალურ კვლევებში გამოყენებული ნიმუშების მცირე ზომით, კლინიკური და ჰისტოპათოლოგიური ფაქტორების და კვლევის მეთოდების განსხვავებულობით, თუმცა, რამდენიმე მკვლევარის აზრით, HER2 შეიძლება იყოს პერპექტიული თერაპიული სამიზნე ენდომეტრიული კარცინომებისთვის, რაც მოითხოვს კვლევების შემდგომ გაგრძელებას.

სავარაუდოა, რომ PI3K-PTEN-AKT სასიგნალო გზა ყველაზე ხშირად იცვლება ენდომეტრიულ კარცინომაში. ის არეგულირებს მრავალ პროცესს, როგორცაა პროლიფერაცია, აპოპტოზი, უჯრედების ზრდა და ანგიოგენეზი. ნორმალურ უჯრედებში PTEN გენის პროდუქტი, ლიპიდური ფოსფატაზა, თრგუნავს PI3K-AKT-mTOR სასიგნალო გზის აქტივობას. PTEN ფუნქციის ნაკლებობა იწვევს ამ გზის გააქტიურებას და უჯრედების პროლიფერაციას. ამ სასიგნალო გზების ცვლილებები ვლინდება ენდომეტრიოიდული კარცინომის შემთხვევათა დაახლოებით 80%-ში, თუმცა, მისი კავშირი სიმსივნის სტადიასთან, ინვაზიის სიღრმესა და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზის წარმოქმნასთან, დადასტურებული არ არის. ასევე აღმოჩნდა, რომ ფიბრობლასტების ზრდის ფაქტორის რეცეპტორების მუტაციები გვხვდება ენდომეტრიული კიბოს დაახლოებით 12%-ში და ისინი ძირითადად დაკავშირებულია PTEN გენის ფუნქციის დაკარგვის მუტაციებთან.

სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ სოლიდური სიმსივნეების პროგრესიაში და განსაკუთრებით მეტასტაზურ ზრდაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაცია. ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის დროს ეპითელური სიმსივნური უჯრედები იძენენ მეზენქიმურ მორფოლოგიას, რაც აადვილებს მათ შემდგომ ინვაზიას და მიგრაციას [18]. სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, რომ ესტროგენის რეცეპტორების ჭარბი ექსპრესია სარწმუნოდ ასოცირდება ენდომეტრიულ კარცინომაში ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის არსებობასთან [19].

მოლეკულური და ბირთვული მექანიზმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციას, კომპლექსურია და ინიცირდება მრავალი სასიგნალო გზითა და ტრანსკრიფციის ფაქტორით. სიმსივნის მიკროგარემოსა და სიმსივნურ უჯრედებს შორის დინამიური ურთიერთქმედება ასევე ხელს უწყობს ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის ინდუქციას და იწვევს მეტასტაზურ პროგრესირებას [20]. აღნიშნული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოლეკულური მახასიათებელია E-კადჰერინის ექსპრესიის შემცირება ან სრული დაკარგვა, რომლის გამოვლენაც შესაძლებელია იმუნოჰისტოქიმიური მეთოდით. ავთვისებიან სიმსივნეებში ეპითელური უჯრედშორისი კავშირების დაკარგვა E-კადჰერინის ინჰიბირებით მნიშვნელოვანია ინვაზიისა და მეტასტაზების განვითარებისთვის. სავარაუდოა, რომ ენდომეტრიულ კარცინომებში E-კადჰერინის ექსპრესიის დაქვეითება დაკავშირებულია სიმსივნის ინვაზიასა და მეტასტაზების განვითარებასთან. ავტორების მიერ ჩატარებული კვლევებით მაღალი ხარისხის ენდომეტრიული კარცინომების მქონე პაციენტებში დაფიქსირდა ეპითელური მაკერების მნიშვნელოვანი დაქვეითება (E-კადჰერინი და A-კატენინი), ხოლო მეზენქიმური მარკერების ექსპრესიის მომატება (N-კადჰერინი, ვიმენტინი).

ავტორთა მონაცემების მიხედვით, ენდომეტრიულ კარცინომებში E-კადჰერინის დაკარგვა უარყოფითად ასოცირდება პაციენტთა გადარჩენადობასთან. შესწავლილია E-კადჰერინის ექსპრესია ენდომეტრიულ კარცინომაში. მათი კვლევის მიხედვით გამოვლინდა, რომ E-კადჰერინის იმუნოჰისტოქიმიური დაკარგვა ასოცირდებოდა ავთვისებიანობის მაღალ ხარისხთან გარდა E-კადჰერინისა ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელობა ენიჭება  $\beta$ -კატენინის ექსპრესიას, რომელიც წარმოადგენს კადჰერინ-კატენინის კომპლექსის ნაწილს [21].

კვლევებით ნაჩვენებია, რომ ტრანსკრიფციის ფაქტორის, SNAIL-ის, ექსპრესია გაზრდილია ენდომეტრიუმის როგორც პირველადი სიმსივნეების, ასევე მეტასტაზური დაზიანების დროს. ავტორების მიერ გამოკვლეულ იქნა ეპითელურ-მეზენქიმური ტრანსფორმაციის სტატუსი ენდომეტრიული სიმსივნეების ადრეულ ეტაპებზე და აღმოჩნდა, რომ SNAIL-ის გაზრდილი ექსპრესია დამახასიათებელია არაინვაზიური და მიოინვაზიური სტადიებისთვის. ასევე აღმოჩენილია E-კადჰერინის შემცირებული და SNAIL-ის ბირთვული ექსპრესიის კავშირი ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების წარმოქმნასთან [20]. გარდა ამისა, TWIST1 ხელს უწყობს ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციას E-კადჰერინის პირდაპირი დათრგუნვით, ან BMI-1-

ის ექსპრესიის გაზრდით. ანტი-აპოპტოზური თვისებების გამო, TWIST განაპირობებს ენდომეტრიული კარცინომების მეტად ინფილტრაციული ფენოტიპის წარმოქმნას, რაც იწვევს მიომეტრიუმში ღრმა ინვაზიას და ასოცირდება გადარჩენის ცუდ პროგნოზთან. თუმცა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი TWIST-სა და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების წარმოქმნას შორის, არ გამოვლენილა.

E-კადჰერინის მსგავსად  $\beta$ -კატენინის ექსპრესიის შემცირებაც ასოცირდება დაბალ გადარჩენადობასთან ენდომეტრიული კარცინომის მქონე პაციენტებში. ბირთვული  $\beta$ -კატენინის იმუნოჰოიტიურობა არის პირველი ტიპის ენდომეტრიული კარცინომის მოლეკულური მახასიათებელი. თუმცა ზუსტი კავშირი ეპითელურ-მეზენქიმურ ტრანსფორმაციასა და რეციდივის ან მეტასტაზების განვითარებას შორის, ჯერ ჯერობით კარგად შესწავლილი არაა [22].

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, სოლიდურ სიმსივნეებში, სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების კვლევას [23]. ერთის მხრივ ეს გამოწვეულია თანამედროვე იმუნოთერაპიული მიდგომების განვითარებით, რომელიც მიზნად ისახავს მასპინძელი ორგანიზმის იმუნური სისტემის გააქტიურებას ავთვისებიანი სიმსივნის წინააღმდეგ [24]. მეორეს მხრივ კი ნაჩვენებია, რომ სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების სხვადასხვა რაოდენობით არსებობა, განსხვავებულად ასოცირდება ავთვისებიანი სიმსივნეების პროგნოზთან. ავტორების მიხედვით ციტოტოქსიკური CD8+ T ლიმფოციტების არსებობა ნეგატიურ კორელაციაშია ჰისტოლოგიურ ავთვისებიანობის ხარისხთან, მიომეტრიულ ინვაზიასა და ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების არსებობასთან, ენდომეტრიული კარცინომის მქონე პაციენტებში. ხოლო CD4+ T ლიმფოციტების არსებობა კი უარყოფით კორელაციაშია ჰისტოლოგიურ ავთვისებიანობის ხარისხთან და მიომეტრიუმში ინვაზიასთან. მსგავსი შედეგებია ნანახი, CD3+ T ლიმფოციტებთან მიმართებაშიც. ენდომეტრიული კარცინომების ლიმფურ კვანძში მეტასტაზების არსებობასთან სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების კავშირი ასევე ნაჩვენებია სხვა ავტორების კვლევაშიც [26]. თუმცა, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას. გარდა ამისა, სადღეისოდ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ იძებნება მონაცემები სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების კავშირზე ენდომეტრიული კარცინომის რეციდივის განვითარების ალბათობასთან.

სხვადასხვა კვლევებით ნაჩვენებია, ენდომეტრიულ კარცინომებში, სიმსივნის მაინფილტრირებელი ლიმფოციტების არსებობის ნეგატიური ასოციაცია ციკლოქსიგენაზა-2-ის (COX2) ექსპრესიასთან, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ენდომეტრიული კარცინომების ერთ-ერთ კანდიდატ პროგნოზულ მარკერს [25]. COX2-ის ჭარბი ექსპრესია დაკავშირებულია ნეოანგიოგენეზთან, მეტასტაზური ზრდის უნართან და ცუდ პროგნოზთან. ავტორების მიხედვით, ამ მარკერის ექსპრესია მაღალია ენდომეტრიული კარცინომის შემთხვევაში ნორმალური ენდომეტრიუმის ნიმუშებთან შედარებით. თუმცა, სადღეისოდ არსებული ლიტერატურული მონაცემები, COX2-ის პროგნოზული ღირებულების შესახებ

ენდომეტრიულ კარცინომებში ურთიერთწინააღმდეგობრივია და საჭიროებს დამატებით გამოკვლევას.

როგორც მიმოხილვიდან ჩანს, ენდომეტრიუმის ეპითელური სიმსივნეების რეციდივისა და მეტასტაზირების ფენოტიპური მახასიათებლების ძიება აქტიურ ფაზაშია და ერთმნიშვნელოვანი მონაცემები მათ შესახებ არ არსებობს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] R. L. Siegel and K. D. Miller, “Cancer Statistics , 2020,” vol. 70, pp. 7–30, 2020.
- [2] “[www.globocan.iarc.fr](http://www.globocan.iarc.fr)”.
The total activation represents the number of radioactive atoms per  $\text{cm}^{-1}$  of foil area at any given time. For a constant activation rate starting at  $t = 0$ ,  $B(t)$  is expressed by the equation:

$$B(t) = \frac{C}{\lambda} (1 - e^{-\lambda t}) \quad (9)$$

Here,  $\lambda$  ( $\text{s}^{-1}$ ) is the decay constant at  $t = 0$ . Upon “infinitely long” irradiation,  $B(t)$  approaches the saturation value  $C/\lambda$ .

After irradiation ceases,  $B(t)$  falls off according to the law:

$$B(t_2) = \frac{C}{\lambda} (1 - e^{-\lambda t_1}) e^{-\lambda t_2} \quad (10)$$

Where  $t_1$  is the duration of the irradiation period and  $t_2$  is the time elapse after the end of irradiation.

Activity  $A$  is the number of atoms decaying per sec and  $\text{cm}^2$  of the surface. Here we should distinguish between theoretical activity  $A_t$  and experimental activity  $A_e$ .  $A_t = \lambda B$  (11) and  $A_t(t_2) = C(1 - e^{-\lambda t_1}) e^{-\lambda t_2}$  (12) or



$$A_t T = C \quad (13)$$

With the time factor being

$$T = \frac{e^{\lambda t_2}}{1 - e^{-\lambda t_1}} \quad (14)$$

The activity experimentally measured by the gas flow counter is related to the theoretical activity first by

$$A_e = \varepsilon \cdot F \cdot A_t \quad (15)$$

Where F is foil area, and  $\varepsilon$  is counter efficiency.

### Self-shielding factor $G_{th}$

Due to the non-negligible thickness of the gold foil, some neutrons will be absorbed within the material. This lead to a lower average thermal neutron flux within the foil, denoted as  $\bar{\Phi}_{th,sample}$ , compared to the average thermal neutron flux at the foil's surface,  $\bar{\Phi}_{th}$ . The ratio between these two flux values is referred to as the self-shielding factor:

$$G_{th} = \frac{\bar{\Phi}_{th,sample}}{\bar{\Phi}_{th}} \quad (16)$$

### Activation cross section of thermal neutrons

At conditions of room temperature,  $T_0 = 293 \text{ K}$  ( $20^\circ \text{C}$ ) and  $E_0 = k \cdot T = 0.0025 \text{ eV}$ , the following relationship between neutron cross section at neutron temperature  $T_n$  and at  $T_0$  can be derived from Westcott formalism as follows:

$$\sigma_{\bar{v},act}(T_n) = \sigma_{0,act} \frac{\sqrt{\pi}}{2} \sqrt{\frac{T_0}{T_n}} \quad (17)$$

### $\beta$ self-absorption

It is not advisable to use foils thicker than those corresponding to maximum sensitivity for flux measurement. The sensitivity of the foil diminishes with increased thickness because, in beta-counting, only a thin surface layer effectively contributes to the measurement. As foil thickness increases, the likelihood of neutrons penetrating this effective region from deeper layers decreases, while the probability of backscatter processes increases. Therefore, it's crucial to use the thinnest foil material feasible for accurate measurements.

$\beta$  self-absorption can be approximated using an exponential law of attenuation: For a  $\beta$ -emitter with a negligibly small surface area covered by a layer of thickness  $x$ , the probability  $w(x)$  that a decay  $\beta$  particle penetrates the layer is given by

$$w(x) = e^{-\alpha x} \quad (18)$$

Therefore, the expression for  $\beta$  self-absorption can be written as follows [9]:

$$\varepsilon_{\beta} = \frac{\int_0^{\theta} e^{-dx} dx}{\theta} = \frac{1 - e^{-\mu\theta}}{\mu\theta} \quad (19)$$

where  $\mu$  ( $cm^2 \cdot g^{-1}$ ) is absorption coefficient of the foil for  $\beta$ ; and  $\theta$  ( $g \cdot cm^{-2}$ ) is foil thickness.

### Sensitivity of the counter

To ascertain the sensitivity  $\varepsilon$  of the counter, two measurements are conducted using the same foil and counter. The first measurement is taken with the foil deposited on the counter's sample holder, resulting in a sensitivity value of  $\varepsilon_1$ . For the second measurement, the foil is covered on top with an additional sample holder, producing a sensitivity value labeled  $\varepsilon_2$ .

$$\varepsilon = \frac{\varepsilon_1}{\varepsilon_2} \quad (20)$$

### Cd-cover method and Cd correction factor

The presence of epithermal neutron flux and the gold foil's notable activation cross-section for these neutrons result in significant epithermal activity. To isolate this from the total activity, cadmium (Cd) is employed. Cd's large absorption cross-section for thermal neutrons effectively screens them, while allowing epithermal neutrons with energies above 0.4 to 0.7 eV to interact with the gold, depending on the Cd layer thickness.

To quantify thermal neutron-induced activity, two identical foils—one bare and one Cd-covered—are irradiated simultaneously. By comparing their resulting activities, the thermal and epithermal contributions can be differentiated.

It's important to note that the Cd "cut-off" energy does not strictly match the upper energy limit of thermal neutrons but also includes some epithermal ones. Thus, a Cd-correction factor is introduced to ensure accurate representation of solely the thermal neutron flux in the activity difference between the two foils.

$$A_{th} = A_b - A_{Cd} \quad (21)$$

In which  $A_{th}$  is the activity from thermal neutrons;  $A_b$  is the activity from bare gold foil; and  $A_{Cd}$  is activity from Cd-covered gold foil.

Cd-correction factor is defined as

$$F_{Cd} = \frac{A_b}{A_{Cd}} = \frac{A_{th} - A_{epi}}{A_{epi}} = 1 + \frac{A_{th}}{A_{epi}} \quad (22)$$

Following the process outlined above, thermal activation as a function of foil thickness, neutron flux, activation coefficient and absorption coefficient is expressed as

$$C_{th} = \mu_{act} \delta \frac{\varphi_0(\mu_{act} \delta)}{2\mu_{act} \delta} \Phi_{th} \quad (23)$$

For thin foils  $\mu_{act} \delta \ll 1$  at pure 1/v absorber, Westcott coefficient  $g = 1$  and resonance integral  $s = 0$ , we have

$$\Phi_{th} = \frac{2A_{th}T}{\sqrt{\pi} \sqrt{\frac{T_0}{T_n}} (\mu_{act}(v_0)\delta)} \quad (24)$$

With activation and absorption coefficients ratio

$$\frac{\mu_{act}}{\mu_a} = S_\beta \cdot G \quad (25)$$

Where  $S_\beta$  is the  $\beta$  self-absorption coefficient; and  $G$  being the neutron self-shielding coefficient of gold.

Here we arrive at the complete equation to determine thermal neutron flux considering all attendant factors is:

$$\Phi_{th} = \frac{2(1 - e^{-\lambda t_1})}{\varepsilon \cdot F \cdot S_\beta \cdot \delta \cdot G \cdot \mu_a \cdot \sqrt{\pi} \sqrt{\frac{T_n}{T_0}}} [A_t e^{\lambda t_2} - F_{cd} \cdot A_{cd} e^{\lambda t_2'}] \quad (26)$$

Specifications of the gold foils and the values of relevant factors are:

$\alpha = 1$  (isotope enrichment)

$\delta = \frac{m_b}{F}$  (mass surface loading)

$m_b = 0.0079$  (g) (gold foil mass)

$F =$  diameter of gold foil

$R = 0.32$  (efficiency for  $2\pi$  – detector) [10]

$\frac{T_N}{T_0} = 1.07$  [4]

$t_1 = 10$  minutes (activation time)

$\lambda = \frac{\ln 2}{T_{1/2}} = 1.783 \times 10^{-4}$  min (decay constant)

$t_2 = 60$  hour (decay time for bare foil)

$t_2' = 65$  min (decay time for covered foil)

$F_{Cd} = 1.22$  (cadmium correction factor) [11]

$G_{th} = 0.9766$  (self – shielding factor) [4]


$S = 0.6968$  (beta self-absorption) [4]

### 3. Experiment setup

#### 3.1.Measurement locations

The neutron flux measurement using the gold foil activation method was conducted by irradiating gold foils at separate positions on the same axis on the azimuthal plane to cover radial neutron flux distribution of the reactor from the center of the core to the periphery.

A picture of core map is shown in Figure 2, left side view, while the corresponding positions of fuel rods and irradiation channels are illustrated by the schematic on the right. The exact distances between each irradiation channel can be found in Table 1, with the insertion of samples done at channels b, f, i, l, and o.



*Figure 3. TRIGA core (left) and core map (right)*

It should be noted that the locations of the foils were carefully selected to be away from any control rods, to avoid flux depression caused by neutron capture.

*Table 1. Positions of experimental holes in reactor core*

Position	Distance (cm)
a, b	5,3
d	6,0
c	6,2
g	9,7
e, f	10,6
h, i	13,5
j	13,8
m	17,6
k, l	18,5
n, p, o	21,3
Diameter of an irradiation hole	7,95 mm

### **3.2. Experiment procedure**

In nuclear physics experiments, careful preparation of samples and proper calibration of measuring instruments, including activity counters, scales and detectors, are essential for accurate and reliable measurements.

The samples used in the experiment involve Cd sheaths with a thickness of 0.5 mm, Au foils with a weight spread of 40 mg/cm<sup>2</sup> and a diameter of 5 mm. In terms of measuring device, an analytical scale with an accuracy of 0.0001 g and a  $4\pi\beta$  counter are used.

#### **3.2.1. Equipment for measurement**

For absolute activity measurement, the standard is the  $4\pi\beta$ - $\gamma$  coincidence counter. However, this approach has limitations such as difficulty in detecting low activities and stringent setup requirements. These include no electron conversion, positional-independence of sensitivity, and counter specificity to the radiation type being measured. Therefore, we opted for a  $4\pi\beta$  flow-type proportional counter, simplifying the apparatus while still accomplishing the objective [9].






Figure 4. Schematic of a  $4\pi$  gas flow proportional counter [14]

### 3.2.2. Samples preparation

To standardize the samples, individual gold foils are cut to achieve uniform shape and size. These foils are weighed on a high-precision electronic scale and cleansed with alcohol to remove contaminants and any adhering organic substances. The foils are subsequently positioned in sample holders and secured with tape. One foil in each holder is shielded with Cd, while its counterpart remains unshielded. A total of five sample holders are utilized, each containing two gold foils.



Figure 5. Aluminum sample holder (bottom) and experimental equipment (top)



Figure 6. Gold foils (left) and cleaning alcohol (right)

### 3.2.3. Irradiation of samples

To initiate sample irradiation, the reactor is stabilized at 10 Watts for a 20-second period, accounting for foil activation during start-up. Samples are then accurately positioned in the core and irradiated for 10 minutes. Post-irradiation, the reactor is deactivated, and samples are removed and allowed to decay until their activity reaches background levels, ensuring that  $^{27}\text{Al}$  activity becomes negligible to minimize error.



Figure 7. Inserting sample holders into the reactor core

### 3.2.4. Activity measurement

Upon removal, foils are meticulously flattened to preserve their surface area for accurate activity counting. They are systematically grouped to enable precise radial distribution analysis, facilitating the assessment of neutron flux distribution.




Figure 8. Flattening irradiated gold foils (left) and grouping them according to radial location (right)

To obtain accurate neutron flux measurements, the counter's plateau is first determined along with its background levels to ensure counts consistency. Activities are then measured via the counter and flux is calculated using the designated equation.

Internal air within the counter is vented to maintain methane gas purity. A stable voltage plateau is crucial for ionization. The detection setup includes a dual-counter system, preamplifier, interface, and computing hardware.



Figure 9. Measuring activity of irradiated foils using  $4\pi\beta$  counter

#### 4. Results and Discussion

Activity measurements, acquired as described earlier, are incorporated into the complete thermal flux equation (26). Table 2 presents the thermal neutron flux results for both covered and uncovered foils, with their distribution further visualized in Figure 8.

Table 2. Thermal neutron flux results

Distance from the core (cm)	T1 (min)	T2 (min)	Activity (Uncovered) (counts/sec)	Activity (Cd-covered) (counts/sec)	Neutron flux (neutron.cm <sup>-2</sup> .s <sup>-1</sup> )
5.3	10	82	181.4	64	133427566.7
10.6	10	89	179.1	55.53	125753219.3
13.5	10	95	126.7	49.34	93182802.83
18.5	10	102	85.34	34.61	55872014.13
21.3	10	107	72.15	23.65	56166272.53

The measured neutron flux distribution aligns well with the Bessel function, the theoretical model for a bare, homogeneous reactor. The slight flux increase at the reactor's periphery is due to the graphite reflector in the TRIGA reactor, which scatters and reflects escaping neutrons back into the core. This confirms both the TRIGA reactor's efficacy and the reliability of our measurement methodology. The flux shape, visible in Figure 10, closely resembles the theoretical curve shown in Figure 1.




Figure 10. Radial distribution of neutron flux density in TRIGA reactor

## 5. Conclusion

Neutron flux measurement is an important parameter for nuclear research, and this study validates the utility of the gold foil activation method in performing such measurements. Experimental results were adjusted for Cd-correction, temperature dependency and self-shielding effects, offering a detailed thermal neutron flux profile at varying core distances. Comparison between theoretical and experimental flux shape showed good qualitative agreement. This work serves as both an educational resource and a template for experimental research, outlining each experimental step clearly as well as the reason behind it.

Future work may explore alternative materials for flux measurement and further optimize the gold foil activation method for specific reactor configurations, as was done here at the TRIGA reactor in Vienna.

- 6. ACKNOWLEDGMENT.** This work was done within the 2023 Safeguards Traineeship Programme organized by the International Atomic Energy Agency (IAEA) and at Atominstitut (TU Wien). Special thanks to Dr. Mario Villa, Dr. Andreas Musilek (TU Wien) and Dr. Susan E. Pickett, Dr. Haori Yang (IAEA) [Neutron Flux Measurement in the TRIGA Reactor using Gold Foil Activation Method].

## References

- [1] International Atomic Energy Agency (1982), *Dosimetry for criticality accidents: A Manual*.
- [2] Borio di Tigliole, A., Cammi, A., Chiesa, D., Clemenza, M., Manera, S., Nastasi, M., Pattavina, L., Ponciroli, R., Pozzi, S., Prata, M., Previtali, E., Salvini, A., & Sisti, M. (2014). Triga reactor absolute neutron flux measurement using activated isotopes. *Progress in Nuclear Energy*, 70, 249–255. <https://doi.org/10.1016/j.pnucene.2013.10.001>
- [3] Safeguards Traineeship, Practical exercises in research reactors, March 1 – April 1, 2023, Vienna, Austria.
- [4] K. H. Beckurts and K. Wirt (1972), *Neutron physics*.
- [5] International Atomic Energy Agency (1987), *Handbook on Nuclear Activation Data, Technical reports series 273*, Vienna, 1987.
- [6] [Core \(tpub.com\)](https://tpub.com)
- [7] [File:Au-198-decay-scheme.svg - Wikimedia Commons](#)
- [8] Glasstone, S., & Edlund, M. C. (1957). *The elements of nuclear reactor theory*. Van Nostrand.



- [9] Sathian, D., Chougaoonkar, M. P., & Mayya, Y. S. (2010). A new technique for beta attenuation studies in neutron activation foils using  $4\pi$ - coincidence system. *Radiation Protection Dosimetry*, 142(2–4), 92–98. <https://doi.org/10.1093/rpd/ncq261>
- [10] Berthold Technologies Beta counter manual.
- [11] Mueck, K., & Bensch, F. (1973). Cadmium correction factors of several thermal neutron foil detectors. *Journal of Nuclear Energy*, 27(9), 677–688. [https://doi.org/10.1016/0022-3107\(73\)90025-7](https://doi.org/10.1016/0022-3107(73)90025-7)
- [12] Borio di Tigliole, A., Cammi, A., Chiesa, D., Clemenza, M., Manera, S., Nastasi, M., Pattavina, L., Ponciroli, R., Pozzi, S., Prata, M., Previtali, E., Salvini, A., & Sisti, M. (2014). Triga reactor absolute neutron flux measurement using activated isotopes. *Progress in Nuclear Energy*, 70, 249–255. <https://doi.org/10.1016/j.pnucene.2013.10.001>
- [13] Als-Nielsen, J. (1967). Corrections in the gold foil activation method for determination of neutron beam density. *Nuclear Instruments and Methods*, 50(2), 191–196. [https://doi.org/10.1016/0029-554x\(67\)90040-7](https://doi.org/10.1016/0029-554x(67)90040-7)
- [14] Knoll, G. F. (2000). Radiation detection and measurement. John Wiley & Sons, Inc.

## ნეიტრონების ნაკადის გაზომვა ოქროს ფოლგის აქტივაციის მეთოდის გამოყენებით TRIGA-ს ტიპის ბირთვულ რეაქტორში

თორნიკე ქიმერიძე<sup>1,2</sup>; თრან ჩან ჰაი ნგუენ<sup>3</sup>

<sup>1</sup>სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

<sup>2</sup>სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

<sup>3</sup>დალატის ბირთვული კვლევის ინსტიტუტი, დალატი, ვიეტნამი

### რეზიუმე

ნეიტრონები ნაკადის გაზომვა ბირთვული ფიზიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პარამეტრია ბირთვული რეაქტორების უსაფრთხო მუშაობისათვის და ასევე, დიდ გავლენას ახდენს შემდეგ მიმართულებებზე: ბირთვული ინჟინერია, სამედიცინო ფიზიკა და მასალათმცოდნეობა. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა დეტალურად აღწერს ნეიტრონების ნაკადის სქემას ვენის ატომური ინსტიტუტის TRIGA რეაქტორში, სადაც იყენებენ ოქროს ფოლგის ნიმუშებს ნეიტრონების ნაკადის განსაზღვრისათვის. აღნიშნული პროცესი დაფუძნებულია სამიზნე ნიმუშების აქტივაციის მეთოდზე და შემდგომ მათ გაზომვაზე. აქედან გამომდინარე, მომზადდა იდენტური ოქროს ფოლგის ნიმუშები, რომელიც 10 წუთის განმავლობაში სხივდებოდა რეაქტორის ბირთვში და შემდგომ შეფასდა  $4\pi$  დეტექტორის გამოყენებით.

ნეიტრონების ნაკადის განაწილება თეორიულად იყო მოდელირებული, როგორც ბესელის ფუნქცია და ჯვარედინი მიმართულების საწინააღმდეგოდ განხორციელდა სამიზნე ნიმუშების განლაგება და შემდგომ მათი აქტივაციის გაზომვა, რათა ექსპერიმენტულად მიგველო თერმული ნეიტრონების ნაკადის სქემა. დასკვნები ცხადყოფს თეორიულ და ექსპერიმენტულ მონაცემებს შორის ახლო კავშირს მიუხედავად იმისა, რომ ბირთვული რეაქტორის გარე პერიფერიებზე ნეიტრონების ნაკადი უმნიშვნელოდ იმატებს, რადგან მის ირგვლივ განლაგებულ გრაფიტის ბლოკებს აქვს თვისება თერმული ნეიტრონებს არეკვლის. ეს ნაშრომი შეიცავს ღირებულ მონაცემებს ნეიტრონების ნაკადის განაწილების შესახებ TRIGA-ს ტიპის რეაქტორებში, რომელიც ფართოდ გამოიყენება რეაქტორების ექსპერიმენტებსა და ბირთვული რეაქტორის უსაფრთხო ოპერირებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** ნეიტრონების ნაკადი, აქტივაციის ანალიზი; ექსპერიმენტული ბირთვული ფიზიკა; რეაქტორების ფიზიკა.

## სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ ედგარ ალან პოს შემოქმედებაში ლელა ებრალიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი  
<https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

### აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება ცნობილი ამერიკელი მწერლისა და პოეტის, ედგარ პოს დამოკიდებულებას სიკვდილთან, საიქიოსთან – სამოთხისა და ჯოჯოხეთის თემატიკას მის შემოქმედებაში. წარმოჩენილია, თუ რა როლი ითამაშა პოს ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, მისმა პირადმა ტრაგედიებმა აღნიშნული ცნებების მისეული აღქმის ჩამოყალიბებაში; ცალკე ყურადღება ეთმობა რომანტიზმისა და გოთური ჟანრის, მეტადრე ორივე მათგანის თვისებების მატარებელი ე.წ. „ბნელი რომანტიზმის“ თავისებურებებს, როგორცაა იდუმალი და შიშისმომგვრელი ატმოსფეროს შექმნა, სიკვდილისა და საიქიოს თემები, დაკარგულ სიყვარულზე გლოვა. სტატიაში წარმოდგენილია ედგარ პოს პიროვნება თავისი გენიალობითა და ტრაგიზმით, მოცემულია ბიოგრაფიული ცნობები, რაც მკითხველს წარმოდგენას უქმნის მის აღზრდასა და განათლებაზე, რელიგიასთან დამოკიდებულებასა და რწმენაზე. შესასწავლად არჩეული საკითხის განხილვა ხდება პოს შემოქმედებაზე დაყრდნობით – სტატიაში გამოთქმული აზრების საილუსტრაციოდ მოყვანილია მაგალითები მისი ნაწარმოებებიდან. უმთავრესად ამ მაგალითების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, კერძოდ, განსაზღვრულია მთელი რიგი ფაქტორები – პირადი ტკივილი, აღზრდა, ბუნება, რომანტიკული და გოთური ლიტერატურული ჟანრების თავისებურებები, რელიგიური რწმენა – რაც ხელს უწყობს ხელოვნის რეალური სახის წარმოჩენას.

**საკვანძო სიტყვები:** სამოთხე, ჯოჯოხეთი, რომანტიზმი, გოთური ჟანრი, რელიგია

### შესავალი

ხშირად ხელოვანი, მით უფრო გენიოსი, საზოგადოებისაგან გაუცხოებისა და მარტოსულობისათვის არის განწირული – მთელი სიცოცხლე თან სდევს ბრძოლა და მოშურნეთა მტრობით გამოწვეული ტკივილი და ბევრი სხვა განსაცდელი. თუმცა, თვით

ყველაზე ტრაგიკული ბედის მქონეთა შორისაც კი გამოირჩევა ედგარ ალან პო, ცნობილი ამერიკელი მწერალი, რომანტიკოსი პოეტი, კრიტიკოსი, არაერთი ლიტერატურული (დეტექტიური, სათავგადასავლო, საშინელებათა, სამეცნიერო ფანტასტიკური) ჟანრის ფუძელდებელი, ფრანგ სიმბოლისტთა მიერ მათ წინამორბედად და მასწავლებლად აღიარებული, რომლის ცხოვრებაც მის ნაწარმოებებზე არანაკლებ პირქუში და გაუხარელი გახლდათ.

მწერალი ადრეულ ასაკში დაობლდა და მამობილთანაც ვერასოდეს გამონახა საერთო ენა. ჭაბუკს ჭლექმა წაართვა საყვარელი დედობილი, ისევე როგორც მშობელი დედა, სამი წლისამ რომ დაკარგა. ამ დაავადებამ შეიწირა პოს ნორჩი ცოლი ვირჯინიაც, რომლის სიკვდილით გამოწვეული სევდა ასე ძალუმად იგრძნობა მის შემოქმედებაში. პოეტს ორი ქორწინება ჩაეშალა, მთელი სიცოცხლე მატერიალურ სიდუხჭირეში გაატარა და სასოწარკვეთილი, გენიალური ნაწარმოებების შექმნის პარალელურად, შვებასა და გამოსავალს ზოგჯერ ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშშიც კი ეძებდა, რასაც, რა თქმა უნდა, მისთვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა.

ერთი მხრივ, განსაკუთრებულმა ხიბლმა და მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა შორის პოპულარობამ, მეორე მხრივ კი უკომპრომისო ბუნებამ და ლიტერატურულმა კრიტიკამ პოს ისეთი საშიში მტრები შესძინა, როგორც გახლდათ, მაგალითად, მისი ავადსახსენებელი ნეკროლოგის ავტორი, უნიჭო პოეტი, კრიტიკოსი და რედაქტორი რუფუს უილმოტ გრისვოლდი. სწორედ მან და მისთანებმა ძალისხმევა არ დაიშურეს პოს სახელისათვის ჩირქის მოსაცხებად და ექსცენტრიული პოეტი გიჟად, ლოთად და სკანდალისტად მონათლეს. ყოველივე ამის ფონზე, ედგარ პოს ბევრი ავტობიოგრაფიულად ათეისტად თვლიდა. სხვები ფიქრობდნენ, რომ ერთადერთი ღმერთი, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა, ხელოვნება იყო. არადა, მეცხრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით, დარვინის თეორიის შემუშავებამდე და სამოქალაქო ომამდე, ქრისტიანული რელიგია იმდენად დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ამერიკაში, რომ მისგან განზე გადგომა, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო. პომ იმხანად ტიპური რელიგიური აღზრდა და განათლება მიიღო: იგი 1812 წელს, სამი წლის ასაკში ეპისკოპალურ ეკლესიაში მოინათლა. მისი მამობილი, თამბაქოთი მოვაჭრე ჯონ ალანი პრესვიტარიანელი იყო, მისთვის ქრისტიანული ცხოვრება შრომას, პატიოსნებასა და ხელმომჭირნეობას ნიშნავდა. დედობილი ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა და მუდამ ესწრებოდა ეკლესიაში წირვა-ლოცვას, სადაც პატარა ედგარიც დაჰყავდა. 1836 წელს, ედგარს და ვირჯინიას ჯვარი პრესვიტარიანელმა მღვდელმა დასწერა. [<https://www.eapoe.org/geninfo/poerelig.htm>]

პოს კატეხიზმოს ჯერ კიდევ ლონდონის სასწავლებელში ასწავლიდნენ; ასევე რელიგიის გაკვეთილებს უტარებდნენ ღირსი ჯონ ბრენსბის სასწავლებელშიც.

მოზრდილ ასაკში პოეტს დიდი ღვთისმოსაობა არ გამოუვლენია და ხშირად გარშემომყოფთათვის შოკის მომგვრელი, მხოლოდ ეფექტის მოსახდენად გათვლილი გამონათქვამებითაც შეჰყავდა საზოგადოება შეცდომაში. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუკი

მისი რწმენისა და ზოგადად, რელიგიასთან დამოკიდებულების ამსახველ მასალას მის შემოქმედებაში მოვიძიებთ. ამ მხრივ, ყველაზე მნიშვნელოვნად ლექსი “Hymn [to the Virgin Mary]” („საგალობელი“) მიგვაჩნია.

### პოს „საგალობელი“

ლექსი Hymn პირველად 1835 წელს გამოქვეყნდა, ოღონდ არა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები. იგი ავტორს შეტანილი ჰქონდა გოთურ მოთხრობაში Morella, სადაც საგალობელს მთავარი გმირი მღერის. 1845 წელს ლექსი Broadway Journal-მა დაბეჭდა სათაურით A Catholic Hymn და სწორედ ამ სათაურით შევიდა იგი კრებულში Raven and Other Poems.

აღნიშული ნაწარმოების კითხვისას შეუძლებელია არ იგრძნო ავტორის სიწრფელე და სასოება. ლექსის დასაწყისში პოეტი ამბობს, რომ მუდამ, ჭირშიც და ლხინშიც, ღვთისმშობელს შესთხოვდა თანადგომას:

At morn - at noon - at twilight dim -

Maria! thou hast heard my hymn!

In joy and woe - in good and ill -

Mother of God, be with me still!

[<https://www.eapoe.org/works/info/chlpoems.htm>]

ყოველ ცისმარე, დღისით თუ ღამით,

მე აღვავლენდი ლოცვას შენდამი!

ჭირშიც და ლხინშიც, მე გიგალობდი,

დედაო ღვთისავ, ო, ჩემთან მოდი! [ებრალიძე, 2023:23]

მეორე სტროფში პოეტი ღვთისმშობელს მადლიერებას უცხადებს მფარველობისა და მეგზურობისათვის წარსულში, როდესაც მას არაფერი უჭირდა; ლექსის ბოლოს კი, უკვე განსაცდელში ჩავარდნილი, უფლის დედას კვლავ შეწევნას ევედრება:

Now, when storms of Fate o'ercast

Darkly my Present and my Past,

Let my Future radiant shine

With sweet hopes of thee and thine! [ibid.]

ახლა, ღრუბლები მამცნობენ ავდარს,

და ლხენა ძველი ქცეულა დარდად,

გვედრებ, განათდეს ცა ჩემთვის ისევ,

კვლავ მექმენ შემწედ, დედაო ღვთისავ! [ებრალიძე, 2023:23. ე.]

ცნობილია, რომ პო კათოლიკე არ ყოფილა და არც ეკლესიურობით გამოირჩეოდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოჩანს მის მიერ „კათოლიკური საგალობლის“ დაწერა. ამ ლექსის შექმნის ისტორია ასეთია: ერთხელ, შუადღისას, ედგარ პოს კათოლიკურ ეკლესიასთან ჩაუვლია და ზარების რეკვა რომ შემოესმა, ტაძარში შესულა, სადაც შეუტყვია, რომ ეკლესია



დილის ექვს, დღის თორმეტსა და საღამოს ექვს საათზე ზარების რეკვიტ მოუწოდებდა მორწმუნეებს აღევლინათ ლოცვა “Angelus” [<https://www.ncregister.com/blog/poe-hymn>]. ეს ლოცვა ეხება ღვთისმშობლისათვის მთავარანგელოზი გაბრიელის მიერ უწყებას იმისა, რომ იგი შობდა ღვთის ძეს, [იესო ქრისტეს](#). ბევრი კათოლიკური ლოცვის მსგავსად, მის სახელწოდებად ტექსტის პირველი სიტყვაა აღებული - “Angelus” (“Angelus Domini nuntiavit Mariæ” - ლათ., „უფლის ანგელოზმა მარიამს ახარა“, ლ.ე.). როგორც საგალობელს შეჰფერის, ლექსი ამალღებულად ჟღერს და დიდ ემოციურ-ესთეტიკურ ეფექტს ახდენს მკითხველზე, რასაც პო მისთვის დამახასიათებელი ხატოვანებით (“hours flew brightly by,” “not a cloud obscured the sky,” “storms of Fate o'ercast / Darkly my Present and my Past,” “Let my Future radiant shine”), არქაიზმების (“thou”, “thine,” “thee”), ანტითეზისის (“In joy and woe - in good and ill”) და სხვა მხატვულ ხერხთა გამოყენებით აღწევს.

### პოს დამოკიდებულება სიკვდილთან და მისი წარმოდგენა საიქიოზე

უჩვეულოდ მოჩანს ისიც, რომ პოს ლექსში Tamerlane, რომელშიც აშკარად იგრძნობა ბაირონის გავლენა [<https://yes-pdf.com/electronic-book/185>], მაჰმადიანი ტამერლანი (იგივე „თემურ-ლენგი“) აღსარებას კათოლიკე მღვდელს ახარებს. ხსენებული ლექსი წარმოადგენს ვრცელ დრამატულ მონოლოგს, რომლის დროსაც ლირიკული გმირი უსაზღვრო სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ სიჭაბუკეში სიყვარულზე მაღლა ძალაუფლება დააყენა [Wang, Chazelle, 2009]. მას ჯოჯოხეთის არ ეშინია, რადგან ვერ წარმოუდგენია იმ სინანულზე დიდი ტანჯვა, თავად რომ განიცდის. სიყვარული მისთვის დაკარგული სამოთხეა, სიცოცხლის ბოლოს ხვდება, რომ ერთადერთი ბედნიერება, რაც კი სიცოცხლეში განუცდია, სიყვარულში იყო, რომ სამოთხე და ნეტარება მხოლოდ სატრფოს თვალებში აღმოუჩენია (I saw no Heav'n, but in her eyes) [<https://www.eapoe.org/works/poems/tamerlana.htm>].

იმავე (1827) წელს დაწერილ ლექსში The Lake – To – პოს მარტოსულ ლირიკულ გმირს სიკვდილი შვებად ეჩვენება: მისთვის სიკვდილის მომტანი, საზარელი ტბა ედემის ბაღთან ასოცირდება. ზოგადად, სევდა, მარტოსულობა, ბუნების სურათები, რომლებიც მშვენიერების შეგრძნებასთან ერთად იდუმალებისა და შიშის განცდასაც იწვევს, დამახასიათებელია რომანტიკული, მეტადრე რომანტიკული და გოთური ელემენტების შერწყმის შედეგად წარმოშობილი ე. წ. „ბნელი რომანტიზმის“ ჟანრისათვის, რომელსაც პოს შემოქმედება უნდა მივაკუთვნოთ [<https://www.luceranglais.fr/edgar-allan-poe-dark-romanticism.html>]. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პოს ნაწარმოებები უმეტეს შემთხვევაში მის პირად ტრაგედიებს ასახავს.

სიკვდილზე უფრო ხშირად პოს შვებად სიყვარული მიაჩნდა. მართლაც, არაერთი ლექსიდან ჩანს, რომ ხელოვნების გარდა, რომელსაც გენიოსმა შემოქმედმა საკუთარი სიცოცხლე მიუძღვნა, სიყვარული იყო ერთადერთი ნუგეში მისი ცხოვრების „ბედით დაწყვილილ, უდაბურ გზაზე“... „სად ერთმა ვარდმაც ვერ გაიხარა“ [ებრალიძე, 2023:23] (“Beloved! amid the earnest woes / That crowd around my earthly path” ... “where grows / Not even one lonely rose”). ეს ფრაზები მოყვანილია პოს ლექსიდან To F— , რომელიც მე-19 საუკუნის პოპულარულ ამერიკელ მწერალ და პოეტ ქალს, ფრენსის სარგენტ ოსგუდს მიუძღვნა. ლექსში

ნათქვამია, რომ ქალზე ოცნება ბედის უკუღმართობით დატანჯულ პოეტს მიწიერ სამოთხედ (An Eden of bland repose), აზვირთებული ტალღებით გარემოცულ ნეტარ კუნძულად ესახება, სადაც იგი ქარიშხალში თავს აფარებს (Like some enchanted far-off isle / In some tumultuous sea ).

ედემის ბაღთან არის შედარებული აწ უკვე დაკარგული სიყვარული ლექსში To One in Paradise, სადაც პო ბიბლიურ ხატებს მოიხმობს, როგორცაა “A green isle in the sea” („მწვანე კუნძული ზღვაში“), რასაც აძლიერებს სიწმინდისა და მშვენიერების სიმბოლოები “A fountain and a shrine/All wreathed with fairy fruits and flowers” („წყარო და უცხო ხილითა და ყვავილწუნულებით მორთული სავანე“):

Thou wast that all to me, love,  
For which my soul did pine -  
A green isle in the sea, love, -  
A fountain and a shrine  
All wreathed with fairy fruits and flowers  
And all the flowers were mine.  
[<https://www.eapoe.org/works/info/chlpoems.htm>]

ამქვეყნად, კარგო, შენ მაზიარე,  
სიკეთეს ყველას, რაც მწადადა გულით:  
შენ იყავ ზღვაში კუნძული მწვანე,  
ანკარა წყარო და მისგან რწყული  
მომნიჭებელი შვების სავანე,  
ხილით, ყვავილით ჩემთვის მორთული. [ებრალიძე, 2023:23]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ედგარ პოს სიკვდილმა ბევრი საყვარელი ადამიანი წაართვა, მათ შორის მეუღლე ვირჯინია, რომლის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა და მის უამრავ ლექსშია ჩაქსოვილი. ნუგემის პოვნა ძნელი იყო, თუმცა პოეტს ალბათ ცოტათი მაინც ამხნევებდა საკუთარ ლექსებში იმის დაბეჯითებით გამეორება, რომ მისი დაკარგული სიყვარული ზეცაში ანგელოზებთან იმყოფებოდა და, შესაძლოა, სიკვდილის შემდეგ კვლავ შეხვედროდა მას.

ლექსში Lenore ლირიკული გმირი მიმართავს საკუთარ თავს და საზოგადოებას, რომელსაც კიცხავს და პასუხს სთხოვს საყვარელი ქალის სიკვდილის გამო. პოეტი საკუთარ თავს და სხვებსაც მოუწოდებს, რომ გარდაცვლილი არ იგლოვონ, რადგან მისმა უმანკო სულმა თავი დააღწია მტრულ სამყაროს, თავად პო ჯოჯოხეთად რომ მოიხსენიებს, და ზეცაში უფალს და ანგელოზებს მიაშურა, სადაც მას მხოლოდ ნეტარება ელის. აღსანიშნავია ლექსში გამოყენებული მითოლოგიური და ბიბლიური ალუზიები, მაგალითად, ნაწარმოების პირველივე წინადადება – broken is the golden bowl – „ეკლესიასტეს“ უკავშირდება („ვიდრე გაწყდებოდეს ვერცხლის საბელი და გატყდებოდეს ოქროს ჭურჭელი, დაიმსხვრეოდეს დოქი წყაროსთან, ჩაემვებოდეს ოწინარის ბორბალი ჭაში“ [ეკლ., 12:6]; აგრეთვე ნახსენებია: requiem

- მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი მესა (წირვა) კათოლიკურ რელიგიაში; Peccavimus – (ლათ) ნიშნავს „ჩვენ შევცოდეთ“; Sabbath song – ღვთისმსახურებისას შესასრულებელი საგალობელი.

საყვარელი ქალის სიკვდილით არის შთაგონებული ასევე ლექსი Annabel Lee. იგი ბოლო ლექსი გახლავთ, რომლის დასრულებაც პომ მოასწრო. ამ დროს ვირჯინია უკვე ცოცხალი ადარ იყო, თავად პოეტი კი მის გამოქვეყნებამდე (1849) ერთი თვით ადრე გარდაიცვალა. ლექსში აღწერილია, თუ როგორ უყვარდათ ერთმანეთი ლირიკულ გმირსა და მშვენიერ ანაბელ ლის და როგორ შურდათ მათი ბედნიერება ცაში ანგელოზებს, ციდან მონაბერმა სუსხიანმა ქარმა კი გოგონა გააცივა და სიცოცხლეს გამოასალმა.

The angels, not half so happy in Heaven,  
Went envying her and me—  
Yes!—that was the reason (as all men know,  
In this kingdom by the sea)  
That the wind came out of the cloud by night,  
Chilling and killing my Annabel Lee. [ibid.]  
ანგელოზთ შეშურდათ სიამე, ვტკბებოდით  
რომლითაც ჩვენ – მე და ის: –  
ეს იყო მიზეზი, ეს იცის ყოველმა,  
ვინც ცხოვრობს მახლობლად ზღვის,  
გათომეს ქარებმა ღრუბლიდან ნაბერმა,  
მომიკლეს ანაბელ ლი. [ებრალიძე, 2023:23]

პოს არაერთი ლექსის ლირიკულ გმირს სწამს სამოთხის არსებობა და სწორედ იქ ეგულება დაკარგული სატრფო, მაგრამ, მეორე მხრივ, სავარაუდოა, რომ ამგვარად ცდილობდა თავად პოეტი მწუხარებასთან გამკლავებას. იგი მუდამ ხაზს უსვამდა, რომ საყვარელი ქალის ფიზიკურად დაკარგვის მიუხედავად, მას ვერაფერი დაავიწყებდა და დააშორებდა. ლექსში „ანაბელ ლი“ ეს აზრი შთამბეჭდავად არის გამოხატული ოსტატურად მომარჯვებული ჰიპერბოლების მეშვეობით:

And neither the angels in Heaven above  
Nor the demons down under the sea  
Can ever dissever my soul from the soul  
Of the beautiful Annabel Lee; [ibid.]  
რაც უნდა ეცადონ, ზეცაში ანგელოზთ,  
დემონებს კი ფსკერზე ზღვის,  
არ შესწევთ უნარი ეს სული გაჰყარონ  
სულს ტურფა ანაბელ ლის: – [ებრალიძე, 2023:23]

პოს ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც Spirits of the Dead, ანუ „გარდაცვლილთა სულები“ ეწოდება და სიკვდილის იდუმალების თემას ეხება, ნათქვამია, რომ გარდაცვლილთა სულები

მარტონი არ არიან, რადგან საიქიოში ისინი ხვდებიან მათ, ვინც უფრო ადრე გარდაიცვალა. აქვე გვინდა გავიხსენოთ ლექსი For Annie. იგი ნენსი რიჩმონდს ეძღვნება, რომელთანაც პოს პლატონური სიყვარული აკავშირებდა. ეს ლექსი აღსანიშნავია იმით, რომ მასში სიკვდილი და სიცოცხლე გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდაა წარმოდგენილი, ანუ სიცოცხლე – როგორც ავადყოფობა, სიკვდილი კი – როგორც განკურნება. ნაწარმოებში ენი (ჩარლზ ბრედფორდ რიჩმონდის ქვრივი) გამოყვანილია როგორც საყვარელი ადამიანის დამკარგავი, მგლოვიარე ქალი, რომელსაც მეუღლე ანუგეშებს და არწმუნებს, რომ იგი უკეთეს ადგილას მიდის და გარდაცვალების შემდეგაც ენის სიყვარულში განაგრძობს არსებობას. აღნიშნული ლექსი არის ერთგვარი ნუგეში მათთვის, ვინც საყვარელი ადამიანი დაკარგა, თავად პოს ჩათვლით.

სიკვდილისა და საიქიოს თემას ეძღვნება მოთხრობები The Colloquy of Monos and Una („მონოსისა და უნას საუბარი“) და Mesmeric Revelation („მისტიკური გამოცხადება“). პირველ მათგანში მამაკაცი, მონოსი, გარდაიცვლება და სიკვდილის შემდეგ ბედნიერია, სულიერად იგი კვლავ თავის სატრფოსთან, უნასთან არის. როდესაც უნაც მას უერთდება იმ ადგილას, რომელიც განსაწმენდელის მსგავსია და კონკრეტულად არც სამოთხეა და არც ჯოჯოხეთი, შეყვარებულთა სულები ნეტარებენ და ტკბებიან, ვინაიდან სამუდამოდ ერთად იქნებიან. მოთხრობაში Mesmeric Revelation პო განიხილავს ღმერთს როგორც მუდმივ მატერიას, რომელსაც ყოველივე მოძრაობაში მოჰყავს, და ასევე როგორც ღვთაებრივ გონს, რომელიც მთელ კაცობრიობას მოიცავს. სიცოცხლე და სიკვდილი შედარებულია აზრეშუმის ჭიასა და პეპელასთან, ანუ გატარებულია აზრი, რომ სიკვდილი ჩანასახოვან, განუვითარებელ არსებას სრულყოფილად აქცევს [Sanchez, Richardson, 2012].

ზემოთ ხსენებულ სატატიოში, რომელსაც Edgar Allan Poe's Beliefs about the Afterlife („საიქიოს შესახებ ედგარ პოს შეხედულებანი“) ეწოდება, გამოთქმულია აზრი, რომ ედგარ პოს რწმენა სიკვდილის შემდგომი ცხოვრებისა ძირითადად თავის დამშვიდების მცდელობას წარმოადგენდა – მწერალს სურდა დაეჯერებინა, რომ გარდაცვლილთა სულები კვლავ აგრძელებდნენ არსებობას და იგი სიკვდილის შემდეგ საიქიოში შეხვდებოდა საყვარელ ადამიანებს; პო საიქიოს სამოთხედ და ჯოჯოხეთად არ ჰყოფდა, არამედ განიხილავდა როგორც განსაწმენდელის მსგავს ადგილს, სადაც სატრფოთა სულები მარად ერთად იქნებოდნენ. ეს უკანასკნელი აზრი პოს ბევრ ნაწარმოებშია გატარებული. პოეტის თავად ყველაზე პოპულარულ ლექსში The Raven („ყორანი“) სასოწარკვეთილი ლირიკული გმირი ყორანს ღმერთს აფიცებს და ეკითხება:

By that Heaven that bends above us – by that God we both adore –  
Tell this soul with sorrow laden if, within the distant Aidenn,  
It shall clasp a sainted maiden whom the angels name Lenore –  
Clasp a rare and radiant maiden whom the angels name Lenore.”

ცას გფიცებ და ღმერთ მაღალს, ორივენი რომ ვცემთ თაყვანს,  
უთხარ ჩემს სულს, სულ რომ ხვნეშის: იქ, შორეულ სამოთხეში,  
თუ შეხვდება ის ასული, ო, ეს სული ვისზეც გოდებს, -



წმინდას, სათნოს, თვით ანგელოსთ მას ლენორი რომ უწოდეს“. [ებრალიძე, 2006:58]

თუმცა, აღნიშნული შეხედულება, ცოტა არ იყოს, ზერელედ გვეჩვენება იმ ბიბლიური ალუზიების გათვალისწინებით, რომელთაც პოს არაერთ ნაწარმოებში ვხვდებით. ავიღოთ თუნდაც ლექსი *The City in the Sea* („ქალაქი ზღვაში“), ცოდვის, სიკვდილისა და დაღუპვის თემას რომ ეხება. მასში მოთხრობილია, თუ როგორ ინთქმება განწირული ქალაქი ზღვაში, რომლის ფსკერზეც მას ჯოჯოხეთი ელოდება. ჩვენი აზრით, ქალაქი სიმბოლურად ადამიანის სულს უნდა განასახიერებდეს, ზღვა კი – სასტიკ ბედისწერას. ლექსი შეიცავს არაერთ მინიშნებას იმაზე, რომ ქალაქის მკვიდრთ დიდძალი სიმდიდრე ჰქონიათ დაგროვილი, მაგრამ, სავარაუდოდ, დაივიწყეს ჭეშმარიტი ფასეულობები, რის გამოც მათი ქალაქი ისევე დაისაჯა, როგორც ბიბლიური სოდომი და გომორა, რომლებიც ამ ნაწარმოების კითხვისას გვახსენდება.

აქვე დავასახელებთ პოს სიცოცხლის ბოლოს დაწერილ კიდევ ერთ ცნობილ ლექსს *Eldorado*, რომელიც, ლაკონიურობისა და სისადავის მიუხედავად, მეტად ღრმა აზრის მატარებელია. ლექსში მეტაფორად გამოყენებულია რაინდი, რომელიც ფუჭად ეძებს საოცნებო ოქროს ქალაქ „ელდორადოს“. მკვლევარები ხშირად ავლებენ პარალელს ლექსში აღწერილ რაინდას და თავად პოეტს შორის: პირველმა მათგანმა ელდორადოს პოვნა ვერ მოახერხა ამქვეყნად, მეორემ კი – ბედნიერებისა. ლექსის დასასრულს, ელდორადოს ძებნით დაღლილი და დაბერებული რაინდი ხვდება პილიგრიმის აჩრდილს (რომელიც მეტაფორულად სიკვდილს აღნიშნავს) და ელდორადოსკენ გზას ეკითხება, აჩრდილი კი მიუგებს, რომ ელდორადომდე მისაღწევად მან მთვარის მთები და „წყვილიადით მოცული ხევი“, იგივე „შავეთის ველი“ (“Valley of Shadow”) უნდა გაიაროს. ეს უკანასკნელი ბიბლიური ალუზიაა (ფსალმუნი 22:4). მოცემულ ფსალმუნში ნათქვამია: „ვიდოდი ღათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემემინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან – ამათ ნუგემინის-მცეს მე“ [ფსალმუნნი, ლოცვანი, 2005]. ძნელი დასაჯერებელია, რომ ამგვარი ალუზია პოს ერთ-ერთ ბოლო ნაწარმოებში შემთხვევითია. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვირწმუნებთ მწერლის ათეიზმს.

## დასკვნა

საბოლოოდ, თუ ზემოთ მოცემულ მსჯელობას შევაჯამებთ, ედგარ პოს დამოკიდებულება სიკვდილთან და საიქიო ცხოვრებასთან შემდეგნაირად უნდა დავახასიათოთ: იგი განპირობებულია ხელოვანის ცხოვრებისეული ტრაგედიებით, საყვარელი ადამიანების, განსაკუთრებით მეუღლის დაკარგვითა და მასთან კვლავ შეხვედრის სურვილით; სიკვდილი შვებად ესახება პოს როგორც მრავალტანჯვაგამოვლილ ადამიანს; სიკვდილის, საიქიოს, გლოვისა და მწუხარების თემები დამახასიათებელია რომანტიკული და მეტადრე გოთური ჟანრებისათვის, რომლებთანაც პოს შემოქმედება ასოცირდება; პოეტს გააჩნდა ქრისტიანული რწმენა, რისი დასტურიცაა მის ნაწარმოებებში მიმოხილული



ბიბლიური ალუზიები, უფლისადმი დამკიდებულების არაერთი გამოხატულება (თუნდაც “by that God we both adore”), ღვთისმშობლისადმი საგალობელი და ა.შ. ყოველივე ეს კი პოს პორტრეტს იმისაგან სრულიად განსხვავებულად გვიხატავს, ვიდრე იგი ზოგ არაკეთილმოსურნეს სურდა წარმოეჩინა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1989
- ებრალიძე ლ., – ლირიკული მოზაიკა. ბრიტანელი და ამერიკელი პოეტები. თბილისი 2006
- ებრალიძე ლ., – რჩეული ლექსები. ედგარ ალან პო. გამომცემლობა „ტალანტარე“, თბილისი 2023
- იაშვილი პ., – ედგარ ალან პო, ლექსები. თბილისი 2002.
- ფსალმუნნი, ლოცვანი. გამომცემლობა „ნათლისმცემელი“, 2005.
- Poe E. A. Prose and Poetry. Избранное. Сборник. На англ. Яз. Сост. Е. К. Нестерова. М.: Радуга, 1983.
- [Heidy](#), The speakers' optimistic attitude towards death in Edgar Allan Poe's poems, "sonnet to my mother." "Annabel Lee," and "for Annie", January 2001  
<https://www.researchgate.net/publication/39737608> [The speakers' optimistic attitude towards death in Edgar Allan Poe's poems sonnet to my mother Annabel Lee and for Annie](#)
- Sanchez, Richardson. Edgar Allan Poe's Beliefs about the Afterlife, April 2012  
<https://www.studymode.com/essays/Edgar-Allan-Poe's-Beliefs-About-The-1174073.html>
- Wang, Bella. Chazelle, Damien ed. "Poe's Poetry “Tamerlane” Summary and Analysis". GradeSaver, 17 August 2009 Web. 14 March 2023.
- <https://www.ncregister.com/blog/poe-hymn>
- <https://www.eapoe.org/works/info/chlpoems.htm>
- <https://www.gradesaver.com/poes-poetry/study-guide/summary-tamerlane#>
- <https://yes-pdf.com/electronic-book/185>
- <https://www.eapoe.org/geninfo/poerelig.htm>
- <https://www.eapoe.org/works/poems/tamerlana.htm>
- <https://www.l1ceranglais.fr/edgar-allan-poe-dark-romanticism.html> <https://gradesfixer.com/free-essay-examples/literary-analysis-of-edgar-allan-poes-poem-to-anne/>
- <https://pressbooks.pub/poetrypoetics/chapter/spirits-of-the-dead-by-edgar-allen-poe/>
- <https://www.eapoe.org/works/mabbott/tom1p105.htm>
- <https://interestingliterature.com/2020/04/edgar-allan-poe-eldorado-analysis/>

# The Theme of Afterlife in Edgar Allan Poe's Works

Lela Ebralidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Assistant Professor, Doctor of Philology

<https://orcid.org/0000-0003-0802-4085>

---

## Abstract

The present paper deals with the attitude of Edgar Poe, a famous American writer and poet, to death and afterlife – the themes of heaven and hell in his works. It shows the role of Poe's life experience and his personal tragedies in the formation of his understanding of the mentioned concepts; special attention is dedicated to the peculiarities of romantic and gothic genres, especially the “dark romanticism,” combining the features of the both, e.g. creation of a mysterious atmosphere, themes of death and afterlife, mourning over the lost love. The paper presents Edgar Poe's personality, his genius and tragic fate, provides the biographical information, which gives the reader some idea about Poe's upbringing and education, his attitude to religion and his faith. While discussing its subject the paper relies on Poe's works – examples are brought from them in order to illustrate the viewpoints offered in the paper. Based on the examples, conclusions are made, i.e., a number of factors like personal suffering, upbringing, temper, peculiarities of the romantic and gothic literary genres, religious faith, are identified, which makes it possible to create a truthful portrait of the artists.

**Key words:** heaven, hell, romanticism, gothic genre, religion

## ღეროვან უჯრედებში ძველი ცენტრიოლების შერჩევითი დაგროვება - ორგანიზმის დაბერების მთავარი მიზეზია?

ჯაბა ტყემალაძე

დღეგრძელობის კლინიკა, ადამიანის გაახალგაზრდავების ტექნოლოგიის შექმნის  
განყოფილების ხელმძღვანელი

orcid: 0000-0001-8651-7243

### აბსტრაქტი

მრავალუჯრედიან ორგანიზმში ყველა ძველი მოლეკულა, სტრუქტურა (გარდა ცენტრიოლისა), უჯრედი ექვემდებარება განადგურებას და ახალი მოლეკულით, სტრუქტურით, უჯრედით ჩანაცვლებით. მოლეკულების და სტრუქტურების პერიოდულად ახალით ჩანაცვლების პროცესს რეპარაცია ჰქვია, ხოლო უჯრედების კი რეგენერაცია. რეპარაცია და რეგენერაცია ჩანაცვლება ხდება მაშინაც კი, თუ მოლეკულები, სტრუქტურები ან უჯრედები იდეალურ მდგომარეობაშია. რაც უფრო ადრე ანადგურებს ორგანიზმი გარკვეული დროის წინ წარმოქმნილ უჯრედებს და ჩანაცვლებს მათ ახალით მით უფრო მაღალია რეგენერაციის ტემპი და მით უფრო ახალგაზრდაა ორგანიზმი.

დედობრივი ღეროვანი უჯრედის ასიმეტრიული დაყოფისას წარმოქმნება ერთი დედობრივის მსგავსი შვილობილი უჯრედი და მეორე შვილობილი უჯრედი, რომელიც დიფერენცირების გზას ადგება. ასეთი ტიპის ასიმეტრიული დაყოფის და მიუხედავად, რომელიც იმდენივე ღეროვან უჯრედს აბრუნებს, რამდენსაც ხარჯავს, ღეროვანი უჯრედების რაოდენობა დროთა განმავლობაში მცირდება. მეტიც, ღეროვანი უჯრედების დაყოფას შორის ინტერვალები იზრდება. ამ ორი პროცესის ერთობლიობა იწვევს რეგენერაციის ტემპის დაქვეითებას და ორგანიზმის დაბერებას.

ღეროვანი უჯრედების ასიმეტრიული დაყოფის დროს შვილობილი უჯრედები, რომლებსაც ერგებათ ღეროვანი უჯრედის პოტენციალის შენარჩუნება, ასევე ერგებათ დედა (უძველესი) ცენტრიოლებს. ბირთვული დნმ-ის მოლეკულებისგან განსხვავებით, რეპარაციები არ ხდება

ცენტრიოლებიც. რადგან ცენტრიოლი ერთადერთი სტრუქტურაა, რომელის რეპარაცია არ ხდება, უძველესი ცენტრიოლები მეტად უნდა ექვემდებარებოდნენ განადგურებას, ვიდრე უჯრედის სხვა (რეპარირებადი) სტრუქტურები. უჯრედი და ორგანიზმი ყველგან ახერხებს ჭეჭინააღმდეგოს ენტროპიას, გარდა ცენტრიოლებისა, რომელთა ფუნქცია ჯერ არაა ბოლომდე დადგენილი - რაც ცენტრიოლებს ორგანიზმის დაბერების მთავარ სტრუქტურად აქცევს.

**საკვანძო სიტყვები:** ცენტრიოლი, დიფერენციაცია, რეგენერაცია, ორგანიზმის დაბერება, ღეროვანი უჯრედები

## შესავალი

მრავალუჯრედიანი ცხოველური და ადამიანის ორგანიზმის განვითარება მოითხოვს უჯრედების ზრდის, გაყოფის, დიფერენციაციისა და დაპროგრამირებული სიკვდილის ზუსტ კოორდინაციას. ყველა ეს პროცესი უნდა იყოს დახვეწილი და კოორდინირებული კონტროლის ქვეშ, რადგან ისინი უნდა იყოს ინტეგრირებული ყველა უჯრედსა, ქსოვილსა თუ ორგანოში. ზრდასრული ადამიანის ყველა ( $>3,72 \times 10^{13}$  (Bianconi et al., 2013)) უჯრედი წარმოიქმნება ერთი უჯრედიდან - განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან (Vaillancourt, 2009). ათეულობით ტრილიონ უჯრედს შორის 200- სზე ნაკლები ტიპია (Khan et al., 2022). ეს გულისხმობს, რომ ორგანიზმის განვითარებას თან ახლავს სულ მცირე 2 პროცესი: პირველ რიგში, უჯრედების ინტენსიური პროლიფერაცია, რომელიც მოითხოვს ტრილიონობით მიტოზს; მეორეც, უჯრედების დიფერენციაციას (Boulan, 2021).

უმეტესობა მრავალუჯრედიანთა სახეობებში ამ პროცესების გარდა მიმდინარეობს მესამე პროცესიც - მუდმივად ხდება ქრონოლოგიურად ძველი უჯრედების დახოცვა და მათი ქრონოლოგიურად ახალი უჯრედებით ჩანაცვლება - რეგენერაცია. რეგენერაციის პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტლივ.. ყველა ტიპის უჯრედებს ჩანაცვლების საკუთარი პერიოდი გააჩნია. თეორიაში, თუ სრულიად მთელ უჯრედში ხდება ენტროპიისადმი წინააღმდეგობის გაწევა რეპარაციის პროცესებით, რეგენერაციის ტემპი უნდა დარჩეს სტაბილური დროთა განმავლობაში. ასევე არ უნდა იცვლებოდეს ღეროვანი უჯრედების რაოდენობას. ღეროვანი უჯრედი იყოფა ასიმეტრიულად: როდესაც დედა ღეროვანი უჯრედი იყოფა, მისი ერთ-ერთი შვილობილი უჯრედი დიფერენციაციის გზაზე დგება. მეორე შვილობილი უჯრედი კი ინარჩუნებს ღეროვანი უჯრედის პოტენციალს, რითაც რჩება დედობრივი ღეროვანი უჯრედის იდენტური. ამრიგად, ღეროვანი უჯრედების რაოდენობა ხელუხლებელი უნდა რჩებოდეს. ამის ფაქტის საფუძველზე, ცხოველებისა და ადამიანების რეგენერაციის ტემპი არ უნდა მცირდებოდეს და არც უნდა იზრდებოდეს. რადგან რეგენერაციის ტემპი ტეორიაში არ უნდა მცირდებოდეს, მათი ორგანიზმების დაბერებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ რელობა საპირისპიროა: ადამიანთა და ცხოველთა ერთი თაობა მეორის მიყოლებით ბერდება. ყველა მითი რამოელიმე გაახალგაზრდავებადი ან უბერებელი ცხოველური ორგანიზმისმისა

დიდი ხანია დაინგრა ზერელე შესწავლის ეტაპზე კი. ჯერჯერობით არც ერთი მუტაცია არ მომხდარა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს მოვლენები და შეაჩეროს ან რევერსია გაუკეთოს დაბერებას სქესობრივი მომწიფების შემდეგ. რადგან ასეთი მუტაცია არ გამოჩენილა მილიონობით სახეობის, ამ მილიონობით სახეობების მილიონობით თაობებში და დაუთვლელ ინდივიდებში, დაბერება როგორც მოვლენა დნმ-ზე არაა დამოკიდებული. მრავალუჯრედიანი ორგანიზმების დაბერების მიზეზები დნმ-ის მიღმა უნდა ვეძებოთ.

## პოტენციალი და დიფერენცია

